

K222:697
3



5 4

11

საქართველოს მემკვიდრეობის მინისტრის განკარგულებაში



ქრისტიანობა
როგორც მისტიური ფაქტი
და
უძველესი მისტიკები

მეზიანდონი ლიხაძის მიხედვით



გამომცემლობა "ნითავთა"
თბილისი
1994 წ.

Handwritten notes in the top left corner, including the word "Handwritten" and other illegible characters.

RUDOLF STEINER



DAS CHRISTENTUM ALS MYSTISCHE TATSACHE

und die Mysterien des Altertums

Titel der Originalausgabe erschienen in der "Rudolf Steiner Gesamtausgabe", Band GA8 im Rudolf Steiner Verlag, Dornach/Schweiz, Auflage 19

Die Herausgabe dieser Übersetzung erfolgt im Einvernehmen mit der Rudolf Steiner-Nachlassverwaltung, Dornach/Schweiz, bei der die Rechte für die Originalausgabe liegen

Übersetzung von Michael Nischianidze

© 1961 by Rudolf Steiner-Nachlassverwaltung, Dornach/Schweiz

Pithagora Verlag


Tbilissi 533601300006

1994 0 0 8 5 3 0 0

8 0 0 0 0 0 0 0 0 0



საქართველოს
რეპუბლიკის
საქართველოს
საქართველოს



1222-697

საპპ-2000
საქართველოს
საქართველოს

წიგნში გამჟღავნებულია ქრისტიანობის, როგორც რელიგიის, მის-
ტიური მხარე, ცნობილია, რომ სახალხო რელიგიების გვერდით ვი-
წლეთის არსებობდა გარკვეული მისტერიული ცენტრები და ქერე-
მთა ფარული თემები, სადაც ინახებოდა საკრალური სობრძნე, სამყა-
როსეული იდეალებათა წყდომის გზები და სამუალებები, ხოლო
სახალხო რელიგიები ამ იდეალებათა რიტუალურად ჩამოყალიბებუ-
ლი გარეგნული გამოხატულება იყო.

ავტორი მამოიხილავს ქრისტიანობის წინააღ მისტერიებს, მიზე-
ზსა და წმინდა წერილებს, როგორც ჩვენი რელიგიის ერთგვარ მისა-
შვადლებელ საფუძვრს, არკვევს მათ შორის არსებულ სხვაობებს და
წაბმოაჩენს ქრისტიანობის წერილობით ძეგლებში გაიდუმალებულ
სობრძნეს, ვითარცა რწმენის შინაარსს. და ყოველივე ეს მოხიბვლილი
და გაანალიზებულია ავტორისათვის დამამახსოვებელი კვლევის მეც-
ნიერული მეთოდებითა და ობიექტურობით.

წინასიტყვაობა მეორე გამოცემისათვის

როდესაც რვა წლის წინათ ამ თხზულების ავტორმა 1902 წელს მის მიერ წაკითხული ლექციების შინაარსი წიგნად გადაამუშავა, მან იგი ასე დაახატაურა: „ქრისტიანობა როგორც მისტიური ფაქტი“. სათაურს წიგნის განსაკუთრებულ ხასიათზე უნდა მიეთითებინა. წიგნი არა მხოლოდ ქრისტიანობის მისტიურა შინაარსის ისტორიული მონახაზის წარმოჩენას ისახავდა მიზნად, არამედ, ქრისტიანობის მისტიური გააზრებიდან გამომდინარე, მისი წარმოსმოც უნდა ეჩვენებინა; ამასთანავე, იმის ნათელყოფასაც უნდა ცდილიყო, რომ ქრისტიანობის საფუძველშივე ღვებ სულიერი მოვლენები რომელთა განკვერტა მხოლოდ შემოხსენებულ მისტიურ თვალსაზრისს ექვემდებარება—თავადვე წიგნის შინაარსი გვიჩვენებს, რომ ავტორი სიტყვა „მისტიური“ სულაც არ გულისხმობს იმ შეხედულებებს, რომლებიც გრძნობების ბუნდოვან, გაურკვეველ შემეცნებას ეერდნობა და არა ფაქტების „ხუსტ მეცნიერულ გამოცემას“. რადგან, ცხადია, დღესდღეობით საზოგადოების ფართო წრეებში „მისტიკას“ სწორედ ამგვარად აღიქვამენ და ამდენად, ბევრი მას ფშვინეიერი ცხოვრების იმ სფეროებს აკუთვნებს, რომელთაც „ტემშარიტ მეცნიერებასთან“ საერთო არაფერი გააჩნია. ამგვარად მოცემულ წიგნში სიტყვა „მისტიკა“ იმ სულიერი მოვლენის აღსანიშნავად იხმარება, რომლის არსი მხოლოდ ისეთ შემეცნებას განეცხადება, სულიერი ცხოვრების წყაროებიდან რომ ხაზრობოს. ის, ვინც ამ შემეცნებას უარყოფს, რომელიც შემოხსენებული წყაროებიდან იღებს სათავეს, ბუნებრივია, მოცემულ წიგნზე ვერაფრითარ გარკვეულ პოზიციას ვერ შეიქმნის. მხოლოდ ის, ვისაც მისტიკა იმგვარად ეხსმის, რომ მასში არანაკლები სიზუსტე, ობიექტურობა და გარკვეულობაც მოიძეება, ვიდრე მას საბუნებისმეტყველო გამოკვლევათა შედეგებას სწორი ვადმოცემა ვვთაყაზობს, მარტოოდენ იმას შეუძლია დაეთანხმოს ქრისტიანობის შინაარსის, როგორც

მისტიკის ჩვენს მისტიკურ ინტერპრეტაციას. რადგანაც აქ საქმე ეხება არა მხოლოდ მოცემული თხზულების შინაარსს, არამედ — რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია — სწორედ შემეცნების ამ მეთოდებს, რომელთა მეშვეობითაც არის ეს შინაარსი წარმოდგენილი.

ჩვენს დროში ბევრი კვლავ ზედმეტად უარყოფითად ეკიდება შემეცნების ამგვარ მეთოდებს და თვლის, რომ ისინი ჭეშმარიტ მეცნიერებას ეწინააღმდეგება. ასეთი დამოკიდებულება არა მხოლოდ ამ ადამიანებში შეინიშნება, რომელთაც „ჭეშმარიტად მეცნიერულად“ მხოლოდ ის მსოფლმხედველობა მიაჩნიათ, მათსავე საკუთარ შეხედულებებს რომ უთანხმება, არამედ ხსენებულ პოზიციას ქრისტიანობის ამ მიმდევართა შორისაც ვხვდებით, რომელნიც მისი არსის შემეცნებას ეხსრაფვიან. წიგნის ავტორი იმ თვალსაზრისს ემხრობა, რომ ჩვენი დროის საბუნებისმეტყველო მეცნიერებას მიღწევება ჭეშმარიტი მისტიკის ხფერომდე ამაღლებას მოითხოვს. ამ თვალსაზრისს საკმაო რწმუნება გააჩნია იმის ნათელსაყოფად, რომ შემეცნებისადმი სხვაგვარი დამოკიდებულება სწორედ მეცნიერებას ვოველგვარ მიღწევას ეწინააღმდეგება. თავად საბუნებისმეტყველო ფაქტების მოპოვება შეუძლებელია შემეცნების იმ საშუალებებით, რომლებითაც გარკვეულ პირებს, მათივე აზრით, ბუნებისმეტყველების მყარ პოზიციას რომ ადგანან. ხერხ შემოიფარგლონ.

მხოლოდ ის, ვინც დაგვეთანხმება, რომ ბუნების თანამედროვე უჩვეული შემეცნების სრული აღიარება ჭეშმარიტ მისტიკას ხელაღ არ ეწინააღმდეგება, უდავოდ ამ წიგნსაც მიაღებს.

წინამდებარე წიგნი თავისი „მისტიკური შემეცნების“ პოზიციით, მისნად ისახავს იმის გარკვევას, თუ საიდან შექმნა ქრისტიანობის პირველწყარომ თავისი წინამძღვრები ქრისტიანობამდელი ხანის მისტერებში. ქრისტიანობამდელ მას-ჯივებში გამოფორილ იქნება ის ნიადაგი თუ შრე, სადაც დამოუკიდებელი ხანასახულო განვითარდა ქრისტიანობა, ეს თვა-

ლსაზრისი საშუალებას გვაძლევს ჩავსწავთ ქრისტიანობას
მის თავისთავად და დამოუკიდებელ არსობრიობაში, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს შესაძლებლობა „თვალის მიყრდენით“
დევნით ქრისტიანობის განყითარებას ქრისტიანობამდელი
მისტიკიდანაც“. უკეთუ ზემოხსენებულ თვალსაზრისს უარ-
ვეყოფთ, ძალზე ადვილია მხედველობიდან სწორედ ეს თავის-
თავადობა გამოვეჩვენოთ და ქრისტიანობა ქრისტიანობამდელ
მისტიკაში არსებულის შემდგომ განვითარებად მივიჩნიოთ.
ასეთი შეცდომა დღეს ბევრ თანამედროვე მოაზროვნეს მოს-
დის, რომლებიც ქრისტიანობის შინაარსს ქრისტიანობამდელ
შეხედულებებს ადარებენ და ასკვნიან, რომ ქრისტიანული
თვალსაზრისები მხოლოდ ქრისტიანობამდელ შეხედულება-
თა გაგრძელებაა. მოცემულმა წიგნმა უნდა ცხადდეს, რომ
ქრისტიანობა ისევე ითვალისწინებს წინამორბედი მისტიკის
არსებობას, როგორც მცენარის მარცვალი — თავისი ნიადა-
გის არსებობას. ქრისტიანობის წარმოშობის ამგვარი აღიარ-
ებით ეს თხზულება ქრისტიანობის თავისთავადობის უარ-
ყოფას კი არ ესწრაფვის, არამედ მოწოდებულია ხაზი გაუსხვას
მის თავისთავად არსობრიობას.)

ავტორი უდრამესი შინაგანი კმაყოფილების გრძნობით აღ-
ნიშნავს, რომ „ქრისტიანობის არსობრიობის“ მისეულმა ინ-
ტერპრეტაციამ მხარდაჭერა მხოლოა იმ ადამიანისგანაც, რომ-
ლის თვალსაჩინო ნაშრომებმა გაამდიდრა, ამ სიტყვის უდრ-
მესი მნიშვნელობით, ჩვენი დროის განათლებულობა. ედუ-
არდ შურემ, „უდიდესი ხელდასხმულების“ ავტორმა, თავისი
თანხმობითა წიგნის თვალსაზრისთან იმით გამოხატა, რომ
თავად თარგმნა იგი ფრანგულ ენაზე (სათაურით: Le mystere
chretien et les mysteres antiques). აქვე მაჩვენებლად იმისა,
რომ ჩვენს დროშიც არსებობს მოცემული წიგნის სულისკვე-
თებით ქრისტიანობის წვდომის სურვილი, მხოლოდ გაკვირთ
ვახსენებთ, რომ წიგნის პირველი გამოცემა, ფრანგულის
გარდა, სხვა ევროპულ ენებზედაც ითარგმნა.

ხელი მოიკიდა რა წიგნის მეორე გამოცემას, ავტორმა ცვლილებების შეტანა საჭიროდ არ ჩათვალა. სამაგიეროდ ახალ გამოცემას რვა წლის წინახდელ გამოცემასთან შედარებით ზოგი რამ დაემატა. აგრეთვე იყო შეცვლილი ზოგიერთი ადვილის უფრო ზუსტად და დაწვრილებით ვადმოცმისა, ვიდრე წინა გამოცემაში იყო შესაძლებელი. სამწუხაროდ, მრავალ სხვა სამუშაოთა გამო, ავტორს მეორე გამოცემის გამოქვეყნების საშუალება მხოლოდ ხაკმაოდ მოგვიანებით მიეცა, როცა პირველი გამოცემა უკვე დიდი ხნის გავრცელებული იყო.

მაისი 1910 წ.

რუდოლფ შტანინერი

თვალსაზრისები

— ებრაელთა ცხოვრებაში ანტიმთავრობის განხილვა —



თანამედროვე წარმოდგენებზე საბუნებისმეტყველო აზროვნებაში უდავოდ დიდია ვაგლერის გეგმისა და მისი მომხრეების გეგმისა და ადამიანის სულიერ ძირითადი ნიშნების განხილვის კონსერვატიული სტრუქტურის შექმნის მიზნით, მეტად რთულად ავტორიტარული საბუნებისმეტყველო შეცნობების მიერ მომთხოვნილ დასკვნებზე და საკუთრად, ამ ტიპის აზროვნების მიხედვით წამოჭრილ წინააღმდეგობებს. რა თქმა უნდა, დღეს საბუნებისმეტყველო ადამიანი რომელიმე თვალსაზრისით, სულიერად მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისას ცდილობს, მხედველობაში არ მიიღოს რაიმე საბუნებისმეტყველო მიმდინარეობა, მაგრამ ეს, ვისაც ეპოქის შიგნით უნდა უნდა, ხსენებულ ადამიანების რიცხვს არ მიეკუთვნება. საბუნებისმეტყველო წარმოდგენები ყოველდღიურად სულ უფრო მეტად ადამიანის გეგმავონებას იყვრებს, როგორც წესი, ამ ადამიანების გულშიც იგივე გზისადგება, თუმცა ვაცალებით ნაკლებად ხალხსთან და მონდომებით ადამიანის გული გაუბედავად და ურწმუნოდ მიხედვს კვალდაკვალ ვონებას, მაგრამ საქმე მხოლოდ იმაში როდია, თუ რამდენად ადამიანის ცნობიერება დაიყრდნობა ახალმა მიმდინარეობებმა. არსებითი აქვს არის, რომ საბუნებისმეტყველო აზროვნებას ერთგვარი ძალა დაეყვება, რომელიც გარკვეულ რწმენას ანიჭებს იმ ადამიანს, ვინც მას აკვირდება. ეს რწმენა იმაში გამოიხატება, რომ ვერცერთი თანამედროვე მხოფლმხედველობა გვერდს ვერ აუვლის ხსენებულ აზროვნებას ისე, რომ მნიშვნელოვანი აღქმებით არ გამდიდრდეს. მართალია, აღნიშნული აზროვნების ზოგი მიმდინარეობის წარმოდგენები ჩვენთვის მოუღებელია, მაგრამ ეს დამშვიდების საფუძველს როდი ვაძლევს ჩვენს ეპოქაში, როცა საბუნებისმეტყველო აზროვნებას სულ უფრო მეტი ადამიანი ხმდენად ემორჩილება, თითქოსდა მაგიური ძალა იზიდავს იმასთანავე, ზოგიერთი აზროვნების განცხადება, თითქოს ჭეშმარიტ შეცნობებს დადო ხანა და მოუკიდებლად დაქმნილი უძალიანადაა. ხარკის აღებას, ყველა ადამიანს და მხოლოდ მისთვის.

და ნიუთიერების“ ზერელე მატერიალისტური სიბრძნე, სრულად უსაფუძვლოა და არაფერს ცვლის. ვაცილებით მეტ ყურადღებას იმსახურებენ ის ადამიანები, რომლებიც თამამად აცხადებენ, რომ ახალი რელიგია საბუნებისმეტყველო წარმოდგენებზე უნდა აიგოს. მართალია, იმას, ვინც კაცობრიობის უფრო დრამა სულიერ ინტერესებს იცნობს, ასეთი შეხედულებები ბრტყელი და ზედაპირული მოეჩვენება, მაგრამ ამ შეხედულებების უკუღებულყოფა მაინც არ ეგების, რადგან თანამედროვე ეპოქის გულისყური ხწორედ მათკენაა მიმართული და მოხალოდნელია, რომ მომავალში ეს ყურადღება კიდევ უფრო გაიზარდება, მეორეს მხრივ, გასათვალისწინებელია იმ ადამიანების პოზიციაც, ვისთვისაც გონებისშიერი ინტერესები გულისშიერ მისწრაფებებზე უფრო მნიშვნელოვანია. მათი განსჯა საბუნებისმეტყველო წარმოდგენებს ვერ ცილდება, რადგან მათ სხვადასხვა მტკიცებებისა და არგუმენტების ძალა თრგუნავთ. ამავე დროს, ამ ადამიანების სულის რელიგიური მისწრაფებები დაუკმაყოფილებელი რჩება, რადგან ხსენებული წარმოდგენები ადამიანის სულიერ მოთხოვნილებებს ვერ აკმაყოფილებს. ეს წარმოდგენები ადამიანს უკიდურესად უიმედო პერსპექტივას უსახავს. მართალია, ნუთუ ადამიანის საფშვინველს მხოლოდ იმიტომ უწერია შთავონება ჰმოვოს სილაამაზის, ტეშმარიტებისა და სიკეთის მაღალ იდეებში რომ, საბოლოოდ, ნებისშიერ შემთხვევაში, მატერიალისტური ცნობიერების საძნის ქაფივით არარაობაში განიშქვრეს. ეს შევრძნება დღეს ღამეული კომმარით ბევრს ამძიძებს. ამ ადამიანებს თრგუნავს ავტორიტეტებზე დაყრდნობილი საბუნებისმეტყველო წარმოდგენები. ისინი ცდილობენ, რაც შეიძლება დადხანს მოუხუტონ თვალი თავიანთი საფშვინველის გაორებას და ერთგვარი ნუგეშით იმეორებენ, რომ ადამიანის საფშვინველს არ უწერია ნათლად გაერკვეს ასეთ რამეებში. ამ ადამიანების აზროვნება ბუნებისმეტყველებას ემყარება, რამდენადაც ამას გარე ვრძნობათა გამოცდილება და განსჯის ლოგია ითხოვს, მაგრამ ამავე

დროს, ისინი რელიგიურ ვრძობასაც ისარჩულებენ, თანაც რელიგიის საკითხების მიმართ კვლავაც გონების მომცველ ბურუსში ყოფნა ურჩევნიათ, რადგან ამ საკითხების გახარკვევად ვეზად გამბედაობა არ ჰყოფნით.

მაშასადამე, სრულიად ამკარაა, რომ საბუნებისმეტყველო აზროვნების წესი ახალი დროის სულიერი ცხოვრების ყველაზე მძლავრ ძალას წარმოადგენს და ყველა, ვინც კაცობრიობის სულიერ ინტერესებს ეხება, ამ ძალას გვერდს ვერ აუვლის. მაგრამ ისიც ცხადია, რომ ასეთი აზროვნება ძალზე ზერელედ და არასრულყოფილად პასუხობს სულიერ მოთხოვნილებებს. ჭეშმარიტება მხოლოდ საბუნებისმეტყველო აზროვნებაში რომ სუფიევდეს, მეტად უიმედო მდგომარეობა შეგვექმნებოდა. თავად განსაჯეთ, ვანა აუტანელი არ იქნებოდა, თუკი ძალაუწებურად ამდაგვარ განცხადებას უნდა დაეთანხმებოდით: „აზრი ძალის ნაბრსახეობაა. ჩვენ იმავე ძალის მუშევრობით ვმოძრაობთ, რისი მეოხებითაც ვაზროვნებთ. ადამიანი ორგანიზშია, რომელიც ერთიანი ძალის სხვადასხვანაირ სახეობას აზროვნების ძალად გარდაქმნის, ანუ ეს არის ორგანიზმი, რომლის ქმედითუნარაანობას ჩვენ ეგრეთწოდებულა „კვებით“ უზრუნველვეყოფთ, რის შედეგადაც იმას ვაწარმოებთ, რასაც „აზრებს“ ვუწოდებთ. რა საოცარი ქიმიური პროცესია, რომელიც ხაკების გარკვეულ რაოდენობას ჰამლეტის დვთაებრივ ტრაგედიადა გადააქცევს! აი, ასეთი რამ გვხვდები თობერტ გ. ინგერსოლის ბროშურაში „დამერთების თანამედროვე აღსასრული“. მართალია, ამა თუ იმ პიროვნების მიერ გამოთქმული მსგავსი აზრები გარეგნულად ძალზე მცირე გამოძახილს პოულობს, მაგრამ მთავარი აქ ის არის, რომ ადამიანების ხაკაოდ დიდი ნაწილი საბუნებისმეტყველო აზროვნების გამო იძულებულია სამყაროში მიმდინარე პროცესების მიმართ მსგავს თვალსაზრისს ღაადგეს იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ვერც წარმოუდგენია, რომ ამას სჩადის.

რა თქმა უნდა, მთლად უღიმღამო სიტუაციაში აღმოჩნდებოდით, ბუნებისმეტყველება თავად რომ აიძულებდეს ადა-

მანს იმ დასკვნების გამოტანას, რასაც ბევრი მისი უახლესი „მეოცეულის“ აცხადებს. თანაც ყველაზე უიმედო პერსპექტივა სწორედ იმ ადამიანებს შეეკმნებოდათ, ვისაც ბუნებისმეტყველების შინაარსიდან გამომდინარე, სჯერა, რომ საბუნებისმეტყველო აზროვნების წესი ბუნების მიმართ სრულებით მართებულია და რომ ბუნებისმეტყველების მეთოდები ურყევია. ისეთი ადამიანი თავის თავს უნდა უმეორებდეს: რამდენიც არ უნდა იღაფონ და იკამათონ ბუნებისმეტყველების ამართუ იმ საკითხზე, წერონ ერთმანეთის მიყოლებით სქელი ტომები აგროვონ დაკვირვებები „არხებობისათვის ბრძოლაზე“ ან მის უმართებულობაზე, ბუნებრივი შერჩევის „ეროლისმემკლესობისა“ და „უსუსურობაზე“, მთავარია, რომ თავად ბუნებისმეტყველება იმ მიმართულებით ვითარდება, რომელიც თანდათანობით გარკვეულ საზღვრებში აუცილებლად სულ უფრო მეტ აღიარებას მოაპოვებს.

მაგრამ ხაკითხავია, მართლაც ისეთია ბუნებისმეტყველების მოთხოვნები, როგორც ამ სფეროს ზოგიერთი წარმომადგენელი ამტკიცებს? ვანა თავად ამ მეცნიერთა მოქმედება საწინააღმდეგოს არ გვიმტკიცებს? საკუთარ დარგში ისინი თავს სრულიად სხვაგვარად წარმოგვიჩვენენ. სულაც არ დავიღვევ იმ მოთხოვნებს, რასაც თავიანთ ნაწერებში შემეცნების სხვა სფეროებს უყენებენ. ვანა დარვინი და ერნსტ ჰეკელი შეძლებდნენ სიცოცხლის განვითარების სფეროში უდადესი აღმოჩენები მოეხდინათ, ცხოველთა ცხოვრების ნირისა და სხეულის აგებულების შესწავლის ნაცვლად ლაბორატორიაში ამ სხეულის პატარა ნაჭერზე ქიმიური ცდები რომ ეტარებინათ? ან ლაიფლი შეძლებდა მიწის ქანის ევოლუციის აღწერას, თუკი ქანების დანაშრეებისა და შემადგენლობის შესწავლის ნაცვლად სხვადასხვა ქვების ქიმიურ ანალიზს ვადაქვევბოდა? მამ რატომ არ სურთ ადამიანებს ამ მეცნიერთა ჭეშმარიტი მიმდევრები იყვნენ, რომლებიც მეცნიერების უახლეს განვითარებაში ვრანდიოზულ ფიგურებს წარმოადგენენ. მაშინ მათ სულს უმაღლესი სფეროების

კვლევისას ამავე მოხილვა გამოუმუშავდებოდათ, როგორც ბუნებაზე დაკვირვებისას და აზრადაც აღარაეხებოდათ, რომ ქაძლუტის ტრაგედიის „ღვთაებრივი“ შინაარსის წყვეთი შესაძლებელია მტკიცებით, თითქოს საოცარი ქიმიურ პროცესის შედეგად საცვების გარკვეული რაოდენობა ხსენებულ ტრაგედიად იქცა. ამას აღარაეხებოდათ დაიჯერებდნენ, ისევე, როგორც არცერთი ნატურალისტი არ ერწმუნება იმას, რომ თითქოს ღვდამიწის განვითარებაში ხითბოს როლის შესწავლა ქიმიურ რეტორტაში ვოგარდზე სითბოს მოქმედებაზე დაკვირვებით არის შესაძლებელი. ადამიანის ტვინის ავებულებას მკვლევარი იმით როდი შეისწავლის, რომ ტვინის პატარა ნაჭურზე ტუტეების ზემოქმედებას იკვლევს; ტვინის ავებულებას იგი უკეთ ნახსენებდა, თუკი იმაზე დაფიქრებდა, როგორ ვითარდებოდა ადამიანის ტვინი ღვდამიწის ევოლუციის განმავლობაში უფრო დაბალი განვითარების არსებების ორგანოებიდან. იგი აზრად არც იმას იმართებდა, რომ მკვლევარს მაშასადამე, ის აზრი, რომ სულეერი არხის მკვლევარს ბუნებისმეტყველებისგან რაღაცის სწავლა შეუძლია, ასე თუ ისე მართებულა და ამრიგად, სულეერი სფეროს კვლევისას მავანი ბუნებისმეტყველების პრინციპების თანახმად უნდა მოქმედებდეს. მაგრამ ამავე დროს მას ამ მეცნიერების ზოგიერთი წარმომადგენლის რეკომენდაციებში თავგზა არ უნდა აუბნოს. მართალია, სულეერ სფეროს იგი ისევე უნდა იკვლევდეს, როგორც ხსენებული მეცნიერები ფიზიკურ სფეროს შეისწავლიან, მაგრამ ამავე დროს არ უნდა იზიარებდეს იმ თვალსაზრისებს, რომლებიც ხსენებულ მეცნიერებს მხოლოდ ფიზიკურ საგნებზე და მოვლენებზე ფიქრის შედეგად ჩამოყვალაობდათ, რამაც მათი ცნობიერება დაბინდა. ის აზრად არც იმას იმართებდა, რომ მკვლევარს ამრიგად, შეეკრძალია განკაცხადოთ რომ ბუნებისმეტყველების სულისკვეთებით სწორედ იგი მოქმედებს, ვინც ადამიანის სულეერ განვითარებას ისევე მიუყვართებდად სწავლობს, როგორც ნატურალისტი — ვრძნობად სამყაროს.

როს. ეს პოზიცია სულეირა ცხოვრების სფეროში კვლევის
ისეთ პრინციპამდე მიგვიყვანს, რომელიც ისევე განსხვავდება
ხაბუნებისმეტყველო მეთოდებისაგან, როგორც გეოლოგიუ-
რი კვლევა — წმინდა ფიზიკური გამოკვლევისაგან, ანდა სი-
ცოცხლის ევოლუციის შესწავლა განსხვავდება წმინდა ქიმი-
ური კანონზომიერების დადგენისაგან. ამის შედეგად სულე-
ირი კვლევის ისეთ უმაღლეს მეთოდებს მივიღებთ, რომლებსაც
შეიძლება ხაბუნებისმეტყველო მეთოდები ვერ ვუწოდოთ, მა-
გრამ ბუნებისმეტყველების სულისკვეთებას ხავსებით უპასუ-
ხებს. მხოლოდ ასეთი მეთოდების დახმარებით შეიძლება
ქრისტიანობისა და სხვა რელიგიურ სამყაროთა სულეირი
განვითარების პროცესის წვდომას. ის, ვინც ამ მეთოდებს
იყენებს, შეიძლება ერთგვარ წინააღმდეგობას წააწყდეს იმ
ადამიანების მხრიდან, ვისაც თავი ბუნებისმეტყველების მიმ-
დევრებად წარმოუდგენიათ, მაგრამ ამ უკუქმეულებამ არ უნდა
დააუჭვოს ეს ადამიანი იმაში, რომ იგი ჭეშმარიტი ბუნებისმე-
ტყველების თვალსაზრისებთან სრულ პარამონიაში იმყოფება.

ასეთი მკვლევარი სულეირი ცხოვრების ძეგლთა კვლევის
წმინდა ისტორიულ თვალსაზრისზეც უნდა ამაღლდეს. ამი-
სკენ მას იმ აზრთა წყობა უხმობს, რომელიც ცხოვრების
ბუნებრივ მოვლენებზე დაკვირვებიდან იშვა. განა რომელი-
მე ქიმიური კანონის ჩამოყალიბებისას აუცილებელია ვე-
ლა იმ რეტორტის, მინის ჭურჭლისა და პინცეტის აღწერა,
აღნიშნული კანონის აღმოჩენისას რომ დასჭირდათ? ასე-
ვე, ქრისტიანობის წარმოშობის წარმოჩენისას არავითარი
მნიშვნელობა არ გააჩნია იმ ისტორიული წყაროების და-
ბუნას, რომლებითაც ღუკა მახარობელი ხელმძღვანელობ-
და; ანდა ითანეს „იდუმალ გამოცხადებას“ საფუძვლად რომ
დაედო. „ისტორიამ“ ამ შემთხვევაში შეიძლება მხოლოდ
ჭეშმარიტი გამოკვლევის შესავალის როლი შეასრულოს.
წერილობით ძეგლთა ისტორიული წარმოშობის პრინციპი
ვერც მოხეს წიგნებსა თუ ბრძენ მიხტთა ვადმოცემებში
გაბატონებულ შეხედულებებში გაგვარკვევს. ისტორიულ

ძველებში ამ შეხედულებებსა მხოლოდ გარეგნული გამოხატულება ჰქონდა. ნატურალისტი „ადამიანის“ არსის შემეცნებისას არ შეუდგება იმის ჩხრეკას, თუ როგორ წარმოიქმნა სიტყვა „ადამიანი“ და როგორ ვითარდებოდა იგი მოცემულ ენაში, რადგან მიხთვის მთავარია საგანი და არა სიტყვა, რომელშიაც საგანი თავის გარეგნულ გამოხატულებას ქოვევს. ასევე, სულაერ ცხოვრებაშიც სულით უნდა ვიხელმძღვანელოთ და არა მისი გარეგნული ძეგლებით.

ვერ გაუგებენ სხვა ადამიანები, რომლებმაც ავიწყ გზა ვერ
კადვე არ გაუვლიათ.

ასეთი გაუცხოება ელოდა ყველა ხელდასხმულს, რომელს
იც იმ იდუმალ სიბრძნეს უზიარებოდა, ნათელს რომ ჰქონდა
უზენაეს კითხვებს და სხვათათვის დაფარული იყო. რჩეულთა
ეს „ფარული“ რელიგია ხალხური რელიგიის გვერდით არსე-
ბობდა. ისტორიული თვალთახედვა ვერ სწევდა მის საწვი-
სებს, ხალხთა წარმოსობის წევდიადში რომ იყარვება, მა-
გრამ, სადაც ეს ჩენი შემეცნება აღწევს, უძველეს ხალხთა
ცივილიზაციებში, ყველგან, ამ „ფარულ“ რელიგიას ვხვდე-
ბით. ბრძენი ადამიანები დიდის კრძალულებითა და მოწი-
წებით სძრავენ ხიტყვას მისტერიებზე. საკითხავია, მაინც
რას იმარხავდნენ, ანდა რჩეულთ რას განუცხადებდნენ
მისტერიები?

რადღუნ დაგვაფიქრებს მათი იდუმალება, როცა შევოტ-
ვობთ, რომ ძველები მისტერიებს უფროთხოდნენ, როგორც რა-
ღაც საშიშ ინსტიტუტს. ყოფიერების იდუმალებებისაგან მი-
მაყალი გზა საშიხელებათა ქვეყანაში გადიოდა და ეათ იმ
უღირხს, ვინც ურჩად ეცდებოდა იქ შეღწევას. სხვა უფრო
დიდი დანაშაული არ არსებობდა, ვიდრე ხაიდუმლოს „გაცე-
მა“ გახლდათ. „გამცემი“ სიკვდილით და ქონების კონფისკა-
ციით ისჯებოდა. როგორც ვიცით, პოეტ ესქილუს ბრალი და-
ხდეს, რომ მისტერიათაგან ზოგი რამ სცენაზე გადმოიტანა.
პოეტი სიკვდილს მხოლოდ იმით გადაურჩა, რომ დიონისეს
საერთოხეულს შეაფარა თავი, ხოლო ხასამართლომ დაად-
გინა, რომ იგი ხელდასხმული არ ყოფილა.

არა მხოლოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რასაც
ძველები მისტერიათა შესახებ ამბობდნენ, არამედ იგი გარკ-
ვეულ აზრსაც აიღუმალებდა. ხელდასხმულს მტკიცედ სწამ-
და, რომ თუკი ფარულ ცოდნას ჩვეულებრივ ადამიანს გაან-
ლობდა, ამით თვითონაც და მისი მსმენელიც გარკვეულ ცოდ-
ვას ჩაიდენდნენ. პლუტარქე გვიამბობს იმ შიშზე, ხელდასხ-
მის გზაზე შემდგარ ადამიანს, სეოფიტს რომ აპერობს და მას



სიკვდილის კარიბჭეში გასვლისათვის შემზადებას ადარებს. ხელდასხმას ყოველივეს წინ უძღოდა ცხოვრების განსაკუთრებული წესი, რომელიც ხელს უწყობდა გრძნობებზე სულის ხელწიფებასა და ამადლებას. ამ მიზანს ემსახურებოდა მარხვა. განწმენდის გზები და საშუალებები, საფშუინველის გარკვეული წვრთნა. ღირებულება უნდა დაკარგოდა ვველაფერს, რაც ადამიანს ცხოვრებაში იზიდავს. სეოფიტის შეგარძნებებსა და გარძნობებს მთლიანად უნდა შეცვლოდა მიმართულება. ამგვარი წვრთნა და უმკაცრესი გამოცდები ერთადერთ გარკვეულ მიზანს ისახავდა და შეუძლებელია მისი სხვაგვარი ინტერპრეტაცია. სიბრძნე, რომელიც ნეოფიტს უნდა მიეღო, მხოლოდ მაშინ მოახდენდა მართებულ ზემოქმედებას მის საფშუინველზე. უკეთუ მანამდე თავის მდარე შეგარძნებების სამყაროს დახეწდა და გარდაქმნიდა. ნეოფიტს სულის ცხოვრებაში შექყავდათ, ზეგარძნობადი ქვეყნის კვრეტად განამზადებდნენ. წინასწარი წვრთნისა და სპეციალური გამოცდების გარეშე იგი ზეგარძნობადი ქვეყნისადმი ევრავითარ შინაგან მიმართებას ვერ შეიქმნიდა. მთავარი კოსმორუდ ზეგარძნობადისადმი ამ მიმართების გამოუმუშავება გახლდათ. ვისაც სურს ამდაგვარ პროცესებზე სწორი წარმოდგენა-იქონიოს, ვერ შემეცნებითი ცხოვრების უღრმესი, ძირეული ფაქტები და მოვლენები უნდა განიცადოს და გაითავისოს. მან უნდა შეივარძნოს, რომ უმაღლესი შემეცნებისადმი ორი რადიკალურად განსხვავებული მიმართება არსებობს. გარემოცველი სამყარო ადამიანს, უპირველეს ყოვლისა, სინამდვილის, რეალობის განცდას ანიჭებს. ამ სამყაროს პროცესებს იგი ხელით ეხება, თავლით ხედავს, ყურით ისმენს; მაშასადამე, ვრძნობების მეშვეობით აღიქვამს და, ამდენად, იგი მისთვის რეალურია. ადამიანი ამ პროცესებს უფიქრდება, რათა მათ შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულება შეიმეცნოს. — ამის საპირისპიროდ თავის საფშუინველში აღძრულსა თუ წარმოქმნილს იგი თავდაპირველად გარესამყაროს მსგავს სინამდვილედ ვერ აღიქვამს, რადგან მისთვის ეს მხოლოდ

აზრები და იდეებია. დიდი-დიდი ადამიანმა მათში სინამდვილის ხატება დაინახოს, რომელიც თავისთავად რეალობას მოკლებულია. აზრებსა და იდეებს ხომ ხელით ვერ შევხებით, ვერ დაინახავ და ვერც გაიგონებ!

მაგრამ საგნებისადმი მეორე მიმართებაც არსებობს, რაც, საეჭვოა იმ ადამიანმა გაიგოს, მხოლოდ და მხოლოდ გარესი-სინამდვილეს რომ ჩასჭიდება. ეს მიმართება ზოგიერთი ადამიანის ცხოვრების გარკვეულ მომენტში ჩნდება და მამინ სამყაროსადმი მიხი დამოკიდებულება მთლიანად იცვლება. იგი რეალობად რაღაც ხატ-ხახეებს შერაცხავს, რომლებიც მის სულიერ ცხოვრებაში წარმოიშვება, ხოლო რასაც თავისი გრძნობებით ეხება, ხედავს და იხმენს, მას მხოლოდ მდარე ხარისხის სინამდვილედ მიიჩნევს. მან იცის, რომ თავისი შეხედულების დასაბუთება არ შეუძლია; კხლად განცდილის მხოლოდ აღწერა თუ ხელეწიფება. ამ მხრივ იგი იმ თვალხილულს ემხგავსება, რომელიც ბრძას თავის მხედველობით შთაბეჭდილებებს განუმარტავს. ნოოფიცი შინაგან განცდებზე საუბარს მხოლოდ იმ რწმენით ბედავს, რომ ჩვეულებრივ ადამიანებს სულიერი თვალი თუმცა დახშული აქვთ, მაგრამ მომავალში შეიძლება ახილოთ იმის ძალით, რაიც მათ ეუწყებათ. ნოოფიტებს ადამიანებისა ხწამთ და მათი სულიერი თვალის ახელასაც მიეღობიან. ნოოფიტებს მხოლოდ ხაკუთარი სულის მიერ მოწეული ნაყოფის შემოთავაზება ძალუძთ. მავანის რწმუნება დამოკიდებულია იმაზე ახელილი აქვს თუ არა მას სულიერი თვალი. ადამიანში არის რაღაც ისეთი, რაც დასაწყისში მას ხელს უშლის ზეგრძნობადი სინამდვილედ სულიერი თვალით აღიქვას. გარეხამყაროში ადამიანის პირველდაწყებითი განვითარება არ არის გამიზნული შინაგანი მხედველობისათვის. ცხოვრების დასაწყისში ადამიანი მხოლოდ საკუთარ გრძნობების გამოხატულებას წარმოადგენს. მისი განსჯა კი ოდენ გრძნობების მსაჯული და ამხსნელია. ხოლო ეს გრძნობები თავის დანიშნულებას ვერ გაამართლებდნენ, თუკი თავიანთი შთაბეჭდილებების უტყუარობასა და შეუძც-

დარობას არ დაეყრდნობოდნენ. უმაქნისი იქნებოდა ის თვალი, რომელიც, თავის მხრივ, მხედველობით შთაბეჭდილება. თა უცილობელ რეალურობას არ გვამცნობდა. თვალი თავის-თავად შეუმცდარია და ნანახის ხიზუსტესა და შეუმცდარობას არც სულიერი ხედვისას კვარგავს სულიერი ხედვა, მხოლოდ, ჩვეულებრივი მზერით აღქმული ხაგნების უფრო მაღალ პლანში განჭვრეტის საშუალებას იძლევა. ამ შემთხვევაში ადამიანი არ უარყოფს არაფერს, რასაც ჩვეულებრივი, გრძნობადი თვალი ხედავს. მაგრამ ახლა თვალით დანახულიდან ახალი, მანამდე უხილავი ნათელი გამოსჭვივის და ადამიანი რწმუნდება, რომ მანამდე მხოლოდ მდარე სინამდვილეს ხედავდა. ახლა კი, თუმცა იგივეს აღიქვამს, მაგრამ ეს იგივე სინამდვილე ხენაართ, სულათ გარემოცული ევლინება. მთავარი ის გახლავთ, თუ რამდენად შეიგრძნობს, რამდენად განიცდის ადამიანი იმას, რასაც ამ დროს ჭვრეტს. ვინც ცოცხალი შეგრძნებებითა და გრძნობებით მხოლოდ გრძნობად სამყაროს უახლოვდება, იგი ხენაარ, ზეგრძნობად სამყაროს ოდენ ზმანებად, ფანტასტიკურ ხატად აღიქვამს. მხოლოდ გრძნობად ხაგნებს მისადაგებული მიხეული აღქმა სიცარიელეში იხიქება, როდესაც სულის ხატ-სახეების წვდომას განიზრახავს. ხატ-სახეები მიახლოებისთანავე შორდება მას, რადგან ისინი მისთვის „მარტოოდენ“ აზრები და იდეებია. იგი მათ საკუთარი აზროვნების ნაყოფად მიიჩნევს, მაგრამ არ ცხოვრობს მათში. ამ დროს ადამიანისათვის ხატ-სახეები წამიერ სიზმარეულ ზმანებებზე უფრო წარმაყალია. როდესაც ადამიანი მათ საკუთარი გრძნობების რეალობას უპირისპირებს, მახიური, მკვიდრად ნაგები გრძნობადი გარესინამდვილის წინაშე ხატ-სახეები საპნის ბუშტებივით ქრება. მაგრამ ის, ვინც საკუთარი შეგრძნებები და გრძნობები გარდაქმნა, ზემოხსენებულ პროცესს სხვაგვარად განიცდის. ასეთი ეულტივიარებული ადამიანისათვის გარესინამდვილე კარგავს თავის აბსოლუტურ მდგრადობასა და უპირობო დირებულებას. მისი შეგრძნებები და გრძნობები კი არ ჩლუნგდება, არა-

მედ თავის უპირობო შეუწყობას მკარგავს. ისინი აღვიღს უთ-
მოხენ რაღაც სხვა შინაარსს — სულის სამყარო იწყებს აღქ-
მულის ახალი შინაარსით გაცოცხლებას.

მაგრამ ამავე დროს შეიძლება საშინელებაც მოხდეს, თუკი
კაცი უშუალო სინამდვილის, რეალობის შეგრძნებებსა და
გრძნობებს დაკარგავს, ხოლო სამავსუროდ არავითარი სხვა
სინამდვილე არ განუცხადება, იგი თითქოს სიცარიელეში
იწყებს ფარფატს. იგი საკუთარ თავსაც მკვდრად მიიჩნევს.
ძველი ფასეულობანი განადგურდა, ახალი კი მისთვის ჯერ არ
წარმოშობილა. ასეთი ადამიანისათვის აღარც ქვეყანა არსე-
ბობს და აღარც ადამიანი. აქ ჩვენ რაღაც ალტერნატიულ
შესაძლებლობას არ ვგულისხმობთ. ყოველი ადამიანისათ-
ვის, ვისაც სურს უშაღლეს შემეცნებამდე ამაღლდეს, ეს შე-
საძლებლობა ოდესმე სინამდვილედ იქცევა. ადამიანი იმ
ზღვარს აღწევს, როდესაც სული მას სიცოცხლის ყველა გა-
მოვლინებას განუცხადებს ვითარცა სიკვდილს. იმიერდიან
იგი ამა სოფლად აღარ იშვოფება. იგი ამა სოფლის დამართ-
ქვესკნელში იძირება; აიღში — ქვესკნელში მოგზაურობს.
ღმერთი შეეწყვა, თუკი ამ მოგზაურობისას არ დაიღუბება,
თუკი მას ახალი სამყარო განუცხადება. იგი ან ამ ახალ ხამ-
ყაროში დაინთქმება, ანდა საკუთარ თავს გარდასახული და
ფერნაცყალი წარმოუდგება. უკანასკნელ შემთხვევაში მას
ახალი მზე, ახალი ღედამიწა მოევლინება. სულიერი ცეცხ-
ლიდან მისთვის მთელი სამყარო აღორძინდება.

იმას, რასაც ნეოფიტები მისტერიებში განიცდიდნენ, შე-
მდეგნაირად აღწერდნენ. მაგალითად, მენიპე მოგვითხ-
რობს, რომ ბაბილონს იმიტომ გაემგზავრა, რათა ზორთას-
ტრის მიმდევრები აიღში ჩამოლოდნენ და ისევ უკან დაე-
ბრუნებინათ. მენიპე გვიამბობს, თუ როგორ გადასერა დია-
დი წელეში, გამოიარა ცეცხლის ალიცა და ყინულებიც.
მისტებისაგან ევებულობთ, რომ მათ შიშის ზარს სცემდა
ქარქაშიდან ამოწვდილი სისხლგამდინარე მახვილი. ეს სი-
ტყუები გასაგები ხდება იმისთვის, ვინც უმდაბლესი ცოდნი-

დან უმაღლეს შემეცნებად შემიძლია გზის ყოველ ეტაპსა თუ საფეხურს იცნობს. მან ერთ დროს თვითონვე განიცადა, თუ როგორ იწყო წყალივით დენა ყოველივე მყარმა და ყოველივე გრძნობადმა. დიახ, ის, რასაც იგი ცოცხლად მიიჩნევდა, ერთიანად მოიშთო და განადგურდა. როგორც მახვილი განგმირავს ცოცხალ სხეულს, ისე სულმა განმსჭვავა მთელი გრძნობადი ცხოვრება. ადამიანი გრძნობადი სამყაროს გაღიწვებულ სისხლს ჭერეცდა.

მაგრამ შემდეგ კი ახალი ცხოვრება წარმოიქმნა. ადამიანი ქვესკნელიდან ამოვიდა. ამის შესახებ ორატორი არისტოიდე ასე გვიყვება: „მეჩვენებოდა, რომ ღმერთს ვეხებოდი. მის სიახლოვეს ვგრძნობდი და ამავე დროს ძილ-ღვიძილს შორის ვიმყოფებოდი. ჩემი სული ხრულიად მსუბუქი გახდა. იმდენად მსუბუქი, რომ ამის გამოთქმა და გაგება არცერთ ჩვეულებრივ ადამიანს არ ძალუძს“. ეს ახალი არსებობა უმდაბლესი ცხოვრების კანონებს არ ემორჩილება. წარმოშობისა და განადგურების — დაბადებისა და სიკვდილის კანონზომიერება მას აღარ ეხება. შეიძლება დაუსრულებლად ვილაპარაკოთ მარადიულზე, მაგრამ უკეთუ მასზე აიღში შთასვლამდე ვმსჯელობთ, ჩვენი სიტყვები ოდენ „ბგერა და კვამლია“. ხელდასმულები, ნეოფიტები სიკვდილ-სიცოცხლესაც ახლებურად აღიქვამდნენ. მათ კარგად იცოდნენ, რომ ჩვეულებრივი ადამიანი უკვდავებაზე მხოლოდ იმას ამბობს, რაიც არ უწყის. უბრალო ადამიანი უკვდავებას იმ ხატებს მიაწერს, წარმოშობისა და განადგურების კანონებს რომ ემორჩილება. მაგრამ მისტებს მხოლოდ სიცოცხლის ხაწყისის მარადიულობაში დარწმუნება როდი აკმაყოფილებდათ. მათი თვალსაზრისით ამგვარ რწმენას არავითარი ფასი არ გააჩნდა, რადგან ჩვეულებრივი ადამიანის წიად მარადიული არ ცხოვრობს და თუკი იგი მარადიულს ეხება, როგორც წესი, არარსებულზე მსჯელობს. სწორედ მარადიულს ესწრაფვოდნენ მისტები. მარადიული ჯერ საკუთარ თავში უნდა გაეღვიძებინათ და მხოლოდ ამის შემდეგ შეეძლოთ მასზე ლაპარაკი. ამრიგად, მათ

თვის მართლდებოდა პლატონის უმკაცრესი გამოთქმა, რომ ჩვეულებრივი ადამიანი მლამშია ნაფლული და მარადიულად მხოლოდ ის ერწყმის, ვინც მისტურ გზას განლევს. მხოლოდ ამგვარად შეიძლება ვაგიგოთ სოფოკლეს ნაწარმოების ფრაგმენტო: „რაოდენ მაღალუნეტარესად აღწევენ ღანდების საუფლოს ხელდასხმულებო! აიღში მხოლოდ მათ ეცხოვრებათ; სხვათათვის იგი ტანჯვა და მწუხარებაა“.

მართლაც რომ ათას საფრთხესა და ხაშინროებას აღგვიწერენ ის ავტორები, რომლებიც მისტერიებს ეხებიან, როდესაც ადამიანი ქვესკნელის კარბჭესთან მიჰყავთ, ამით ხომ ბედნიერებაც, ცხოვრების უმაღლესი ღირებულებაც უნდა წაჰკვიარონ. ამიტომაც შემზარავი იყო ის პასუხისმგებლობა, რომელიც ამ დროს ინიციატორებს უნდა ეტვირთათ. ამისდა მიუხედავად, გვაქვს კი უფლება ავიცილოთ პასუხისმგებლობა? ამგვარ კითხვაზე უნდა ვპასუხავი მისტრს. მან კარგად იცოდა, რომ ხალხური მსოფლმხედველობა, ხალხში გავრცელებული შეხედულებანი ისე უპირისპირდებოდა მიხეულ ცოდნას, როგორც წევდიადი ნათელს. მაგრამ უბრალო ადამიანი უმეცრებასა და გაურკვევლობაში თავის წილ გულუბრველო ბედნიერებასაც პოულობს. მისტრებს სწამდათ, რომ ამ ბედნიერების დანაშაულებრივად ხელყოფა დაუშვებელია. პირველ ვოულასა, რა მოხდებოდა იმ შემთხვევაში, თუკი მისტრ საიდუმლოებას „გახცემდა“? მის ბაგეთაგან დაცდენილი სიტყვები მხოლოდ სიტყვებად დარჩებოდა. ვერაერთინ სიტყვა ვერ გადმოსცემდა იმ შეგრძნებებსა და გრძნობებს, რომელთა შესულობითაც ადამიანი წვდება სულს; ამისთვის საგანგებო მომზადება, კარჯიში და მთელი გრძნობადი ცხოვრების ვარდასახვა იყო საჭირო. უამისოდ მსმენელი უეცრად სიცარიელეში, არარაობაში აღმოჩნდებოდა. ადამიანს წაპგვრიდნენ იმას, რასაც იგი ბედნიერებად მიიჩნევდა და სანაცვლოდ კი ვერაერთინ საზღაურს ვერ მიიღებდნენ. თუმცა ვერც ვერაფერს წაპგვრიდნენ, რადგან მარტოოდენ სიტყვებით გრძნობათა ცხოვრების ვარდაქმნა შეუძლებელია. უბრალო ადამიანს მხოლოდ

გრძნობებისათვის მისაწვდომ საგნებში ძალუძს რეაქციის შეგრძნება, რეაქციის განცდა; ცხოვრების დამანგრეველი საშინელი წინათგრძნობის მეტი მას არა შერჩებოდა რა ამგვარი ქმედება კი, თავისთავად ცხადია, დანაშაული იქნებოდა. თუმცა ჩვენს დროში სულისმეცნიერებისთვის ზემოაღწერილ პირობებს ადრინდელი მნიშვნელობა აღარა აქვს. დღეს სულისმეცნიერება შეიძლება გავგებულ იქნას ცნებების მეშვეობით, რადგან თანამედროვე კაცობრიობას ცნებითი აზროვნების უნარი გააჩნია, რასაც ძველ დროში მოკლებულნი იყვნენ. ვინც, პირადი განცდიდან გამომდინარე, ზეგრძნობად სულიერ სამყაროზე გარკვეულ შეშეცნებას ფლობს, მას შეუძლია დღეს სულისმეცნიერების ტრადიციები სხვებსაც გაუზიაროს, ხოლო მის მსმენელებს ძალუძთ ხსენებული განცდები ცნებების სახით აღიქვან. ძველ კაცობრიობას სწორედ ამგვარი ცნებითი აზროვნების უნარი აკლდა.

მისტერიათა ხიბრძნე სათბურის მცენარეს ჰგავს, იგი ამა ქვეყნისგან შორს რუდუნებით აღზრდასა და მოვლას საჭიროებს. ვინც მას ჩვეულებრივ ყოფით შეხედულებათა ატმოსფეროში გამოიტანს, ისეთ გარემოს უქმნის, სადაც იგი ვერ იხარებს. თანამედროვე მეცნიერებისა და ლოგიკის მსუსხავი გონება მახვილური მსჯელობა ამ ხიბრძნეს სრულიად აცამტყერებს. ამიტომ, მოდით, დროებით დავივიწყოთ მიკროსკოპის, ტელესკოპისა და თანამედროვე აზრთა წყობის მეშვეობით მიღებული აღზრდა-განათლება. მანკიერება და ხინჯი მოვაცილოთ ჩვენს მოუქნელ ხელებს, რომლებიც დიდი ხანია დაჭრა-დანაწევრებასა და ექსპერიმენტირებას მივაჩეუთ, რათა შევძლოთ მისტერიათა წმინდა ტაძარში შესვლა. ამ დროს ყოველგვარი მიკერძოებისაგან უნდა განვთავისუფლდეთ.

მისტიხათის, უპირველეს ყოვლისა, მთავარი და მნიშვნელოვანი სწორედ ის განწყობაა, რომლითაც იგი უზენაესს უახლოვდება, ყოფიერების ყველა იდუმალ კითხვაზე პასუხს რომ იტყვს. ძნელია იმის დაჯერება, განსაკუთრებით კი დღეს,

როდესაც შემეცნებად უხეშ-მეცნიერულ დასჯენას მიიჩნევენ,
 რომ უმადლეს საკითხებთან მიმართებისას ადამიანის გან-
 წყობას შეიძლება გარკვეული მნიშვნელობა მიენიჭოს. გან-
 წყობა რომ პირად და ინტიმურ მოქმედებად აქცევს შემეცნე-
 ბას. მაგრამ სწორედ რომ ამგვარია შემეცნება მისტიკოსის.
 ეთქვას, მაეანს სამყაროსეული, იღუმალუებით მოცული რო-
 მელიძე საკითხის პასუხი ამკრეს უფრო მეტიც, მზამზარეუ-
 ლად მითართებს მისი ყოველმხრივი ახსნა-განმარტება. მისტი-
 სათვის ასეთი სამს-ური არაფრის მაქნისია, რამდენადაც
 თვითონ პიროვნება არ ცდილობს ამ საკითხისადმი თავისი
 სათანადო დამოკიდებულება გამოიმუშავოს. ამგვარი მზამზა-
 რეული ახსნა უხუსურია და მტყუროვით იფანტება, თუკი შე-
 მშეცნებელი ადამიანის გრძნობას განსაკუთრებული და აუცი-
 ლებელი ცეცხლი არ ათბობს. — (წარმოიდგინე, რომ ღვთაება
 გამოგეცხადა! შენთვის იგი ან ყველაფერია, ან არაფერი. იგი
 არაფერია, თუკი იმავე განწყოებით მიუახლოვდი, ყოველდღი-
 ურობის საგნებს რომ ეხები, მაგრამ თუკი მზად ხარ, განწყო-
 ბილი ხარ მასთან შესაგებებლად, მაშინ ღვთაება ყველაფე-
 რია. მისი თავისთავადი არსი შენ არ გეხება. მთავარი ისაა,
 მიხსნებისას ღვთაება იმადვე დაგტოვებს, რაცა ხარ, თუ გა-
 რდაგხახავს და გარდაგქმნის. ეს კი, მთლიანად შენზეა დამო-
 კიდებული. საკუთარი პიროვნების უღრმესი დაფარული ძა-
 ლების აღზრდითა და განვითარებით უნდა მიაღწიო იმას, რომ
 აღანთო და გაათავისუფლო შენს წიად დამარბული ღვთაებ-
 რივი შესაძლებლობა. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე თუ
 რა განწყოებით ხვდები ღვთაებას. სწორედ ამგვარ აღზრდაზე
 ლაპარაკობს პლუტარქე, როდესაც აგვიწერს, რა სიტყვებით
 ეგებება მისტი ღვთაებას, რომელიც მას ეცხადება: „რადგან
 ღმერთი ყოველ ადამიანს, რომელიც მას უახლოვდება, ერთი
 და იგივე სიტყვებით ესაღმება: შეიცან თავი შენი! — რაც
 თავისთავად ხულაც არ ჩამოუვარდება ჩვეულებრივ მისაღ-
 მებას: — გამარჯობა!“ ჩვენ კი ამაზე ასეთნაირად ეპასუხობთ:
 შენ ხარ! და ამით ყოფიერების ხალამს ვუძღვნით, ვითარცა

7

ჭეშმარიტ პირველარსს, რაკიღა ყოფიერება ოდენ მისთვისაა
დამახასიათებელი. სიმართლე ითქვას, ჩვენ ამ ყოფიერებაში
არც კი ვმონაწილეობთ; წარმოშობასა და განადგურებაში
ჩართული ყოველი მომაკვდავი არსება მხოლოდ მოვლენას
წარმოადგენს, ხუსტად და გაუბედავად რომ ოცნებობს საკუ-
თარ თავზე. ამ მოვლენის ჩვენეულ განსჯაში მოქცევას თუ
შევეცდებით, მოხდება ის, რაც ძლიერად შეეკმშულ წყალს
უმართება, რომელიც, როცა მის დაჭერას ვლამობთ, იღვრება
და ის, რინი შეპყრობაც გვეწადა, ხელიდან გვისხლტება. ასე-
ვე, ჩვენეული განსჯაც, რომელიც ღამობს ცვალებადობის
ყველა შემთხვევათობას დაქვემდებარეულ რომელიმე არსე-
ბაზე სრულიად მკაფიო, ნათელი წარმოდგენა იქონიოს, თავის
ცდომილებაში შეიძლება მხოლოდ ამ არსების საწყისს, ან მის
აღსახრულს მიაკვლიოს, მაგრამ არ ძალუძს არავითარი მა-
რადიულისა და ჭეშმარიტი არსის წედომა. როგორც პერაკ-
ლიტე ამბობს — შეუძლებელია ორჯერ წყლის ერთ და იგივე
ნაკადში შესვლა და შეუძლებელია მოყვადვი არსების ორჯერ
ერთი და იგივე მდგომარეობაში შეცნობა, მოძრაობის ძალითა
და სიჩქარით ეს არსება ხან ნაწევრდება, იშლება, ხან კვლავ
ერთდება, წარმოიქმნება და ნადგურდება, მოდის და მიდის.
ამიტომ ყოველივე ქმნადი ჭეშმარიტ არსებობას ვერასდროს
მიადწევს. ქმნადობა არასოდეს წყდება, არასოდეს ჩერდება.
ცვლილება უკვე თესლშივე ვითარდება, როცა ჯერ ჩანასახი
გაინახკვება, შემდეგ კი ბავშვი, ერმა, კაცი და მოხუცი წარმო-
იქმნება. მუდამ წინა წარმონაქმნისა და ასაკის მოსპობით
იქმნება ახალი მდგომარეობა. ამიტომ სესაცილოა, ერთხელ
სიკვდილის რომ გვეშინია, მაშინ როცა უკვე მრავალჯის
მომკვდარვართ და კვლავაც ასე ნაირგვარად ვკვებით. არა
მხოლოდ ცეცხლის ჯდომა წარმოშობს ჰაერს, ხოლო ჰაერის
კვდომა — წყალს. როგორც პერაკლიტე ამბობს, ასეთი ცვალე-
ბადობა ადამიანის მაგალითზე უფრო მკაფიოდ შეინიშნება.
კაცი კვდება, როცა მოხუცად იქცევა, ჭაბუკი მაშინ კვდება,
როცა კაცობაში შედის, ერმა — ჭაბუკი რომ გახდება, ბავშვი

კი - როდესაც ერთობის ასაკში გადაახვევს. გუშინდელმა დღევანდელში კვდება, დღევანდელი კი ხვალისდელში, არაფერი არ რჩება და ვერც იარსებებს ერთიანი და უცვლელი სახითა თუ ფორმით, არამედ დროთა ვითარებაში ჩვენგან ფორმათა ხშირადლე, მრავალსახეობა ეითარდება. ნივთიერება კი ერთი საწყისი პირველსახის, ხაერთო ფორმის გარშემო ტრიალებს და მიმოიქცევა. ჩვენ უცვლელად რომ გვეარსება, როგორღა მოგვეჩვენებოდა ეს, რაც აქამდე არ მოგვეჩონდა, როგორ შევიყვარებოდით, ან შევიძულებდით, შევაქებდით, ან დავეგმობდით უწინდელის საპირისპირო საგნებს, ვიტყვოდით იმას, რაც უწინ არ გუთქვამს, როგორღა მივეცემოდით განსხვავებულ ვნებებს, თუკი თავადაც საბეს არ შევიცვლიდით, სხვაგვარ ფორმებსა და სხვაგვარ გრძნობებს არ შევიძენდით? შეუცვლელად ხომ განსხვავებულ მდგომარეობაში ვერ გადახვალ. ხოლო შეცვლილი ის აღარ არის, რაც იყო მაშას. დამე, იგი აღარც არსებობს. იგი შეცვლილა, როცა უწინდელისგან სხვადა იქცა. ჩვენ გრძნობადი აღქმა გვაძლუნებს, რომ მორჩენებითი ჭეშმარიტ არსებობად მივიჩნათო, რაკიღა ჭეშმარიტი ყოფიერება არ ვუწყით". (პლუტარქ დელფური „EI“-ს მნიშვნელობის შესახებ, 17 და 18).)✓

პლუტარქ ხშირად თავს ხელდასხმულად, ნოფიტად წარმოგვიდგენს. ზემოთმოყვანილ ნაწყვეტში იგი მისთვის ცხოვრების პირობებს აღგვიწერს. ამ დროს ადამიანი ისეთ სიბრძნეს აღწევს, რომლის მეშვეობითაც სული, უპირველეს ყოვლისა, გრძნობადი ცხოვრების მორჩენებითობას განჭვრეტს. ვველაფერი, რასაც გრძნობადი აღქმა ყოფიერებად და სინამდვილედ თვლის, ქმნადობის ნაკადშია დაძირული. სამყაროს დანარჩენი საგნების მსგავსად ეს ადამიანსაც ეხება. საკუთარი სულიერი ჭვრეტის წინაშე ადამიანი იძლება, ნაწევრდება; მისი მთლიანობა ნაწილდება, წარმავალ მოვლენებად იყოფა. დაბადება და სიკვდილი მისთვის თავის განსაკუთრებულობას კარგავს და რაც ამ სამყაროში ხდება, სხვა დანარჩენივით მხოლოდ წარმოშობისა და განადგურების მომენტებად იქცე-

ვა. წარმომოხმობისა და განადგურების ურთიერთქმედებაში შე-
უძლებელია უზენაესი საწყისის მიკვლევა. იგი მხოლოდ იმა-
ში შეიძლება აღმოვაჩინოთ, რაც ჭეშმარიტად არსებობს, რაც
თავისი მზერით წარსულსაც განმსჭვალავს და მომავალსაც
განჭვრეტს. ამგვარი რამის აღმოჩენა, თავისი მზერა წინაც და
უკანაც რომ მიუპყრია, შემეცნების შემდგომი საფეხურის
მიღწევას ნიშნავს. ეს არის ხული, რომელიც გრძნობად სამ-
ყაროში ცხადდება. გრძნობად ქმნადობასთან მას არავითარი
საერთო არ გააჩნია. იგი გრძნობადი მოვლენებისაგან განსხ-
ვავებით არც წარმოიქმნება და არც ნადგურდება. ადამიანი,
რომელიც მხოლოდ და მხოლოდ გრძნობად სამყაროში ცხო-
ვრობს, სულს თავისთავში დამარხულად ატარებს. ხოლო ის,
ვინც გრძნობადი სამყაროს მოჩვენებითობა განჭვრიტა, თავის-
თავში ფლობს სულს, როგორც გაცხადებულ სინამდვილეს.
ვინც ამგვარად სულიერი თვალის ახელას მიაღწია, მან თავის
თავში ახალი ორგანოც გამოიძუშავა. ასეთი ადამიანი შეიძ-
ლება მცენარეს შეეადაროთ, რომელსაც ჯერ მხოლოდ მწვეანე
ფოთლები აქონდა, შემდეგ კი დადგანა ყვავილიც შეემატა. ყვა-
ვილის შემქმნელი, აღმომცენებელი ძალები, რა თქმა უნდა,
მცენარეში აყვავებამდეც იმალებოდა, მაგრამ მხოლოდ აყვა-
ვებისას იქცა ეს ძალები სინამდვილედ (ასევე ადამიანშიც,
რომელიც მარტოოდენ გრძნობადში ცხოვრობს, დამარხუ-
ლია ღვთაებრივ — ხულიერი ძალები. მხოლოდ მისტში იქცე-
ვიან ეს ძალები სინამდვილედ. სწორედ ესაა ის ცვლილება,
მისტში რომ ხდება. თავისი განვითარებით მისტი უკვე არსე-
ბულ სამყაროს რაღაც ახალს სძენს. სამყარომ იგი გრძნობად
ადამიანად ჩამოაყალიბა და მერე კი თავისსავე ნებაზე მიუშვა.
ამით ბუნებამ საკუთარი მისია აღასრულა. ვველაფერი, რაც
თავად ბუნებას შეეძლო ადამიანის ცოცხალი ძალების მი-
მართ მოემოქმედა, ამოწურულია. მაგრამ თავად ეს ძალები
ამით არ აღმოფხვრილა. უბრალო, ჩვეულებრივ ადამიანში ეს
ძალები თითქოსდა მონუსხულად მარხია და თავის გამოხს-
ნას, გამოთავისუფლებას ელის. ამ ძალებს არ ძალუძთ თავად

გათავისუფლდნენ; თუკი ადამიანი ვერ დაეუფლება და ვერ განავითარებს მათ, ნამდვილი ყოფიერებისათვის ვერ გაადვილებს იმას, რაც მასში ფარულად მარხია, მაშინ ეს ძალები განადგურდება და არარაობად იქცევა. ბუნება სრულყოფილისკენ ვითარდება; ყველაზე არასრულყოფილიდან, უსაცოცხლო მღვომარეობიდან მრავალი საფეხურის, ცოცხალის ყველა ფორმის გავლით, ბუნებას არსებები გრძნობად ადამიანსამდე მიყავს.

ეს უკანასკნელი თავის მგრძნობელობაში თვალს ახელს და საკუთარ თავს გრძნობად-რეალურ და ცვალებად არსებად შეიყნობს, მაგრამ, გარდა ამისა, იგი თავის თავში გრძნობადის წარმომშობ ძალებსაც შეიგრძნობს. ეს ძალები ცვალებადობას არ ექვემდებარება, რამეთუ თვით ცვალებადი მათგან იშვა. ადამიანი ამ ძალებს თავისთავში ატარებს, რაც იმის მაუწყებელია, რომ ადამიანში რაღაც იმაზე უფრო დიადი ცხოვრობს, რაც მან მხოლოდ გრძნობებით შეიძლება აღიქვას. ის, რაც ამ ძალებისაგან შეიძლება იშვას, ჯერ არ არსებობს, მაგრამ, ამავე დროს, ადამიანი შეიგრძნობს, რომ მასში ბრწყინდება რაღაც, რამაც ყველაფერი, მათ შორის თვით ადამიანიც, შექმნა. ამასთან ერთად იგი გულისგულში გრძნობს, რომ ეს რაღაც, სწორედ ის უნდა იყოს, რაც მას უმაღლესი შემოქმედებისათვის ადაფრთოვანებს. ასეთი ძალა ადამიანში არსებობს. იგი გრძნობად ხამყაროში თვით მის გამოჩენამდეც, დაბადებამდეც იყო და მისი სიკვდილის, აღსასრულის შემდეგაც იქნება. ადამიანი მის მიერ შეიქმნა, მაგრამ ადამიანს ისიც ხელეწიფება, რომ ამ ძალას ჩაწვდეს და მისი შემოქმედების თანაზიარი გახდეს. ამგვარი გრძნობები ცხოვრობს მისტში ხელდასხმის, ინიციაციის შემდეგ. იგი თავის თავში მარადიულს, ღვთაებრივს შეიგრძნობს. იმიერიდან მისტის უოველი ქმედება ღვთაებრივი შემოქმედების რვოლად უნდა იქცეს. მას შეუძლია თავს უთხრას: ჩემში უმაღლესი „მე“ აღმოვჩინე, მაგრამ ეს „მე“ ჩემი გრძნობადი ქმნადობის საზღვარს სცილდება. იგი ჩემს დაბადებამდე იყო, ჩემი სიკვ-

დილის შემდეგაც იქნება. იგი იქმნოდა უკუნისითგან და იქმნ
უკუნისამდე. ჩემი გრძნობადი პიროვნება ამ „მეობის“ ქმნილე-
ბაა. მან დამიტია მე. იგი ჩემში ქმნის. მე მისი ნაწილი ვარ.
ამიერიდან რასაც ვიღვანებ, გრძნობადს აღემატება. ხოლო
ჩემი პიროვნება ამ უმაღლესი შემოქმედებითი ძალისათვის,
ღვთაებრივისთვის, რომელიც ჩემშია, მხოლოდ საშუალებაა.
ამგვარად წვდებოდა მისტი თავის ღმერთკაცობას.

ახე დაგზნებულ ძალას მისტი თავის ჭეშმარიტ ხელს
უწოდებდა. იგი ამ ხელის ქმნილება გახლდათ. საკუთარ
მდგომარეობას იხე აღიქვამდა, თითქოს მასში ახალი არსება
ჩასახლებულიყო და მის ორგანოებს დაუფლებოდა. ეს არსება
მისტიც გრძნობად პიროვნებასა და ყოვლისშემყრობულ სამყა-
როსეულ ძალას, ღვთაებას შორის იდგა. სწორედ ამ თავის
ჭეშმარიტ ხელს ეძიებდა მისტი — დიადი ბუნების წიად მე
ადამიანი გავხდი, — ფიქრობდა იგი, — მაგრამ ბუნებას თავისი
საქმე არ დაუსრულებია, მე უნდა ვიტვიერთო მისი გასრულება.
ხოლო ბუნების უხეშ სამყაროში, რომელსაც თავადაც ვეკუ-
თენი, ვითარცა გრძნობადი პიროვნება, მიზანს ვერ მივაოწვე-
ის, რამაც ბუნების სამყაროში განვითარება შეიძლო, უკვე
განვითარდა. ამიტომ მას უნდა გავცილდე. უნდა განვაგრძო
ჩემი შემოქმედება იქ, სადაც ბუნება შეჩერდა, ანუ ხელის
საუფლოში. აუცილებელია შევიქმნა სასიცოცხლო ატმოს-
ფერო, რასაც ვარე ბუნებაში ვერ ვპოვებ... ახეთი სასიცოცხ-
ლო ატმოსფერო მისტებისათვის ტაძრებში იქმნებოდა, სადაც
მისტიკოები იმართებოდა. იქ ნეოფიტებში მთელმარე ძალები
იღვიძებდა. იქ მისტები უმაღლეს შემოქმედებით და ხულიერ
ნატურებად გარდაიქმნებოდნენ. ეს გარდაქმნა მეტად ნატიფი
და სათუთი პროცესი გახლდათ. იგი ყოველდღიურობის
მკვეთრ, უხეშ პაერს ვერ უძლებდა. მაგრამ როდესაც ხელდა-
ხხმის, ინიციაციის საქმე აღსრულებოდა, ადამიანი მარადი-
სიდან ამოზრდილ კლდეს ემსგავსებოდა და უკვე ვველა ქარ-
ტებილს უძლებდა. მიუხედავად ამისა, ნეოფიტი არ უნდა

ცდილიყო, სხვებისთვის თავისი განცდები მოუშაღებლად გაქნდო.

პლუტარქე მოგვითხრობს, რომ მისტერიებში „მონაპოვება უდიდესი გამოცხადებანი და მითითებანი ღმერთების ჭეშმარიტი ბუნების შესახებ“. ციცერონი კი ამბობს, რომ მისტერიებში, „თუკი ისინი მათი ჭეშმარიტი აზრის თანახმად აიხსნებიან, უფრო საგანთა ბუნება შეიცნობა, ვიდრე ბუნება ღმერთთა“ (პლუტარქე — „ორაკელთა დაკნინებაზე“, ციცერონი — „ღმერთების ბუნების შესახებ“). მათი ნაამბობიდან ნათლად სჩანს, რომ მისტებს საგანთა ბუნებაზე უფრო მაღალი სიბრძნე ეცხადებოდა. ისინი უფრო მაღალ გამოცხადებებს ეზიარებოდნენ, ვიდრე ხალხურ რელიგიაში იქადაგებოდა. როგორც ეხედავთ, ღმერთბიც, ე.ი. სულაური არსებები, და თვით ღმერთბიც, ერთგვარ განმარტებას საჭიროებდნენ. ამრიგად, მისტები უფრო მაღალი წესრიგისა თუ იერარქიის არსებებამდე მაღლდებოდნენ, ვიდრე ღმერთები და ხალხური რელიგიის ღმერთბია. სწორედ ეს იღო მისტერიათა სიბრძნის დაფარულ არსში. უბრალო ხალხი ღმერთებსაც და ღმერთებსაც მთლიანად გრძნობად — რეალური სამეაროდან აღებულ სახეებად თუ ხატებად წარმოიდგენდა, მაგრამ ის, ვინც მარადიულის არსს განტყვევებდა, რა თქმა უნდა, ამგვარი ღმერთების მარადიულობაში უნდა დაეტყვებულიყო. როგორ შეეძლო ხალხური რწმენის ზევს მარადიული ყოფილიყო, თუკი იგი თავის თავში წარმავალი არსების ვეელა თვისებას ატარებდა? თანაც ღმერთებზე წარმოდგენას ადამიანი სხვაგვარად იქმნის, ვიდრე სხვა რომელიმე საგანზე. — ვარე სამეაროს ხვანნი, მაიპულებს მასზე საესებით ვარკვეული წარმოდგენა შევიქმნა. ამის საპირისპიროდ ღმერთების წარმოსახვა ერთგვარად სებისმურად, თვითნებურადაც კი ხდება. ვარე სამეაროს აუცილებელი ვანსაზღვრულება აქ არ არსებობს. აზროვნება გვასწავლის, რომ როცა ღმერთებზე წარმოდგენას ვიქმნით, ისეთ რადაცას წარმოვისახავთ, რასაც ვარეგრძნობადი დადასტურება არ ვაჩინია. ამგვარი რამ ადამიანისათვის ერ-

7

თვეარ ლოგიკურ გაუბედაობას, მერყეობის საფუძველს წარმოქმნის. ადამიანი თავის თავს თავისსავე ღმერთობის შემქმნელად შეიგრძნობს. ღიახ, იგი საკუთარ თავს ეკითხება: როგორღა მივაღწიო ჩემს წარმოდგენებში გარე სინამდვილეზე ამადღებას? მისტი აუცილებლად უნდა მოეცვა ასეთ ფიქრებს და ეს იჭვი საეხებით კანონზომიერი იყო. განვიხილოთ ყოველგვარი წარმოდგენა ღმერთებზე. — ეუბნებოდა იგი თავს. — ვანა ეს წარმოდგენები გრძნობადი ხამყაროს არსებებს არ ქვანან? ვანა ისინი ადამიანმა თავად არ შექმნა ამა თუ იმ გრძნობადი მოვლენისათვის რომელიმე თვისების მიმატებითა და გამოკლებით? ველური ადამიანი, ნადირობა რომ იტაცებს, წარმოსახავს ცას, ხადაც ღმერთების დიდებული ნადირობები იმართება. ასევე ბერძენმაც თავისი ოლიმპო ისეთი ღვთაებრივი პიროვნებებით დაასახელა, რომელთა პირველხაზე კარგად ცნობილ ბერძნულ სინამდვილეში მოიპოვებოდა.

ამ ფაქტზე მკაცრი ლოგიკით მიგვიითთა ფილოსოფოსმა ქსენოფანემ (575 — 480). ჩვენთვის ცნობილია, რომ ძველი ბერძენი ფილოსოფოსები მისტერიათა სიბრძნესთან პირდაპირ მიმართებაში იმყოფებოდნენ, რაც კადვე უფრო ნათლად დასტურდება პერაკლიტეს ფილოსოფიით. ამიტომ ქსენოფანეს სიტყვები. ყოველგვარი შემდგომი სჯა-ბაასის გარეშე შეიძლება მისტების თვალსაზრისადაც მივიჩნიოთ. იგი ამბობს: ადამიანებს ჰგონიათ, რომ ღმერთები მათი მსგავსნი არიან და რომ იგივე ადამიანური გრძნობები, ხმა და სხეული აქვთ. მაგრამ, ვთქვათ, ხარებსაც და ლომებსაც ხელები ჰქონოდათ და ადამიანებივით ხურათების ხატვა და მუშაობა შეიძლებოდათ; მაშინ ხომ ღმერთებსა და მათ სხეულებს ისინიც თავიანთი გარეგნული იერის მიმსგავსებით შექმნიდნენ; ანუ ცხენები ღმერთებს ცხენებად წარმოსახავდნენ, ხარები კი — ხარებად.

ამგვარი შეგნებით ადამიანი შეიძლება, ხაერთოდ, ყოველივე ღვთიურში დაეკვდეს. შესაძლებელია მან ღმერთებზე

ველა გამოჩინაობის უარპყობს კითხვად და ქვეშაობად მხოლოდ ის მიიჩნის, რასაც საკუთარი გრძნობადი აღქმა სთავაზობს. მაგრამ მისტი ასე არ ვასკვბტიკოსდებოდა. მან იცნობდა, რომ სკვბტიკოსი იმ მცენარეს ემსგავსება, საკუთარ თავს რომ ვცყვის — ჩემი დაღანა ვვაჯილი უსარგებლოა და არავის სჭირდება, რადგან ამ ჩემი მწვანე ფოთლებით მე სავსებით დასრულებული ვარ და ვიდეე რაამეს მიმატებით მხოლოდ ცრუ, მაცდუნებელ აზრდილებს ვანეამრავლებ. მაგრამ მისტს არც ის შეეძლო, რომ მხოლოდ ამგვარად შექმნილი ხალხური ღმერთებით შემოფარგლულიყო. თუკი მცენარეს აზროვნება შეეძლებოდა, იგი უთუოდ მიხედებოდა, რომ მწვანე ფოთლების შემქმნელ ძალებს, დაღანა ვვაჯილის შექმნაც ხელეწიფებოდა და მას ამ ძალების მოძიებისა და ხილვის სურვილი დაებადებოდა. მისტაც ასევე ექცეოდა ხალხურ ღმერთებს. მათ არც უარყოფდა და არც უსარგებლოდ აცხადებდა; მაგრამ ისიც კარგად იცოდა, რომ ეს ღმერთები ადამიანის შექმნილია. ერთი და ივავე ბუნებრივი ძალები, ივავე ღვთაებრივი სტიქია, ბუნებაში რომ ქმნის, მოქმედებს მისტშიც და მასში ღმერთებზე წარმოადგენებს წარმოშობს. მისტს ღმერთების შემქმნელი ძალის ხილვა სურს. ეს ძალა ხალხურ ღვთაებებს არ ჰგავს; იგი უფრო მაღალი, ზენაარი რამ ვახლავთ. ქსენოფანე ამაზეც მიგვითითებს: „ღმერთებსა და ადამიანებს შორის ერთი უზენაესი ღმერთია, რომელიც მოკედავთ არც სხეულით და არც აზრებით არ ჰგავს“.

× სწორედ ეს ღმერთი იყო მისტერების ღმერთი. შეიძლება მას „დაფარული ღმერთიც“ ვუწოდოთ, რადგანაც ამ ღმერთს ვერასოდეს აღმოაჩინეს ადამიანი, მხოლოდ საკუთარ გრძნობად აღქმას რომ მიხდობია. მოდით, მზერა ვარე სავნებს მივაპერთო: იქ ღვთაებრივს ვერ აღმოვაჩინოთ. დაეძაბოთ ჩვენს ვანსჯა: იქნებ ისეთი კანონისმორებაც ვიპოვოთ, რომლის მიხედვით სავნება წარმოიქმნება და ნადგურდება, მაგრამ ღვთაებას ვერც ვანსჯა დაგვანახებებს. ჩვენს ფანტაზია რელიგიური გრძნობით ვანსქმევალოთ, წარმოისახვა ისეთ ხატებს

„ტიმოხი“ სამყაროს წარმოშობის დრამას წარმოგვიდ-
გენს. ის, ვისაც ხერს ამ დიალოგში ასახული სამყაროს წარ-
მოქმნისხეული მოვლენების კვალს ვაპყვებს, საბოლოოდ იმ მი-
რველსაწყისი ძალის წინასწარშეგარძნებადვე მიდის, რომ-
ლისგანაც ყოველივე წარმოიშვა: „— სამყაროს შემქმნელისა
და მამის აღმოჩენა ძნელია, მაგრამ რომც აღმოვანიხოთ, შე-
უძლებელია მასზე ყველასათვის გასაგები ენით ვილაპარა-
კოთ“. მისტმა კარგად იცოდა, თუ რას ვულისხმობს ეს
„შეუძლებლობა“. იგი ღმერთის დრამაზე მიუთითებს. ღმერ-
თი გრძნობად-აღქმადში არ ჩნდება. იგი გრძნობადში ვლინ-
დება, მხოლოდ როგორც ბუნება. ღმერთთან შიახლება მარ-
ტოოდენ იმას შეუძლია, ვინც თავის თავში ღვთაებრივს გაა-
ღვიძებს. ამიტომ, ღვთაებრივს უბრალოდ ყველასათვის გასა-
გებს და მისაწყდომს ჯერ ვავხდით. იმ ადამიანებსაც კი, ვინც
მას უახლოვდება ღმერთთან ვად არ ევლინება. ამაზე ტიმო-
ხიც მიგვიითითებს. მამამ სამყარო სამყაროს სხეულისა და
სამყაროს საფუძვინველისგან შექმნა. პარმონიულად, სრულ-
ყოფილ პრიმორციებში აღრია და შეანივთა სტიქიები, რომე-
ლთა შესაქმნელადაც სამყაროში საკუთარი თავი განღვარა
და ამით საკუთარი არსებობა დათმო. სამყაროს სხეული ასე
წარმოიქმნა და ამ სამყაროს სხეულზე ჯვარივით გაკრულია

სამყაროს საფუძვინველი. სწორედ იგია ღვთაებბრთვი ამ სამყაროში. სამყაროს საფუძვინველი ჯვარს ეცვა, რათა სამყაროს ეარსება. ამრიგად, პლატონს შეუძლია ბუნებას ღვთაებბრთვის სამარე უწოდოს, მაგრამ ისეთი სამარე, რომელშიც ცხუნდარი კი არ წევს, არამედ მარადიული რამ განისვენებს, რომლისთვისაც სიკვდილი მხოლოდ სიცოცხლის ყოელის შემძლეობის წარმოჩენის საბაბია. ბუნების ქეშმარტ არს მხოლოდ ის ადამიანი განჭვრეტს, ვინც მას უახლოვდება, რათა ჯვარცხული სამყაროს საფუძვინველი გაათავოსუფლოს. სამყაროს საფუძვინველი მკვდრეთით უნდა აღდგეს, თილისმიხგან გათავისუფლდეს. საკითხავია, ხად შეიძლება მკვდრეთით აღდგეს იგი? მხოლოდ ხელდასხმულის საფუძვინველის წიად. მასში სიბრძნე კოსმოსისადმი სწორ მიმართებას პოულობს. ღმერთის მკვდრეთით აღდგომა, გათავისუფლება — აი, რა არის შემეცნება. სამყაროს განვითარება „ტიმეოსში“ განიხილება როგორც სწრაფვა, ვზა არასრულყოფილიდან სრულყოფილისკენ. ჩვენს წარმოსახვას აღმავალი პროცესი ეხატება არსებანი ვითარდებიან და ღმერთიც ამ განვითარებაში ვლინდება. ქმნადობა ღმერთის სამარიდან აღდგომაა. ამ განვითარების წიაღიდან ადამიანი იბადება. პლატონი მიგვითითებს, რომ ადამიანთან ერთად სამყაროში რაღაც განსაკუთრებული შემოღის. მართალია მთელი სამყარო ღვთიური წარმოშობისაა და ადამიანი სხვა არსებებს არ აღემატება, მაგრამ სხვა არსებებში ღმერთი ფარულად ვლინდება, ადამიანში კი თვალნათლივ ცხადდება. „ტიმეოსის“ ბოლოს ასეთ სტრიქონებს ვკითხულობთ: — „ახლა კი შეგვიძლია ვადიაროთ, რომ ჩვენმა მსჯელობამ სამყაროს შესახებ თავის მიზანს მიაღწია; რადგან იმის შემდეგ, რაც ეს სამყარო, როგორც უკვე აღიწერა, სიცოცხლისუნარიანი მოკვდავი და უკვდავი არსებებით აღივსო და გამდიდრდა, იგი თავად იქცა ისეთ ხილულ არსებად, რომელბც ყოველივე თვალთ ხილულს შეიცავს, იგი ყოვლისშემოქმედის ხატი გახდა და იმ ღმერთად მოგვევლინა, რომელიც გრძნობებით აღიქმება, და ეს ერთადერთი და მხოლოდ

დამოხდელი სამყარო უმშვენიერესი და უსრულყოფილესი მ
სება, როგორსაც კი შეეძლო ვარსება”.

მაგრამ ეს ერთადერთი და მხოლოდმობილი სამყარო
მთლად სრულყოფილი ვერ იქნებოდა, უკეთეს მის გამოსახ
ლებათა შორის თვით ვოელის შემოქმედის ხატი და გამოს
ხულება არ იარსებებდა. ხოლო მისი შობა კი მხოლოდ ად
მიანის საფშვინველს ძალუძს. მაგრამ ადამიანის საფშვი
ველს არა თვით ძამის, არამედ ძის შობა ხელეწიფება. მი
წიად ღმერთის ნაშთური იბადება, რომელიც ღმერთის მსგავ
სია და საფშვინველში ცხოვრობს.

ფილონი, რომელზედაც ამბობდნენ, რომ იგი ამქვეყნა
ხელახლად განსხეულებული პლატონი იყო, „ღმერთის ძეს
უწოდებს საფშვინველში არსებულ სიბრძნეს, რომლის შინა
არსს სამყაროს გონება შეადგენს. სამყაროს გონება, ანუ ღო
გოსი თავდაპირველად წიგნის ხაზით წარმოვეთქვება, „რო
მელშიც შეტანილია და აღნიშნულია სამყაროს მთელი შემ
დგენლობა“. შემდეგ კი იგი ღმერთის ჭედ გვეცხადება, „რომ
ელიც ძამის მიბაძვით, ჭერეტს რა პირველსახეებს, ფორმებს
წარმოქმნის“. ღოგოსს პლატონურად მოაზროვნე ფილონი
უწოდებს ქრისტეს: — „რაკილა ღმერთი სამყაროს პირველ
და ერთადერთი შეუფუა, მაშინ მისკენ მიმავალ გზას ხავსები
სამართლიანად უწოდება სამეუფეო გზა; ასეთად უნდა მივიწ
ნიოთ ფილოსოფიაც... დიახ, ეს ის გზაა, რასაც უჭველუ
ასკეტთა გუნდი მიუყვებოდა, რომლებიც მაცოუნებულ თილე
სმას განერიდნენ, რათა მშვენიერებისათვის უფრო ღირსეუ
ლი და ხერიოზული მსახურება აღესრულებინათ. ფილოსო
ფიად წოდებულ ამ სამეუფეო გზას კანონი ღმერთის სიტყვა
და ხელად მოიხსენიებს“.

ამ გზაზე შედგომას ფილონი ერთგვარ ხელდასხმასავით
მიიხსენებს, რამაც იგი ღოგოსთან უნდა მიაახლოს. ღოგოსი კ
ძას ღმერთის ძედ ესახება. „არ დავიძალავთ ამას, რაც უთ
კალავვერ თავს ვადამხდენია. სოჯერ რაცა ჩვეულებასა
მებრ ჩემი ფილოსოფიური აზრების ჩაწერას ხელმოუთქმე

ღაღ ელაძობდი და თითქოს ნათლად ეჭვრეტდი, რისი ჯადგუ-
 ნაც იყო საჭირო, ხშირად ჩემი სული უძრავი და უნაყოფო
 მომჩვენებდა, ისე რომ ამჟამად დამაშურალი იმუღებელი ვიყავი
 ჩემს ფილოსოფიურ კვლევა-ძიებაზე უარი შეთქვა და იმ წუთს
 მეგონა, თითქოს ჩემდა უნებურ ყალბი ზმანებები მიტაცებდა,
 მაგრამ იმავედროულად აზრით აღქმადი ხინამდვილის ზეობაც
 მათეებდა, რომელსაც ადამიანის საფშეინველის წიაღის ვა-
 ხსნაც და ღახშობაც ძალუძს. ზოგჯერ კი, სიტარიელით ვი-
 წყებდი და სულ მალე სისავსეს ვაღწევდი, აზრები ზემოდან
 უხილაკად თოვლის ფანტელუბივით, თუ პურის მარცვლეუბი-
 ვით ჩემსკენ მოფრინავდნენ, რაღაც ღვთიური ძალა აღმიტა-
 ცებდა და შთამაგონებდა, ისე რომ, ვერცუი ვაცნაურებდი, თუ
 სად ვარ, ან ვიხთან ვიმყოფები, თავად ვინა ვარ და რას ვამბობ,
 თუ ვწერ: რადგან გადმოცემის ხიოლუ და სისხარტე მეძლე-
 ოდა, რაღაც კურთხეულ გონებაგახსნილობას ვგრძნობდი,
 ხაგანსაც ნათლად ვწელებოდი და ყოველმხრივ ვფლობდი.
 თითქოს ამ დროს შინაგან თვალს ყველაფრის უდიდესი სი-
 ზუსტითა და სიცხადით შეცნობა შეეძლო. — ეს შემეცნებო-
 სკენ მიმავალი ერთერთი გზის აღწერა ვაზლავთ, რომელიც
 ვიწვევებს, თუ როგორ აცნობიერებს ღვთაებრივ ძალასთან
 თავის შერწყმას ამ გზით მთარული ადამიანი, როდესაც მასში
 ღოგოსი იღვიძებს. ამას ნათლად გამოხატავს შემდეგი სიტ-
 ვებიც: — „როდესაც სიყვარულით აღვხილ და ღვთაებრივად
 ფრთაშესხმულ სულს სიხარული აღიტაცებს და ამ აღმაფრე-
 ნაში უხეჩავსურად წმინდამდე ამადლდება, იგი ხხვა დანარ-
 ჩენს და საკუთარ თავსაც ივიწყებს; მხოლოდ ის ადავსებს და
 ძალუძად იზიდავს, რომლის ერთეული საჭურველთმტვირთ-
 ელი და მორჩილი მსახური ხდება და, რომელსაც სანელსა-
 კმეველ მსხვერპლად თავის ყველაზე წმინდა და შეუბღალავ
 სათნოებას შესწირავს“. — ფილონისთვის მხოლოდ ორი გზა
 არსებობს ჩვენ ან მარტოოდენ გრძნობადს მიეწვებით, მხო-
 ლოდ ვრძნობადი აღქმისა და განსჯის მონაცემებით ვხელმძ-
 ღვანელობთ და ამ შემთხვევაში საკუთარი პიროვნებით ვიფა-

რგვლებით და კოსმოსს ვშორდებით; ან კოსმიური სამყაროსეული ძალის შეცნობას ვაღწევთ და მაშინ ზვენი პიროვნების წიად მარადიულის განცდა იბადება, — ეიცაც სურს ღმერთის გარეშე იცხოვროს, საკუთარ თავს უყარალება ხელში; ჩადგან აქ საქმე ორ რამეს ეხება: ერთის მხრივ, არის სამყაროსეული სული, რაც იგივე ღმერთია და, მეორეს მხრივ, — ადამიანის საკუთარი სული. ეს უკანასკნელი გარბის და თავშესაფარს სამყაროსეულ სულთან ეძებს, რადგან ადამიანი, რომელიც საკუთარ სულზე მადლდება, რწმუნდება, რომ ეს უკანასკნელი — არარაობაა, და ამრიგად, ყველაფერს ღმერთს უკავშირებს; ხოლო ვინც ღმერთს განუდგება, შესაბამისად ამ პირველმიზეზსაც უარპყოფს და ყველაფრის მიზეზად და საფუძვლად, რაც მის გარშემო ხდება, საკუთარ თავს შერაცხავს.

პლატონის მსოფლმხედველობა ამგვარი შემეცნებისკენ მიისწრაფვის, რომელიც თავისი ხასიათით რელიგიას ემსგავსება. იგი შემეცნებას ყველაზე უმაღლესთან აკავშირებს, რასაც კი ადამიანმა თავისი გრძნობების მეშვეობით შეიძლება მიაღწიოს. პლატონი მხოლოდ ისეთ შემეცნებას აღიარებს, რომელშიც გრძნობა სრულ დაკმაყოფილებას პოულობს. მაშინ ეს უკვე უბრალოდ ცოდნა როდია, ასეთი შემეცნება ცხოვრებისეულ შინაარსად იქცევა. ის არის უფრო მაღალი ადამიანი — ადამიანში, ისეთი ადამიანი, რომლისთვისაც პიროვნება მხოლოდ საკუთარი თავის ანარეკლია. საკუთრივ ადამიანში იბადება თვითონ მასზევე ამაღლებული პირველადადიანი. აქ პლატონის ფილოსოფიაში თითქოსდა კვლავ ცოცხლდება მისტერიების ერთ-ერთი ხაიდუმლოება, რაზედაც ეკლესიის მამა იპოლიტე მიგვითითებს: ეს სამოთრაკიელთა (ცნობილი კულტის მიმდევართა) უდიდესი საიდუმლოებაა, რომელსაც ვერც გამოთქვამ და რომელიც მხოლოდ ხელდასხმულებმა უწყიან. მათ დანამდვილებით შეუძლიათ ილაპარაკონ, რომ ადამი მათი, როგორც ადამიანების ჩამომავლობის, პირველადადიანია”.

„ხელდასხმის“ აღწერა მოცემულია აგრეთვე პლატონის დიალოგში სიევარულზე („ნადიმო“). აქ სიევარულ სიბრძნის მაცნედ ვეცხადება. უკეთუ სიბრძნე, მარადიულ სიტყვა (ლოგოსი) სამყაროთა მარადიული შემოქმედის ძედ გვევლინება, მაშინ სიევარულს ლოგოსთან დედობრივი მიმართება აკავშირებს. ჯერ კიდევ მანამდე, სანამ სიბრძნის ნათელი ნაპერწკალი ადამიანის საფშეინველში აღენთება, მასში უკვე უნდა არსებობდეს ღვთაებრივისადმი ბუნდოვანი გაურკვეველი მისწრაფება, რომელიც ადამიანს გაუნცნობიერებლად იქითყენ უნდა წარმართავდეს, რაც შემდეგ, როცა იგი უკვე ცნობიერებამდე ამაღლდება, მის უმაღლეს ბედნიერებას შეადგენს. იმას, რაც პერაკლიტეს მიხედვით ადამიანში ჩნდება როგორც დემონი, (იხ. გვ. 32) სიევარულზე წარმოდგენა უერთდება. „ნადიმში“ აზრს სიევარულზე სხვადასხვა მდგომარეობისა და შეხედულების ადამიანი გამოთქვამს: ყოველდღიური ცხოვრების კაცი პოლიტიკოსი, მეცნიერი, კომედიების ავტორი არისტოფანე და მკაცრი პოეტი აგათონი. ყოველ მათგანს, თავისი ცხოვრებისეული გამოცდილების შესაბამისად, სიევარულზე გარკვეული წარმოდგენა გააჩნია. მათ მიერ სიევარულზე გამოთქმული აზრებიდან ხჩანს, თუ რომელ საფეხურზე დგას მათი დემონი (იხ. გვ. 37). სიევარულით ერთი არსება მეორისაგან ილტვის და მიიზიდება. ხაგანთა მრავალსახეობა, მათი სიმრავლე, რომელიც ღვთაებრივი ერთობის დაშლისა და დახარვევების შედეგად გაჩნდა, სიევარულის მეშვეობით კვლავ ერთობისკენ, პარმონისკენ მიისწრაფვის. ამრიგად სიევარული თავის თავში რაღაც ღვთაებრივსაც შეიცავს. ამიტომ ყოველ ადამიანს სიევარულის გაგება მხოლოდ იმდენად ძალუძს, რამდენადაც თვითონ ეზიარება ღვთაებრივების შემდეგ. რაც მოწიფულობის სხვადასხვა დონის ადამიანებმა სიევარულზე საკუთარი აზრი გამოთქვას, დასაბრავს სოკრატე იწყებს. იგი სიევარულს იხილავს,

ახეი



როგორც შემეცნების ადამიანი მისთვის სიყვარული ღმერთთან არ არის, არამედ ის ძალაა, რომელსაც ადამიანი ღმერთთან მიჰყავს. ერთსი, სიყვარული სოკრატესთვის ღმერთი როდია — რადგან ღმერთი სრულყოფილია და, აქედან გამომდინარე, უკვე გააჩნია მშვენიერებაცა და სიკეთეც. ხოლო ერთი კი მხოლოდ მშვენიერებისა და სიკეთის წყურვილია. ამრიგად, იგი ადამიანსა და ღმერთს შორის დგას. იგი „დემონია“, შუამავალი მიწიერსა და ღვთაებრივს შორის. ნიშანდობლივია ისიც, რომ სიყვარულზე, სოკრატე, როგორც თვითონ ამბობს, საკუთარ აზრებს არ გამოთქვამს. იგი მხოლოდ იმას ვადმოსცემს, რაც ერთმა ქალმა ღვთაებრივ გამოცხადებასავით ამცნო. სიყვარულზე წარმოადგენამდე სოკრატე მანტიკის ხელოვნების წყალობით მივიდა. ქერუმმა ქალმა, დიოტიმამ, მასში ის დემონიური ძალა გააღვიძა, რომელსაც იგი ღვთაებრივამდე უნდა მიეყვანა. მან სოკრატე „ზიარა“. დიდმნიშვნელოვანია „ნადიმის“ ეს დეტალი. საკითხავია, თუ ვინ არის „ბრძენი დედა“, რომელმაც სოკრატეში დემონი გააღვიძა. არ უნდა ვიფიქროთ, რომ აქ მხოლოდ პოეტურ გამონაგონთან გვაქვს საქმე, რადგან, ცხადია, ვერანაირი გრძნობად-რეალური ბრძენი დედა საფშვინველში დემონს ვერ გააღვიძებდა, უკეთუ საამისოდ აუცილებელი ძალა მის წიად უკვე არ იარსებებდა. ამრიგად, „ბრძენი დედა“ თვით სოკრატეს საფშვინველში უნდა ვეძიოთ. მაგრამ უნდა არსებობდეს იმის მიზეზიც, რომ გარე სამყაროსეულ არსებად გვეცხადება ძალა, რომელიც თვით საფშვინველში დემონს არსებობისათვის გამოიხმობს. ეს ძალა იმ ძალთა მსგავსად ვერ იმოქმედებს, რომელთაც ჩვენ განვიხილავთ, როგორც საფშვინველის კუთვნილ, მისთვის ნიშანდობლივ თვისობრიობას. ჩვენ ვხედავთ, რომ სწორედ ამ ფშვინველურ ძალას, რომელიც სიბრძნის მიღებას წინ უძღვის, სოკრატე „ბრძენ დედად“ წარმოგვიდგენს. ეს სწორედ ის ღვთობრივი, ქალური საწვისია, რომელიც ღმერთის ძეს, ღვთიურ სიბრძნეს, ღოვოსს წარმოშობს. საფშვინველში

გაუცნობიერებლად მოქმედი ეს ძალა, რომელსაც ღვთაე-
რივი ცნობიერებაში შემოქმედა, გამოიხატება, როგორც
ქალური ელემენტი. საფშეინველი, რომელსაც ჯერ სიბრძ-
ნა არ გააჩნია, დედა იმისა, რასაც ღვთაებრივისკენ მივყავართ
აქ ჩვენ უმნიშვნელოვანეს მისტიურ წარმოდგენას ვეხებით.
საფშეინველი აღიარებულია როგორც ღვთაებრივის მშ-
ბელი დედა. მას გაუცნობიერებლად, ბუნებრივი ძალის
აუცილებლობით, მიჰყავს ადამიანი ღვთაებრივისკენ. -
სწორედ ეს არის ამოსავალი წერტილი, რომელიც ნათელს
ქმენს მისტერიათა გადასახედიდან ბერძნული მითოლოგიის
გაგებას. ღმერთების სამყარო ადამიანის საფშეინველში იშუა-
ადამიანი ღმერთებად მიიჩნევა იმას, რასაც თავად ხატ-
სახეების ფორმით ქმნის (იხ. გვ. 29), მაგრამ ადამიანი სხუ-
აგაგებამდეც უნდა მივიდეს. მან ღვთაებრივ ხატად უნდა
აქციოს ის ღვთაებრივი ძალაც, რომელიც მოქმედებს მასში
თვით ამ ხატების შექმნამდეც. ღვთაებრივის მიღმა
წარმოსდგება დედა, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა ად-
მიანის დასაბამიერ არსებული ფშეინვერი ძალა. ღმერთების
გვერდით ადამიანი ქალღმერთებსაც უთმობს ადგილს.
მოდით, ამ თვალსაზრისით განვიხილოთ მითი დიონისეზე
დიონისე ზევსისა და მოკვდავი ქალის, სემელას, შვილია.
ზევსი ძეხით განგმირულ დედას საშოდან ჯერ კიდევ
მოუშუშებელ შვილს ამოართმევს. ღმერთების დედა, პერა კა-
დიონისეს წინააღმდეგ ტიტანებს ამხედრებს. ისინი ყრმას
ნაწილებად გლეჯენ. მაგრამ ათენა პალადა ყრმის მფეთქე-
გულს გადაარჩენს და ზევსთან მიჰქვს იგი. ზევსი გულისხამ
თავის ძეს ხელმეორედ შობს. ამ მითში ნათლად სჩანს
ადამიანის საფშეინველში მიმდინარე პროცესი. უკეთუ მავანი
მოიხურვებდა ევკლიპტელი ქურუმის სულისკეთებით
ელეპარაცა, რომელიც სოლონს მითის ბუნებაზე ესაუბრება,
მას შეეძლო ეთქვა: ის, რასაც თქვენში დიონისეზე, ღმერთისა
და მოკვდავი დედის ძეზე, მის დაგლეჯასა და ხელახლა შო-
ბაზე პევებიან, თუმცა ზღაპარს ჰგავს, მაგრამ სინამდვილეში

ეს ზღაპარი ქვეშარიტებას შეიცავს, თუ როგორ იბადება
ღვთაებრივი და რა ბედი ეწევა მას ადამიანის საფუძვინველში
ღვთაებრივი ადამიანის წარმატალ და მიწიერ საფუძვინველს
უკავშირდება. მაგრამ როგორც კი ღვთაებრივი, ანუ დიო-
ნისური საფუძვინველში ფუთქვას იწყებს, იგი მაშინვე თავისი
საკუთარი ქვეშარიტი ხულიერი ხატისადმი ძალუშ
ლტოლვას შეიგრძნობს. დაბალი ცნობიერება, რომელიც
კვლავ ქაღდმერთის, პერას, სახით წარმოვვიდგება, ექვით
იმსჭვალება უზენაესი ცნობიერებიდან შობილისადმი. იგი მის
წინააღმდეგ ადამიანის ქვენა ბუნებას, ტიტანებს ამხედრებს.
ისინი ღმერთის ჯერ კიდევ უმწიფარ ძეს ნაწილვებად გლეჯენ.
ამრიგად, ადამიანში იგი არსებობს, როგორც დანაწევრებული
გრძნობად-განსჯითი ცოდნა. მაგრამ უკეთუ მას საკმაოდ აქვს
მომადლეული უზენაესი ქმედითი სიბრძნე (ზევსი), მაშინ ეს
უკანასკნელი დაიფარავს და გამოზრდის უმწიფარ ყრმას,
რომელიც კვლავ აღდგება, ვითარცა ღმერთის შოკრე. ძე (დიო-
ნისე). ამრიგად, ცოდნისგან, ადამიანში არსებული დანაწევ-
რებული ღვთაებრივი ძალიდან, იბადება ერთიანი სიბრძნე,
რომელიც არის ღოგოსი, ღმერთისა და მოკვდავი ღუდის —
წარმატალი, ღვთაებრივისადმი გაუცნობიერებლად
მლტოლველი ადამიანის საფუძვინველის ძე. იქამდე, სანამ
ყველაფერ ამაში მარტოოღენ ფშვინვიერ პროცესს
დაეინახავთ და ზემოთქმულს ამ პროცესის გამოხატულებად
მივიჩნევთ, ზვენ შორს ეიქნებით სულიერი სინამდვილისგან,
რომელიც აქ თამაშდება. ამ სულიერ სინამდვილეში საფუძვინ-
ველი არა მარტო რაღაცას განიცდის თავის თავში, არამედ
სრულიად თავისუფლდება თავისივე თავისგან და მთელ სამ-
ყაროსეულ პროცესს ირეკლავს, რომელიც სინამდვილეში
მასში კი არა, მის გარე თამაშდება.

პლატონის სიბრძნე და ბერძნული-მითი და აგრეთვე მის-
ტერიათა სიბრძნეც ერთ მთლიანობაში ირწმება. შექმნილი
ღმერთები ხალხური რელიგიის შინაარსს შეადგენდნენ; მა-

თა წარმომადგენლის ამბავი კი მისტერიულ საიდუმლოებას წარ
მოადგენდა. რაღა გასაკვირია, რომ მისტერიების საიდუმლო
ების „გაცემა“ საშიშ საქმედ ითვლებოდა. ამით ხომ ხალხურ
ღმერთთა წარმომადგელობა „მედაუნდებოდა“. ღმერთების წარ
მომადგელობის სწორად გაგებას კი ხსნა მოაქვს, ხოლო არა
წორი გაგება დამღუპველია.

მისტერიათა სიბრძნე და მითი



მისტი საკუთარ თავში ეძიებდა იმ ძალებს, ეძიებდა იმ არსებებს, რომლებიც დაფარულია ჯერ კიდევ ყოველდღიურ შეხედულებებს ჩაჭიდებული ადამიანისათვის. მისტი თავის თავს უდიდეს კითხვას უყენებს. მას საკუთარი სულიერი ძალები და კანონები აინტერესებს, რომლებიც მისსავე ქვენა ბუნებას აღემატება. ადამიანი, რომელსაც ჩვეულებრივი გრძნობადი ლოგიკური შეხედულებები აქვს, ღმერთებს იქმნის, ანდა უარყოფს მათ, როდესაც თავის შემოქმედებას გააცნობიერებს. მისტიც აცნაურებს, რომ ღმერთებს თავად იქმნის, მაგრამ იგი იმასაც აცნობიერებს, თუ რატომ იქმნის ღმერთებს. იგი, ასე ვთქვათ, ღმერთების შექმნის ბუნებრივი კანონზომიერების მიღმა, უფრო შორს იყურება. მას იგივე ემართება, რაც მცენარეს, ეს უკანასკნელი ანაზღეულად ცოდნას რომ დაუფლებოდა და საკუთარი ზრდა-განვითარების კანონები შეემეცნა. მცენარე ნეტარ არაცნობიერებაში ვითარდება. საკუთარი არსებობის კანონები რომ ცოდნოდა, მას თავის თავის მიმართ სრულიად სხვაგვარი დამოკიდებულება უნდა გასჩენოდა. ის, რასაც ლირიკოსი პოეტი გრძნობს, როცა მცენარეს უმღერის, ან რასაც ბოტანიკოსი იაზრებს, როცა მის კანონებს იკვლევს — ყოველივე ეს შემეცნების უნარის მქონე მცენარის წინაშე საკუთარი იდეალური ხატოვით წარმოსდგებოდა. ამგვარი რამ ემართება მისტსაც საკუთარი შინაგანი კანონების, თავის შიგან მოქმედი ძალებისადმი მიმართებით. როგორც შემეცნებელი, ცოდნას დაუფლებული არსება, იგი დვთაებრივს ქმნის, რომელიც თავად მას აღემატება. იგივე დამოკიდებულება მქონდათ ხელდასხმულებს ღმერთებისა და მითების ხალხური სამყაროსადმი, ანუ ყოველივე იმისადმი, რასაც ხალხი ქმნიდა, როცა ბუნებაზე, ბუნებრივ კანონზომიერებებზე ამადლდებოდა. მისტებს ხურდათ ღმერთებისა და მითების სამყაროს კანონები შეემეცნათ. იქ სადაც ხალხისთვის ღმერთის ხატი იყო, ანდა იმაში, რაც ხალხს მითად წარ-

მოუფინა, ისინი უზენაეს ჭეშმარიტებას ეძიებდნენ. შიშით ერთი მაგალითი განვიხილოთ. კრეტას მეფემ მინოსმა ათენელები აიძულა, მისთვის ყოველ შერვე წელს შვიდ-შვიდი ტაბუკი და ქალწული გაეგზავნათ. ამ ადამიანებს შესატყმელად აძლევდნენ ხაშინელ ურჩხულს — მინოტავრს. როცა სამგლოვობარო ელჩობა კრეტაზე შესამედ მიემგზავრებოდა, მას ათენის მეფის ძე — თეზესიც გაჰყვა. კრეტაზე ჩასული თეზესი მეფე მინოსის ქალიშვილს, არიადნეს შეუვევარდა. მინოტავრი ლაბირინთში — დახლართულ გასახვლელებიან ბაღში ცხოვრობდა, საიდანაც ერთხელ იქ მოხვედრილი ადამიანი გზას ვეღარასოდეს გამოიკვლევდა. თეზესმა მშობლიური ქალაქის სამარცხვინო ხარკისგან განთავისუფლება მოინდომა. მან გადაწყვიტა ლაბირინთში შესულიყო, სადაც მინოტავრს მისთვის განკუთვნილ მსხვერპლს ხწირავდნენ და განეგმირა იგი. თეზესმა დანაპირები აღასრულა, საშინელი მტერი დაამარცხა და არიადნეს მოცემული ძაფის მორგვის დახმარებით ლაბირინთსაც თავი დააღწია. მისტიისთვის ნათელი უნდა გამხდარიყო, თუ როგორ აღწევს ადამიანის შემოქმედებითი სული ამგვარი თხზულების შექმნას. იმ ბოტანიკოსივით, რომელიც მცენარის ზრდას მიჰყურადებდა, რათა მისი კანონები აღმოაჩინოს, მისტსაც სურდა შემოქმედებითი სულისთვის ეჭვრიტა. იქ სადაც ხალხი მითს გარეგნულად ეცნობოდა, მისტი ჭეშმარიტებას, სიბრძნის შინაარსს ეძიებდა. ხალუსტიოსი მითზე ერთი მისტციოსი ბრძენის ნათქვამს გადმოვცევს: „შეიძლებოდა მთელი სამყარო მითად შეგვერაცხა, რომელიც ხილულად სხეულებსა და საგნებს იტყვის, ხოლო უხილავად საფშვინველებსა და ხეულებს შეიტყავს. ჭეშმარიტება დმერთების შესახებ ვველასთვის რომ ესწავლებინათ, მაშინ უგზურნი მას დიდ ღირებულებას არ მიაანიჭებდნენ, რამდენადაც მის ნამდვილ არსს ვერ ჩაწვდებოდნენ, ხოლო უფრო ტყვიანები კი ზედმეტად იოლად მიიღებდნენ ამ სიბრძნეს; მაგრამ მითის საბურველში მოცემული ჭეშმარიტება დაცულია ავდებული და უპატოვცემულო დამოკიდებულებისაგან

და, მეორეს მხრით, ფილოსოფიური კვლევა-ძიების სურვილსაც აღძრავს.

ის, ვინც მისტიკის მსგავსად მითში ტყუილმარტობის შინაარსს ეძიებდა, იმ ფაქტსაც აღწობიერებდა, რომ ხალხურ ცნობიერებაში უკვე არსებულს ამ ძიებით ხვდა რაღაცასაც კმატებდა. ასეთი ადამიანისათვის ნათელი იყო, რომ იგი ხალხურ ცნობიერებაზე ისევე მალღებოდა, როგორც ბოტანიკოსი ავუაყუბულ მცენარეზე. ამ დროს მითიური ცნობიერების შინაარსისაგან სრულიად განსხვავებულად რამ ცხადღებოდა, ხოლო იმას, რაც ცხადღებოდა, იმ დროს ტყუილმარტობად აღიქვამდნენ, რომელმაც მითში სიმბოლური გამოხატულება ქმოვა. ადამიანი გრძნობადის წინაშე დგას, როგორც მტრული ურჩხულის პირისპირ. იგი ამ ურჩხულს თავისი პიროვნების ნაყოფებს სწირავს და ისიც შთანთქავს მათ. ეს იქამდე გრძელღება, სანამ ადამიანში გამარჯღებული (თეზღესი) არ გაიღვიძებს. საკუთარი შემღეცნება გზისგამკღლეე ძაღს ურთავს, რომელიც უკან დასაბრუნებელი გზის პოვნაში ეხმარება, როდღესაც მტრის მოსაკღავად გრძნობადის ლაბირინთში შღვია. გრძნობადზე გამარჯღებაში თვით ადამიანის შემღეცნების მისტერიცაა გამოხატული. იგი ცნობიღია მისტიკოსის და ადამიანის პიროვნებაში არსებულ რაღაც ძალაზე მიუთითებს, რომელსაც წვეუღებრივი ცნობიერება ვერ მართავს, მაგრამ, მიუხეღავად ამისა, ეს ძალა მაინც მოქმედებს ადამიანში. იგი ქმნის მითს, რომელსაც იგივე აგებუღება გააჩნია, რაც მისტიკურ ტყუილმარტობას და ეს ტყუილმარტობა თავის სიმბოლურ გამოხატუღებას მითში პოუღობს, საკითხავია, მამ, რაღას შეიცავს მითუბი? მათში სულის, გაუცნობიერებღად მოქმედი საფშვინეღლის ქმნიღებაა მოღეღული. საფშვინეღელს სავსებით განსაზღღვრული კანონზომიერება გააჩნია; მან გარკვეული მიმართუღებით უნდა იმოქმეღოს, რათა თავის თავზე აღმატებელი რამ შექმნას. მითოლოგიურ საფღხურზე იგი ამას ხატების სახით აღწეღს, მაგრამ ეს ხატებიც მისი შინაგანი კანონზომიერების მიხეღეითაა აგებუღლი. შეიძღება აგრეთვე ითქვას, რომ რო-

დესაც საფუძვინველი მითოლოგიური ცნობებების საფუ-
ზურს ასცდება და უფრო მაღალ ჭეშმარიტებებს წყდება, ამ
უკანასკნელებსაც იგივე ბუჭედი აზის, რაც უფრო ადრე მითე-
ბში განიტვიფრა, რადგან მათ შესაქმნელად ერთი და იგივე
ძალა მოქმედებს. ნეოპლატონიკური სკოლის ფილოსოფოსი
პლოტინი (204—269 ქრ. შემდ.) ეგვიპტის ბრძენ ქურუმებზე
ხაუბრისას უმაღლეს შემეცნებასთან ხატოვან-მითიური წა-
რმოადგენების კავშირზე შემდეგს განაცხადებს:

„ეგვიპტელი ქურუმები თავიანთი სიბრძნის გადმოსაცემად
— ზუსტ გამოკვლევებს ევრდნობა იგი, თუ ინსტინქტური
წვდომის შედეგია, — საკუთარი მოძღვრებებისა და კანონების
ჩამოსაყალიბებლად იყენებენ არა ასოებსა და წერილებს, რო-
მლებიც, არსებითად, ადამიანის ხმისა და მეტყველების მიზა-
ძვია, არამედ განსაკუთრებულ გამოსახულებებს ხატავენ და
მათ, როგორც ყოველი ხაგნის აზრობრივ შინაარსს, თავიანთ
ტაძრებში ათავსებენ. ამრიგად, ყოველი გამოსახულება, თუ
ხატი ცოდნისა და სიბრძნის შემცველია, საგანსა და მთლია-
ნობას წარმოადგენს და თანაც არავითარ ახსნა-განმარტება-
სა და მსჯელობას არ აღძრავს. შემდგომ ამისა შინაარსს
ხატისაგან გამოჰყოფენ, სიტყვიერ ფორმას აძლევენ და შესა-
ბამის დასახუთებასაც უძებნიან, თუ რატომ არის ეს ასე და
არა სხვაფრივ“.

თუ გვსურს მითოლოგიური თქმულებებისადმი მისტიკის
მიმართებას ჩაეწვდეთ, ყურადღება უნდა მივაქციოთ მითისა-
დმი იმ ადამიანების მსოფლმხედველობის დამოკიდებულებას,
ვისი სიბრძნეც მისტიკრიების წარმოადგენებს ევრდნობა. მის-
ტიკრიებთან ასეთ თანხმიერებას პლატონთან სრული სახით
ვპოულობთ. ჩვენ შეგვიძლია იმით ვიხელმძღვანელოთ, თუ
რას ამბობს პლატონი მითებზე, ან როგორ იყენებს მათ თავის
დიალოგებში. (იხ. გვ. 52). „ფედრამი“, საფუძვინველზე დია-
ლოგში, მოყვანილია მითი ბორეესზე. ამ ღვთაებამ, რომელიც
მძვინვარე ქარს გამოხატავს, ერთხელ მშვენიერი ორითია,
ატიკული მეფის, ერეხთივისის, ასული იხილა, რომელიც მეგო-

ბარ ქალწულებთან ერთად ყვავილებს ერეფდა. სიყვარულით შეპყრობილმა ბორეკსმა იგი გაიტაცა და თავის გამოქეპბულში მიიყვანა. ამ დიალოგში პლატონი სოკრატეს პირით მითის წმინდა განსჯით ახსნას უარპყოფს. ასეთი ახსნის მიხედვით, მითში პოეტური ფორმით, ხიმბოლურად გარეგნული, სრულიად ბუნებრივი შემთხვევა გადმითიეცმა: თითქოს გრივალმა მეფის ასული აიტაცა და კლდიდან გადმოადგდო. „ასეთი ახსნები, — ამბობს სოკრატე, — სხვა არაფერია, თუ არა მეცნიერული ტვინის ჭყლეტა, რაოდენ ჩვეულებრივად არ მიაჩნდეთ და აღიარებულად არ იყოს ეს ჩვენს დროში... რადგან ვინც თუნდაც ერთ ამ მითოლოგიურ ხატს დაშლის, თანმიმდევრული უნდა დარჩეს და სხვა დანარჩენებსაც ასევე ეჭვით მიუდგეს და მათი ბუნებრივი გზით ახსნა შესძლოს... მაგრამ მსგავსი შრომის ბოლომდე მიყვანა რომც შეუძლებოდას, ვერც მაშინ აღმოჩნდებოდა იგი ამ ხატის აღმსრულებლის კეთილი ნიჭის დამადასტურებელი, არამედ უფრო მის იაფფასიან ვონებამახვილობას, მხეცლობის მდარე ხარისხსა და სასაცილო სულსწრაფობას წარმოაჩენდა... ამიტომ მე გვერდზე გადავლებ ხოლმე ამდაგვარ გამოკვლევებს და იმას ვფიქრობ (მითებზე), რაც საერთოდ მიდებულია ვიფიქროს, რამეთუ მითებს კი არ ვიკვლევ, არამედ ჩემსავე თავს ვუკირკეტებ, რათა გავიგო — ხომ არა ვარ მე ურჩხული ქიმერაზე უფრო საკვირველი და ტიფონზე უფრო ხასტიკი, ან იქნებ უფრო თვინიერი და უბრალო არხება ვარ, რომელსაც ხნობრივი და ღვთაებრივი ბუნების ნიშატი მიჰმაძღვს?" აქედან ნათელია, თუ რისი დაშვება არ ხერს პლატონს. იგი მითების განსჯით-რაციონალი-სტურ ახსნას უარპყოფს. ეს აზრი ახლა იმ გზასა თუ წესრიგს უნდა დავეუკავშიროთ, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ ივენებს თავად პლატონი მითებს, როდესაც მათი შემკვობით სათქმელის გადმოცემა ხერს. იქ, სადაც იგი საფშვანეელის ცხოვრებას ეხება, სადაც წარმავალის გზას სცილდება და საფშვანეელში მარადიულს აღმოაჩენს, სადაც, ამრიგად, კრძნობად აღქმაზე და განსჯით აზროვნებაზე დაფუძნებული

წარმოდგენები აღარ არსებობს, იქ პლატონი მითს მიმართავს. „ფედრა“ საფშვინველში არსებულ მარადიულზე გვესაუბრება. ამ დიალოგში საფშვინველი მეეტლისა და ეტლის სახით წარმოგვიდგება, რომელშიც ორი ფრთოსანი რაშია შეხმული ერთ-ერთი რაში სიბრძნითა და მოთმინებით გამოარჩევა, მეორე – ავზნიანი და ველურია. თუ ეტლს გზად დაბრკოლება შეხვდა, ამით ავზნიანი და ველური ცხენი სარგებლობს, კუთილი რაშის ნებას ეწინააღმდეგება და ცდილობს თავი წაართვას მეეტლეს. როდესაც ეტლი იმ ადგილს აღწევს, საიდანაც ცის თაღზე ღმერთებს უნდა გააყვებ, ავზნიანი ცხენი ეტლის არეუდარევას იწყებს. ზნეკუთილ რაშზეა დამოკიდებული, შესძლებს თუ არა ველური თანამეწყვილის დაძლევისა და დამორჩილებას, რათა ეტლმა დაბრკოლება გადალახოს და ზეგრძნობადის ხასუფეველში შეაღწიოს. ამრიგად საფშვინველი მთლად დაუბრკოლებლად ვერასოდეს ახერხებს ზეგრძნობად სამყაროში ამაღლებას. ზოგი საფშვინველი უფრო მეტად მაღლდება მარადიულის ჭვრეტისათვის, სხვები ნაკლებად აღწევენ ამ წინსვლას. საფშვინველი, რომელშიც ერთხელ შესძლო იმკვეფნიურის ხილვა, შემდეგი წრის შემოვლამდე სამშვიდში ივანებს; ხოლო ის საფშვინველი, რომელშიც ველური ცხენის გამო ვერაფერი იხილა, მორიგი წრის შემოვლისას მიზნის მიღწევას კვლავ უნდა ეცადოს. წრეთა შემოვლაში საფშვინველთა სხვადასხვა გარდასხეულება, ანუ ინკარნაცია ივულისხმება. წრის ერთი შემოვლა საფშვინველის ერთ პიროვნებაში ცხოვრებას აღნიშნავს. ველური ცხენი ადამიანის ქვენა ბუნების, ხოლო ბრძენი რაში ზენა ბუნების განსახიერებაა; მეეტლე საფშვინველს წარმოადგენს, რომელსაც ღვთაებრივობა სწყურია. პლატონი მითს მიმართავს, მარადიული საფშვინველის გზა რომ ვეინჯენოს, რომელიც სხვადასხვა გარდასხეულებას გამოივლის, ასევე, თავის სხვა დიალოგებშიც პლატონი მითს, სიმბოლურ თხრობას, იყენებს, როდესაც სურს ადამიანის

სინაგანი მხარე წარმოაჩინოს, რომელიც გრძნობად აღქმას არ ექვემდებარება.

ამ მხრივ პლატონი სხვა მწერალთა მითოლოგიური და ალეგორიული ნაწარმოებების გადმოცემის, ანუ ინტერპრეტაციის წესთან სრულ თანხმობას ამჟღავნებს. ბევლ-ინდურ ლიტერატურაში არსებობს იგავი, რომელიც ბუდას მიუწერება. ერთ ადამიანს, რომელიც ცხოვრების ხიბლმა ძალზე მიიზიდა და შებოჭა, ისე რომ ხიკვდილი არაფრით არ სურდა და მხოლოდ გრძნობად სიამოვნებებს ესწრაფეოდა, მუდამ ოთხი გველი დასდევს. ამ ადამიანს დროგამოშვებით ხმა ესმის, რომელიც ამ ბოროტი გველების დაბანჯახა და დანაყრებას უბრძანებს, მაგრამ შეშინებული კაცი გველებს გაურბის. ხმა კვლავ მიმართავს და ამჯერად უკვე ხუთ მკვლელზე ანიშნებს, რომლებიც ამ ადამიანს კვალში ჩასდგომიან. იგი ხელმეორედ გაქცევით შეეღის თავს. ახლა ხმა შეექცხე მკვლელსაც ახახელებს, რომელიც ქარქაშიდან ამოწვდილი ხმლით მას თავის მოკვებით ემუჭრება. ადამიანი ისევ გარბის. იგი ერთ უკაცრიელ ხოფელს მიაღწევს და ამჯერადაც იგივე ხმა ჩაესმის, რომელიც ამცნობს, რომ ახლა ამ ხოფელს გასაძარცვავად ქრდები დაესხმიან. ბოლოს, კვლავ გამოქცეული კაცი ერთ წყალუხვ ლელეს მიადგება. აქეთა ნაპირზე თავს უსაფრთხოდ არ გრძნობს. ჩაღის, ღეროებისა და ფოთლებისგან კალათას იწნავს და მისი მუშვეობით ვაღმა ნაპირს აღწევს. ახლა მას საფრთხე აღარ ემუჭრება; იგი უკვე ბრახმანი გახდა. ამ იგავის ახრი ასეთია: ვიდრე ადამიანი ღვთაებრივს მიაღწევდეს, მრავალი განსხვავებული მდგომარეობა უნდა გამოიაროს. ოთხ გველში – ოთხი სტიქია უნდა დაეინახოთ – ცეცხლი, წყალი, მიწა და ჰაერი, ხუთ მკვლელში ხუთი გარე გრძნობა იგულისხმება, უკაცრიელი ხოფელი საფშვინველს გამოხატავს, რომელიც გრძნობად სიამოვნებებს გამოექცა, მაგრამ თავის თავთან მარტოდ დარჩენილს ჯერ კიდევ საკმაო სიმტკიცე არ გააჩნია) უკეთუ საფშვინველი თავის თავში მხოლოდ საკუთარ ქვენი ბუნებას ვხდაუჭება, მაშინ იგი უნდა

დაიღუპოს. ადამიანმა ნავი უნდა გაიკეთოს, რომელსაც წარ-
მავალის ნაკადს გადაატარებს და გრძნობადი ბუნების ნაპი-
რიდან მეორე ნაპირს — მარად ღვთაებრივი ბუნების ნაპირს
მიაყენებს.

მოდით, ამ თვალსაზრისით ოზირისის ეგვიპტური მისტე-
რია განვიხილოთ. ოზირისი თანდათანობით ეგვიპტის ერთე-
რთი უმთავრესი ღვთაება გახდა. წარმოდგენამ ოზირისზე
შეცვალა იმ დანარჩენ ღმერთებზე წარმოდგენა, ხალხის გა-
რკვეულ წრეებში ჯერ კიდევ რომ შემონახულიყო. ოზირისი-
სა და მისი მეუღლის, იზიდას გარშემო მრავალმნიშვნელო-
ვანი მითოლოგიური ციკლი ჩამოყალიბდა. ოზირისი მზის
ღმერთის ძე იყო. მას ჰყავდა ერთი ძმა, ტიფონ-სეთი, ხოლო
იზიდა მისი და იყო. ოზირისმა თავისი და ცოლად შეირთო და
მასთან ერთად მთელ ეგვიპტეს მართავდა. გულბორცვმა და
შურაანმა ძმამ — ტიფონმა ოზირისის დაღუპვა განიზრახა და
ბრძანა ისეთი სარკოფაგი გაეკეთებინათ, რომელსაც ზუსტად
ოზირისის სხეულის სიგრძე ექნებოდა. ნადიმზე სარკოფაგი
სახუქრად უნდა შეეთავაზებინათ მისთვის, ვისაც იგი შორ-
ვებოდა. მთლიანად მხოლოდ ოზირისის სხეულმა ამოავსო
სარკოფაგი. როგორც კი იგი შიგ ადმოწნდა, ტიფონი თავის
თანამზრახველებთან ერთად სარკოფაგს მივარდა, სახურავი
მჭიდროდ მოარჯო და მდინარის ტალღებში გადაუძახა. ეს
საშინელი ამბავი რომ შეიტყო, სასოწარკვეთილმა იზიდამ
მეუღლის სხეულის ძებნაში მთელი ქვეყანა მოუღო. ბოლოს
გადააწყდა კიდევ სარკოფაგს, მაგრამ ტიფონმა იხევ იძალადა
და ამჯერადაც დაუპატრონა ოზირისის ნეშტს, თოთხმეტ ნა-
წილად დაჭრა იგი და სხვადასხვა ქვეყანაში მიმოფანტა. ამი-
ტომაც იყო, რომ ეგვიპტეში ოზირისის რამოდენიმე საფლავ-
ზე მოუთითებდნენ. ღმერთის სხეულის ნაწილები მრავალ ად-
ვილას დაიკრძალა. მაგრამ თავად ოზირისი ქვესკნულიდან
აღდგა და ტიფონი დაამარცხა. ოზირისის სხევი იზიდას დე-
ცა და მან უშვა ძე — პარპოკრატე, ანუ პორუსი.

მოვით, ახლა ეს მითი ბერძენი ფილოსოფოსის, ემპედოკლეს (490—430 ქრ.მდვ.), მოძღვრებას შეეადართ. იგი ვყავს-წყელის, რომ ოდესღაც ერთიანი პირველარსი ოთხ სტიქიად — ცეცხლად, წყლად, ჰაერად და მიწად დაიშალა, ანუ ერთარსებულის მრავალსახეობად დანაწევრდა. ამას გარდა, ემპედოკლე ერთმანეთს ორ ძალას — სიყვარულსა და მტრობას უპირისპირებს, რომლებიც არსებულ სამყაროში წარმოქმნასა და განადგურებას განაპირობებენ. სტიქიებზე ემპედოკლე შემდეგს ამბობს: — „თავად სტიქიები უცვლელი რჩება, ხოლო აღრვეისას ადამიანებსა და სხვა დანარჩენ უთვალავ არსებებს წარმოქმნის, რომლებიც ხან სიყვარულის ძალით ერთმანეთს ერთხატად შეერწყმიან, ხან კი სიძულვილითა და მტრობით კვლავ ერთმანეთისაგან განიყოფიან“.

საინტერესოა, რას წარმოადგენს ემპედოკლეს თვალსაზრისით ხილული სამყაროს საგნები? მისი წარმოდგენით ისინი სხვადასხვაგვარად შეზავებული სტიქიებია. საგნების წარმოქმნა მხოლოდ იმიტომ ვახდა შესაძლებელი, რომ პირველარსი ოთხ ნაწილად დაიშალა. ამრიგად, პირველარსი სამყაროს სტიქიებში განიღვარა. ყოველი საგანი, რომელიც კი ამქვეყნად გვხვდება, სამყაროში განღვრილი ღვთაების რაღაც ნაწილის თანაზიარია. ხოლო თვითონ ღვთაება ამ საგნებშია დამარხული. საგნები რომ წარმოქმნილიყო, ჯერ ღვთაება უნდა მომკვდარიყო; ისმება კითხვა, რას წარმოადგენს თავად საგნები? — ისინი ღვთაებრივი შემადგენლობის მრავალნაირი შენაერთი თუ ნაზავია, რომელთა აგებულებას სიყვარული და სიძულვილი განაპირობებს. ეს აზრი ემპედოკლესთან ნათლადაა გამოხატული: — „აი, ჩვენს წინაშეა ადამიანის სხეულის ნაწილთა ხაოკარი აღნავი: მასში ნათლად სჩანს, თუ სიყვარული როგორ აერთებს და ერთ მთლიანობად აკავშირებს ადამიანის სხეულის ვველა ნაწილს ხასიციოცხლო ძალების გაფურსქენის ასაკში. მაგრამ დროთა ვითარებაში აუი მტრობა მათ ერთმანეთისგან კვლავ თიშავს და ისინი ეულად დაბორიადობენ სიციოცხლის ოკეანიდან განაპირებუ-

ლები. იგივე ემართება ბადახებს და წელის ბინადრებს –
თევზებსაც, მთის ცხოველებსა და ფრინველებივით ფრთამაღ
ხომადღებმაც“.

ემპედოკლეს მიხედვით ყოვლადბრძენმა ადამიანმა სამყა-
როში ხიყვარულისა და ხიბუღვილის ბორკილებში მოხუხ-
ხული ერთიანი ღვთაებრივი არხი უნდა აღმოაჩინოს. ხოლო
უკეთუ ადამიანს ღვთაებრივის მოპოვება ხელეწიფება, მაშინ
იგი თავად უნდა იყოს ღმერთის მსგავსი, რადგან ემპედოკლეს
აზრით მსგავსი მხოლოდ მსგავსით შეიძლება. ემპედოკლეს ამ
თვალსაზრისს ვაყუთებს ერთი ლექსიც ეხმთანება:

თვალი მზიერა რომ არ ყოფილიყო,
როგორღა ეიხილაღვით ნათელს?
ჩვენში თვით ღვთაებრივ ძალას რომ არ ეარსება,
როგორღა შეეძლებდით ღვთაებრივით აღფრთოვანებას?

მისტს შეეძლო ოზირისის მითში ხწორედ ისეთი აზრები
აღმოეჩინა, რომლებიც სამყაროა და ადამიანზე ვარკვეულ
ჭეშმარიტებას იუწყებოდნენ და ვრძნობად გამოცდილებაზე
ძაღლა იფხვნეს. ღვთაებრივი შემოქმედებითი ძალა სამყაროში
განიდვარა და შეფარულად ოთხ სტაქიაში ვლინდება. ღმერ-
თი (ოზირისი) მთიყვალა და ადამიანმა თავისი ღვთაებრივი
შემეცნებით ვლავ უნდა გაადვიდოს იგი; მან ხიბუღვილსა
(ტიფონი) და ხიყვარულს (იზიდა) შორის დაპირისპირებაში
ვლავ უნდა მოიყოს ღმერთი, როგორც ძარუხი (ღმერთის ძე-
ღოვოსი, ღვთაებრივი ხიბრძენი), თავისი მსოფლმხედველო-
ბის საფუძვლებს გადმოეცმისას ემპედოკლე ეგვიპტური მი-
თის ხატ-სახეების ბერძნულ შესატყვისებს მიმართავს. ხიყ-
ვარული მას აფრინდრედ ესახება ხოლო ნეიკოსი ხიბუღვი-
ლის აღმნიშვნელია; ეს ორი ძალა კრავს და ათავისუფლებს
სტაქიებს.

მითის ამგვარი განმარტება არ უნდა აყვეროს სიმბო-
ლურ, ან თუნდაც აღუგორიულ ინტერპრეტაციებში. ასეთა

რამ აქ საერთოდ არ იგულისხმება. მითის შინაარსის გამო-
ხატველი სახეები თუ ხატები განყენებული ტეშმარიტების
სიმბოლოები სულაც არ გახლავთ, პირიქით, ისინი ხელდას-
ხმულის კონსტრუქტული ფუნქციური განცდებია. ხელდასხმუ-
ლი თავისი სულიერი ორგანოების მეშვეობით სულიერ ხატ-
სახეებს სწორედ ისევე განიცდის, როგორც ჩვეულებრივი
ადამიანი საკუთარი თვალებისა და ყურების წყალობით განი-
ცდის გრძნობადი საგნების წარმოდგენებს. მაგრამ ისევე, რო-
გორც წარმოდგენა, თუკი იგი გარე საგნის გრძნობადი აღქმით
არ არის გამოწვეული, თავისთავად არაფერს ნიშნავს, ასევე
არაფრის მოქმედია მითიური ხატ-სახეც, რომელიც სულიე-
რი სამყაროს ტეშმარიტ მოვლენებს არ უკავშირდება. ამას-
თან ერთად უნდა ითქვას, რომ გრძნობად სამყაროში ადამიანი
იმ საგნების გარე ამოყვება, რომლებიც მასზე შემოქმედებას
ახდენს, მაშინ როცა მითიურ ხატებს მაგანი მხოლოდ ამ
შემთხვევაში განაცდის, როცა თავად მონაწილეობს იმ სუ-
ლიერ მოვლენებში ხსენებულ ხატებს რომ შეესაბამება. ხო-
ლო ამ მოვლენების მონაწილე რომ გახდეს, ადამიანი ხელ-
დასხმის პროცესი უნდა გაიაროს. მაშინ ის სულიერი ქმედ-
ებები, რომლებსაც იგი ტერეტს, მითიურ ხატ-სახეების, რო-
გორც ერთგვარი ილუსტრაციების, მეშვეობით ხდება თვალ-
საჩინო. ის, ვინც მხოლოდ ასეთი სახეებით გამოყოფილდება,
მარტოოდნ შმანებებით ცხოვრობს. ხოლო ის ადამიანი, რო-
მელმაც ხატში სულიერის დანახვასა და შეგრძნებას მიაღ-
წია, მსგავსად ამისა, როგორც გრძნობად სამყაროში ვარდის
წარმოდგენისაგან თავად ამ ვარდის შეგრძნება უჩნდებათ,
მხოლოდ იგი ცხოვრობს სულიერი აღქმების სფეროში. აქვე
უნდა ვუბნოთ იმის მიზეზიც, თუ რატომ არის დაშვებული
მითიური ხატ-სახეების მრავალნაირი აზრობრივი განმარტე-
ბა თუ ინტერპრეტაცია. ერთმა და იგივე მითმა, სწორედ თავისი
ილუსტრაციული ხასიათის გამო, შეიძლება სხვადასხვა
სულიერი მოვლენა წარმოვეიჯინოს. ამიტომ არაყითარნი
წინააღმდეგობა არ არსებობს იმაში, რომ მითების განმმარ-

ტებლება მოცემულ მათს ხან ერთ, ხან მეორე სულიერ მოვლენას მიაკუთვნებენ.

ამ ამოსავალი წერტილიდან შეიძლება თეაღლი მოვადგინოთ იმ ხაზს, რომელიც სხვადასხვა ბერძნულ მითში გაჩეღის. განვიხილოთ თქმულება პერაკლეზე. პერაკლეს თორმეტნი ვმპრობა უფრო მაღალი კუთხით წარმოგვიდგება, თუკი გავიხსენებთ, რომ უკანასკნელი და ვველაზე ძნელი დავალების აღსრულების წინ პერაკლე ხელდასხმას ღებულობს ვღევხისის მისტერიაში. მან მიკენის მეფის, ვერიხთიფისის, ბრძანებით ქვესკნელიდან უნდა ამოიფიანოს და ვველაზე უკანვე დააბრუნოს ვოფოხეთის ქოფაკი ცერბერი. ქვესკნელში რომ ჩავიდეს, პერაკლე ხელდასხმული უნდა ვახდეს. მისტერიაში ადამიანს წარმავლის სიკვდილის მიღმა ე.ი. ქვესკნელში ამოვზურება და ვველაველე ხელდასხმის შემვეობით ადამიანის მარადიულ ნაწილს დაღუპვისგან იხსნიდა. ვითარკი მისტეს, ადამიანს სიკვდილის დამარცხება შეეძლო. პერაკლეც, როგორც მისტი, ვადალახავს მიწისქვეშა სამყაროს საშინელებებს. ეს კი უფლებას ვვამღევს მისი სხვა ვმპრობებზე საფშეინველის განვითარების შინაგან საფეზურებად მივინით. პერაკლე ნემკის ღობს სძლევს და მივენეში მოპყავს. ეს ნიშნავს, რომ იგი ადამიანის ფიზიკურ ძალას უუფლება და იმორჩილებს. შემდეგ პერაკლე ცხრათავიან მიდრახ კლავს, აღმოდებული მეგუზალებით მოაშთობს და თავის ისრებს ურჩხულის ნაღველში ამოაწობს, რის შემდეგად მისი ისრები ყოველთყის მიზანში ხვდება. აქ იგულისხმება, რომ პერაკლე დაბაღ მიწიერ ცოდნას, ვრძნობების ცოდნას ხულის აღით ამარცხებს და ის, რასაც ამის შემდეგად მოიპოვებს, საშუალებას აძლევს მას ყოველვეგარი სიმდაბლე ხულიერ ნათელში განჭვრიტოს. ვმპრი არტემიდეს, ნადრობის ქაღღმერთის, არემსაც შეიპრობს. ამით იგი ამას უუფლება, რისი მოცემაც შეუძლია ადამიანისათვის თავისუფალ ბუნებას. მსგავსადვე შეიძლება ვანვმარტოთ პერაკლეს სხვა ვმპრობებაც. ჩვენ აქ არ ვამარებღათ ყოველი წერიღმანის ვანხუღვის; მხოლოდ

ამ ფაქტის ნათელყოფა გვინდა, რომ მათების საერთო შინაარსი შინაგან განვითარებაზე მიუთითებს.



იგივე თვალსაზრისიდან შეიძლება განიხილოთ არტონავთობის ტების ლაშქრობაც. ფრიქსესა და მის დას პელას, ბეოტიის მეფის შვილებს, ძალზე ჩაგრაჟდა და აეწიროებდა ავი დედონაცვალნი. ღმერთებსა და-ძმას ოქროს საწმისიანი ვერძი გამოუგზავნეს, რომელმაც ისინი პაერში აიჭაცა და ბეოტიას განარიდა. ვერძისა და აზიის გამყოფი სრუტის გადაკვეთისას პელა ვერძიდან ვარდება და ზღვაში იხრჩობა; ამიტომაც ამ სრუტეს ეწოდება პელესპონტი, ხოლო ფრიქსემ შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაპირზე კოლხეთის მეფე აიეტამდე მიაღწია. ვერძი მან ღმერთებს მსხვერპლად შესწირა, ხოლო საწმისი მეფე აიეტს მიაართვა. ამ უკანასკნელმა საწმისი ტალაში დაჰკიდა და მცველად საშინელი გველეშაპი მიუჩინა. ბერძენმა ვპირმა იასონმა სხვა ვპირებთან — პერაკლესა, თეზევსსა და ორფეოსთან ერთად კოლხეთიდან საწმისის წამოღება გადაწყვიტა. ამ ხუნჯის ფახად მეფე აიეტმა, მეტად საძნელო ვპირობების აღსრულება დაავალა. მაგრამ იასონს მეფის ასული, გრძნეული მედეა, ეხმარება. იასონმა ორი ცეცხლქმენავი ხარი მოათეინიერა, მიწდორი მოხსნა და გველეშაპის კბილები დათესა. კბილებიდან ჯავშნიანი მეომრები ამოიზარდა. მედეას რჩევით ბერძენმა ვპირმა მიწიდან ამოხული ლაშქრის შუაგულში დიდი ღოღი ისროლა, რამაც მეომრებში არეუ-დარევა გამოაწვია და მათ ერთმანეთი ამოხოცეს. იასონი გველეშაპს მედეას მოცემული ჯადოსნური წამლით აძინებს, საწმისს მოიპოვებს და ძვირფასი ნადავლით საბერძნეთს მიაშურებს. მედეაც თან ახლავს, როგორც ცოლი. მეფე აიეტი ღტოლვილებს გაეღვენება. მდეარის შესაკავებლად მედეა თავის უმცროს ძმას აფსირტეს კლავს და მისი სხეულის ნაწილებს ზღვაში გაფანტავს. აიეტს შვილის ნეშტის შეგროვება შეაფოვნებს, ხოლო იასონი და მედეა იასონის სამშობლოს აღწევენ.

არგონავტების მითის ყოველი ცალკეული მოვლენა დრს აზრს წარმოაჩენს. საწმისი — ადამიანისთვის მონიჭებულ უსასრულო ფასეულობაა. ოდესღაც იგი ადამიანს წაერთუ და მისი ხელახლა მოპოვება საშინელ ძალებზე უამარჯვებს. ხოლო არის დაკავშირებული. სწორედ ასეთი რამ ემართეს ადამიანის საფუძვინველში არსებულ მარადიულს. ადამიანი მას თავისად მიიჩნევს, მაგრამ თანაც გრძნობს, რომ ძალებ დაშორდა თავის უკვდავ ნაწილს. მისგან ადამიანი ხაკუთარმა ქვენა ბუნებამ განაცალკევა. ადამიანს მხოლოდ მაშინ ძალებს კვლავ მიადწიოს მარადიულს, უკეთუ თავის ქვენა ბუნებას თრგუნავს, აძინებს. ამის შესაძლებლობა ადამიანს მაშინ ეძლევა, როდესაც შემწეუდ ხაკუთარი ცნობიერება (მედეა) მოყვლინება, გრძნეული ძალის მქონე ჯადოხსნური ძალითურთ. იასონისათვის მედეა იგივეა, რაც სოკრატესთვის დიოტიმა, ხიყვარულის მასწავლებელი, იყო (იხ. გვ. 57). სწორედ ადამიანის ხაკუთარი ხიბრძნე ფლობს იმ გრძნეულ ძალას, რომელიც წარმაჯალზე გამარჯვების შემდეგ ადამიანს დვთაებრივის მიღწევაში დაეხმარება. ქვენა ბუნებიდან მხოლოდ ადამიანური ხიბრძნეუდ, ჯავშნიანი მეომრები, შეიძლება წარმოიქმნას, რომლებიც სულიერის ძალით მედეას რჩევით მარცხდებაან. მაგრამ მაშინაც, როცა ადამიანი თავის მარადიულ ხაწყისს — ხაწყისს დაეუფლა, იგი საფრთხეს ჯერ კიდევ არ განრიდებია. მან თავისი ცნობიერების ნაწილი (აფსირტე) უნდა დათმოს. ამას გრძნობების სამყარო მოითხოვს, რომელსაც ჩვენ მხოლოდ ხიბრძნეუდ (მთელის დაქუცმაცებად) აღვიქვამთ. შეიძლებოდა კიდევ უფრო ჩავდრმავებოდით ამ ხატების მიღმა მდგარი სულიერი მოვლენების აღწერას. მაგრამ ჩვენ აქ მხოლოდ ხაკუთარი მითების წარმოქმნის პრინციპის მოხაზვა გვქონდა გათვალისწინებული.

მითების ამგვარი განმარტების თვალსაზრისით, განსაკუთრებით ხაინტყრუხოა თქმულება პრომეთესზე. პრომეთე დეპრომეთე ტიტან იაფუტის ვაჟებია. ხოლო ტიტანები დმერთების

უფროსი თაობის — ურანოსისა (ცისა) და გეას (მიწის) შვილებია. ტიტანთაგან უმრწემესმა, კრონოსმა, საკუთარ ძამა ტანტიდან გადმოაგდო და სამყაროზე ძალაუფლება სხელთ იგდო. ამისათვის თავისმა ძემ ზევსმა კრონოსი და სხვა ტიტანები დაამარცხა და ღმერთებს შორის უპირველესი გახდა. ტიტანებთან ბრძოლაში პრომეთეს ზევსის მხარე ეჭირა. პრომეთეს რჩევით ზევსმა ტიტანები ქვესკნელში ჩაგარა. მაგრამ ტიტანების სული პრომეთეში ჯერ კიდევ ზეობდა და ზევსის მეგობარი იგი მხოლოდ სანახევროდ იყო. როდესაც ამ უკანასკნელმა ქედმაღლობისათვის ადამიანების განადგურება განიზრახა, პრომეთემ დაიცვა ისინი, ანგარიშისა და წერის ხელოვნება შეასწავლა და კიდევ ერთ კულტურულ მიღწევას აზარა — ცეცხლის გამოყენება ასწავლა. ამით პრომეთემ ზევსი განარისხა და მან თავის ძეს, პეუესტოს, უბრძანა უღიმახესი ქალის გამოსახულება შეექმნა, რომელაც ღმერთებსა სხვადასხვა საჩუქრებით შეამკეს. ამ ქალს სახელად პანდორა ერქვა, რაც ყოვლად შემკულს, ყოვლად დასაჩუქრებულს ნიშნავს. ღმერთების მაცნემ ჰერმესმა, პანდორა პრომეთეს მძახ, ეპიმეთეს, მიძვარა. ქალმა ეპიმეთეს ღმერთებისგან ძღვნად ზარდახმა მიართვა. ეპიმეთემაც ჩაიბარა საჩუქარი, მიუხედავად პრომეთეს გაფრთხილებისა — ღმერთებისაგან არავითარი ძღვენი არ მიეღო. როცა ზარდახმა გახსნეს, იქიდან კაცთა მოდგმის ყოველგვარი უბედურება გამოფრინდა. შივნით მხოლოდ იმედიღა დარჩა, ისაც იმიტომ, რომ პანდორამ ზარდახმა სასწრაფოდ დახურა. ამრიგად, დარჩა მხოლოდ იმედი, როგორც ღმერთების საექვეო ძღვენი, პრომეთე, ადამიანებისადმი მისი დამოკიდებულების გამო, ზევსის ბრძანებით კავკასიონის ერთ-ერთ კლდეს მათჯაჭვეს. მას ყოველდღიურად არწივი ღვიძლს უკორტნის, მაგრამ ღვიძლი ისევ უსრდება. პრომეთემ მთელი თავისი ცხოვრება მტანჯველ სიმარტოვეში უნდა გალიოს. სანამ რომელიმე ღმერთთაგანი მის გადასარჩენად საკუთარ თავს ნებაყოფლობით შესვერბლად არ გაიღებს — ე.ი. სახიკვდილოდ არ გასწირავს. ტან-

ჯულს წამება მტკიცედ გადააქვს. მან იცის, რომ ზევსს ტახტიდან მოკვდავი ქალის ბე გადმოაგდებს, უკეთუ ზევსი ამ ქალთან შეუღლდება. ზევსისთვის ამ საიდუმლოს გაგებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა; მან პრომეთესთან დამტრთვებას მაცნე პერმესი გაავზავნა, მაგრამ პრომეთე დუმს. პრომეთეს მითთან დაკავშირებულია აგრეთვე თქმულება პერაკლეზე. სხვადასხვა ქვეყნებში მოგზაურობისას პერაკლე კავკასიასაც ეწვია. იგი კლავს არწივს, პრომეთეს დვიძღს რომ უკორტნის, ხოლო კენტავრი ხირონი, რომელსაც განუკურნებელი კრილობა აწუხებს, მაგრამ სიკვდილი არ შეუძლია, თავს სწირავს პრომეთესათვის. მაშინ ეს უკანასკნელი დმერთებს ურიგდება.

ტიტანები ნებელობის ძალებია, რომლებიც ისევე როგორც ბუნება (კრონოსი), პირველხაწყისი სამყაროსეული სულისგან (ურანოსისგან) მომდინარეობს. აქ რაღაც განყენებულ ნებელობის ძალებს კი ნუ გავიაზრებთ, არამედ რეალური ნებელობითი არსებები უნდა ვიგულისხმოთ. პრომეთეც ერთი იმათთაგანია. მისი შინაგანი ბუნებაც ამით განიხაზღვრება. მაგრამ იგი სავსებით ტიტანად ვერ ჩაითვლება. ამით იგი გარკვეულწილად ზევსს ემსგავსება, იმ სულს, რომელიც სამყაროზე ძალაუფლებას ღებულობს მას შემდეგ, რაც ბუნების თავაშუებული აულაგმავი ძალა (კრონოსი) მოთვინიერებულია: ამრიგად, პრომეთე იმ სამყაროთა წარმომადგენელია, რომლებმაც ადამიანს წინსწრაფვა ჩაუნერგეს. ეს მისწრაფება სანახევროდ ბუნების ძალას მიეკუთვნება, ხოლო ნაწილობრივ სულის ძალასაც წარმოადგენს. სწორედ ამ სამყაროებმა მიანიჭეს ადამიანს თავისუფალი ნება. ერთის მხრივ, ნება ადამიანს სიკეთისკენ წარმართავს, ხოლო, მეორეს მხრივ — პიროტისკენ უბიძგებს. ადამიანის ნების ბუდიც იმის მიხედვით შედგება, სულიერისკენ იხრება იგი, თუ წარმავალს ირჩევს. ეს ბუდი თავად ადამიანის ბუდია. ადამიანი წარმავალს მიჯაჭვულია. მას არწივი კორტნის. ეს ყოველივე ადამიანის

მოსაოთმენი და გადახატანი ბუდა. უზუნაეს იგი მხოლოდ ამ შემთხვევაში უზიარება, უკეთუ თავის ბედს განმარტოებაში ეძებს. ადამიანი ხაიდუმლოსაც ფლობს, ღვთაებრივი (ნუგისი) მოკვდავ ქალთან, ფიზიკურ სხეულს მიჯაჭვულ ადამიანის ცნობიერებასთან უნდა შეუდღეხს, რათა იშვას ძე — ღმერთის მხსნელი ადამიანის სიბრძნე (ლოგოსი). ცნობიერება ამით უკვდავებას იძენს. ადამიანი ვერ ვერ ბედავს ხაიდუმლოს გამხელას, სანამ მას მისტი (პერაკლე) არ მიუახლოვდება და იმ ძალას არ აარიდებს, რომელიც მას გამუდმებით ხიკვდილით ემუქრება. რაღაც არსებამ — ნახევრად ცხოველმა, ნახევრად ადამიანმა — კენტავრმა საკუთარი თავი უნდა გასწიროს, რომ ადამიანი იხსნას. კენტავრი თავად ადამიანია, ნახევრად ცხოველი, ნახევრად სულიერი. იგი უნდა მოკვდეს, რომ წმინდა სულიერი ადამიანი გათავისუფლდეს. ის, რასაც პრომეთე — ადამიანის ნება, თაკილობს, ღებულობს ეპიმეთე (ვანსჯა, ტყუა). მაგრამ ეპიმეთესთვის შეთავაზებული ძღვენი მხოლოდ ტანჯვა და უბედურებაა. რადგან ვანსჯა არარაობას, წარმავალს ებღაუჭება და მხოლოდ ერთი იმედიღა რჩება, რომ ოდესღაც წარმავალიდან მარადიული დაიბადება.

არგონაეტების თქმულების, პერაკლესა და პრომეთეს მითების ლაიტმოტივი პომეროსის „ოდისეაშიც“ შეინიშნება. ამ ეპოსის მიმართ მითების განმარტების შემოსენებული წესის გამოყენება შეიძლება ვინმეს, ცოცხა არ იყოს, ხელოვნურიც მოეჩვენოს. მაგრამ ყველა გარემოების უფრო გამოწვლილივით შესწავლა თვით უჯიუტეს სკვპტიკოსსაც უთუოდ ყოველგვარ ეჭვს გაუფანტავს. უპირველეს ყოვლისა, შეუძლებელია არ გვენიშნოს ის ფაქტი, რომ აქაც ოდისევსის ქვესკნულში ჩახელასთან გვაქვს საქმე. სხვაფრიც პოემის ავტორზე დღეს შეიძლება სხვადასხვა ვარაუდი გამოითქვას, მაგრამ, ზენის აზრით, ყოვლად წარმოუდგენელია, რომ პომეროსს მოკვდავი ადამიანის, ოდისევსის, ქვესკნულში ჩახელაზე ელა-

პარაკა და ის მნიშვნელობა უკუღვეებელეო, რაც ამგვარ მო-
ვზაურობას ბერძნების წარმოფენაში ენიჭებოდა. ქვესკნელ-
ში ჩასვლა, ანუ აიღში მოვზაურობა წარმავალზე გამარჯვ-
ებასა და ხაფშენიველში მარადიულის გამოდვიძებას ნიშნავ-
და. აქედან გამომდინარე ოფისევისის მიერ გადატანილი ფათე-
რაკები, პერაკლებს ვმირობების მსგავსად, უფრო ღრმა მნიშ-
ვნელობას იძენს. ოფისევისის თავგადასავალი გრძნობადის მი-
ღმა მიმდინარე პროცესის აღწერად წარმოფენილება; იგი, კ-
რძოდ, ხაფშენიველის განვითარებაზე მიგვანიშნებს. თანაც,
უნდა ითქვას, რომ „ოფისეას“ ავტორი სიუფეტს უფრო სხვა-
ნაირად ავითარებს, ყაფრე ამას გარე მოვლენათა მსვლელობა
მოითხოვს. ვმირი ზდაპრული ხომალდეებით მოვზაურობს.
სანამდვილეში არსებული ვეოვრაფიული მანძილები ავტო-
რის სურვილისამებრ იცვლება და, საერთოდაც, ამ პოემაში
გრძნობად რეალობასთან ვერავითარ კავშირს ვერ აღმოფა-
ჩნთ. ეს თავისებურება მხოლოდ მაშინ ხდება გასაგები, როცა
მხედველობაში ვაღებთ იმ ფაქტს, რომ გარე ფიზიკური რეა-
ლური მოვლენები სუღიერი განვითარების მხოლოდ ილუს-
ტრაციების როლს ასრულებენ. სხვათა შორის, პოემის დასა-
წყისში თავად პოეტაც მიგვანიშნებს, რომ საუბარი ხაფშენი-
ველის ძიებას შეეხება:

„ამბავი მითხარ ო, მუზა, მრავალნაცადი გმირის, რომელიც
ბედმა დიდხანს სხვადასხვა გზებით ატარა მას მერე,
რაც მის წინაშე დაინგრა წმინდა ილიონი.

უცხო ხალხების ქალაქებსაც სწვევია მგზავრი და იქაური
ზნე-ჩვეულებების მნახველიც გამხდარა.

ზღვებზე ყარიბად უგზო-უკლოდ ხეტიალისას ბევრს ეწამა
მრავალჭირგამოვლილი.

ვულს უმძიმებდა ფიქრი თავისი ხაფშენიველის გადაჩენასა დ.
შინ თანამგზავროთა კეთილად დაბრუნებაზე“.

როგორც ხედავთ, ლეენს წინაშე წარმოფენება ადამიანი,
რომელიც დვთაებრივს, საკუთარ ხაფშენიველს, ეძიებს. პოე-

მა ღვთაებრივის საძიებლად წუთისოფელში მოგზაური ადამიანის ამბავს გვითხრობს. ყოვლის უწინარეს, ოდისეესი გვიყვება, რომლებსაც შუბლზე აქვთ ცალი თვალი. მათგან უსამინდესი, პოლიფემე, ოდისევსის რამოდენიმე თანამგზავრს შთანთქავს, მაგრამ თავად გმირი თავისი მოხერხებით დააბრძავებს ურჩხულს და ხელიდან დაუსხლტება მას.

პოემის ეს ადგილი ღვთაებრივი მიზნის მისაღწევად ცხოვრების გზაზე პილიგრიმად გამოსული ადამიანის მოგზაურობის პირველ ეტაპს ასახავს. ფიზიკური ძალა, ქვენა ბუნება დაძლეულ უნდა აქნას. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი შთანთქავს იმას, ვინც ვერ შეძლებს გააუვნებელუროს, დააბრძავოს ეს ბნელი ძალა. შემდგომ ამისა ოდისევსი ჯადოქარ კირკეს კუნძულს ეწვევა. გრძნეული ქალი მის ზოგიერთ ამბიანავს დრუტუნა ღორებად აქცევს. გმირი აქაც გამარჯვებული გამოდის. კირკე სულის ქვენა ძალაა — რომელიც წარმოავალს არის ჩაჭიდებული. ამ ძალას შეუძლია ადამიანი, რომელიც მას ბოროტად იყენებს, უფრო დაბლა, ცხოველის დონეზე ჩამოიყვანოს. ოდისევმა ეს მომწესხველი ძალაც უნდა დაამარცხოს, რათა ქვესკნელში ჩასვლა შესძლოს. ამრიგად, იგი მისტი ხდება და ის სამინდელეები უნდა გადალახოს, რომლებიც მისტს ხელდასხმის დაბალი საფეხურებიდან უმაღლეს ხარისხებამდე ამაღლებისას ელის. ასეთია სირენებთან შეხვედრა, რომლებიც ტყბილი და მათრობელა გრძნეული ბგერებით მგზაურებს დასაღუძავად იტყუებენ. ეს არსებები მდარე ფანტაზიის ხატებს წარმოადგენენ, რომლებიც გრძნობადისაგან ახლად გათავისუფლებულ ადამიანს ნუსხავენ და ათილისძებენ. ასეთმა ადამიანმა, მართალია, თავისუფლად შემოქმედი სულის დონეს მიაღწია, მაგრამ ხელდასხმამდე ვერ ამაღლებულა. იგი შეიძლება მოჩვენებითმა ხატებმა გაიტაცონ, რომელიც დამატყვევებელ ძალას მან თავი უნდა დააღწიოს. ოდისევსმა სკელასა და ქარიბდეს შორის გამავალი სამინდელი გზაც უნდა განვლოს, რაც იმას ნიშნავს, რომ პირველ ხანებში

მისტი ჯერ კიდევ ხელსა და გრძნობადს შორის მერყეობს. იგი სულის მნიშვნელობის მთელ ხიზავსეს ჯერ არ ჩასწვდომია, თუმცა გრძნობადმა მისთვის უწინდელი ფახი და ძალიან უკვე დაკარგა. ამ უმკაცრესი გამოცდის დროს ზომალდი და მასთან ერთად ოდისევსის ვეველა თანამგზავრიც იღუპება; მგზავრთაგან ერთადერთი ოდისევსი გადარჩება, რომელიც ნიმფა კალიფსოს კუნძულს აღწევს. ნიმფა ეგებება ოდისევსს და შვიდი წლის განმავლობაში ზრუნავს მასზე, ხანამ ბოლოს იგი ზევსის ბრძანებით ოდისევსს სამშობლოში გამგზავრების ნებას არ ღართავს. მისტი იმ საფეხურამდე ამაღლდა, როდესაც ვეველა მისმა თანამგზავრმა მარცხი განიცადა და მხოლოდ ერთი ღირსეული — ოდისევსი აღწევს მიზანს. გარკვეული დროის განმავლობაში, რომელიც მისტიკური სიმბოლური რიცხვით, 7 წლით, განისაზღვრება, ეს ღირსეული ვშირი თანდათანობით ხელდახმის მშვიდ საუფლოში პოულობს თავის დავანებას. მაგრამ ვიდრე სამშობლოს მიაღწევდეს, ოდისევსს კვლავ გამოცდა ელის იგი თეატების კუნძულს მიაღვება. აქაც გულდად ღებულობენ. მეუის ასული ნავსიკაია ვშირს კეთილგანწყობით ეგებება. თავად მეფე ალიკინოც გულუხვად მასხინძლობს მას და ღირსეულ პატივსაც მიაგებს. ვშირის წინაშე კვლავ წარსდგება ამქვეყნიური ცხოვრების სეტარებანი და საამოვნებანი. ოდისევსში ამქვეყნიური საწუთროსადმი მიდრეკილების მქონე სული (ნავსიკაია) იღვიბებს. მაგრამ ვშირი მაინც პოულობს გზას შინისაკენ — ღვთაებრივისაკენ. თავდაპირველად შინ მას კარგი არაფერი ელის. მის შეუღლეს — ჰენელომას მრავალრიცხოვან სახიძოთა ვარი თავს აბეზრებს. ჰენელომა ვოველ მათგანს ცოლობას პირდება, მაგრამ მხოლოდ იმის შემდეგ, როცა საბურველის ქსოვილის ქსოვას შორწყება. პირობის შესრულებას იგი თავს იძით არიდებს, რომ დღისით მოქსოვილს დამით არღვევს. ოდისევსმა სახიძოები უნდა დაამარცხოს, რათა კვლავ შეერთოს და შეეწივოს თავის შეუღლეს. შინ დაბრუნებისას, ოდისევსი რომ არაეინ იცნოს, ქაღღმერთი ათენა მას მათხოვრად აქ-

ცვს და ოდისევესაც აბეზარ სასიძოებს ასე ამარცხებს. უმძირს
საფშვინველის ღვთაებრივი ძალების უფრო ღრმა ცნობიერე
ბის ვათავისებას მიეღვტვის, ამ ძალებთან შეერთებას ესწრა
ფვის, მაგრამ ვიდრე ამ ძალებს შეერთდება, მისტმა ყოველივე
ის უნდა დაამარცხოს, რაც, პენელთას თაყხედი სასიძოების
მსგავსად, ამ ცნობიერების დაუფლებას ღამობს. მდარე სინა-
მჯეილის სამყარო, წარმავალი ბუნება სასიძოების ჯარს ბა-
დებს. მათ წინააღმდეგ მიმართული ღოვიკა ის ქსოვილია,
რომელიც მოქსოვისთანავე კვლავ და კვლავ ირღვევა. მხო-
ლოდ სიბრძნეს, (ქაღდმერთ ათენას), შეუძლია ჭეშმარიტი
მეგზურობა გაუწიოს ადამიანს საფშვინველის უღრმეს ძალებ-
ბისაგნ მიმავალ გზაზე. სიბრძნე ადამიანს მათხოურად, მწი-
რად, აქცევს — ესე იგი, ყოველივე იძისგან განძარცვავს, რაც
წარმავალიდან მომდინარეობს.

მისტერების სიბრძნით სრულიად გაყდენითილი იყო ელე-
ვისისი ღდესასწაულებიც, რომლებიც საბერძნეთში დემეტ-
რასა და დიონისეს საპატიუცემულოდ იმართებოდა. ათენადან
ელევსისში წმინდა ვზა მიდიოდა. ამ ვზაზე იღუქალი ნიშნები
და გამოხახულებები იდგა, რომლებსაც საფშვინველის ამღ-
ლებული განწყობა უნდა გამოეწვია. ელევსისში დაფარული
საიდუმლო ტაძრები იყო განლაგებული. რომლებშიც ღვთის-
მსახურებას ქურუშთა კასტები ეწეოდნენ. ქურუშის დირსება
და მასთან დაკავშირებული სიბრძნე აქ თაობიდან თაობას
გადაეცემოდა. (ელევსისის ტაძრების მოწყობილობაზე მოვ-
ითბრობს წიგნი „Ergänzungen zu den letzten Untersuchun-
gen auf der Akropolis in Athen“, von Karl Botticher,
Philologus. Suppl. Bd. 3, Heft 3.) ამ ტაძრებში მსახურების
უფლებას სწორედ ბერძნული მისტერული სიბრძნე იძლეო-
და. ღდესასწაულებზე, რომლებიც წელიწადში ორჯერ იმარ-
თებოდა, უდიდესი მსოფლიო ღრამა თამაშდებოდა, სამყარო-
სა და ადამიანის საფშვინველში ღვთაებრივის ბედს რომ წა-
რმოადგენდა. მცირე მისტერები თებერვალში ტარდებოდა,

სექტემბერში კი დიდ მისტერიებს მართავდნენ. დღესასწაულებს ნოოფატების ზეღდასხმაც ერთვოდა. მისტად ზეღდასხმის ბოლო აქტი, რომელიც აქ იმართებოდა, სამეაროსეული და ადამიანური დრამის სიმბოლური წარმოდგენა იყო. ელევსისის ტაძრები დემეტრას, კრონოსის ასულის საპატრიარქოლოდ აივო. დემეტრას ზევსისგან, ხანამ ეს უკანასკნელი პერას შეირთავდა, ასული — პერსეფონა ეყოლა. ერთხელ თამაშისას პერსეფონა პლუტონმა, მიწისქვეშეთის — აიდის — დმერთმა მოიტაცა. ქალიშვილის დაკარგვით ზარდაცემულმა დემეტრამ მის ძებნაში საწყალობელი გოდებით მთელი ქვეყნიერება მოვლო, ბოლოს იგი ელევსისსაც შიადგა, ელევსისის მბრძანებლის, კელევსის, ქალიშვილებმა ქვაზე მჯდომარე ქალღმერთი იხილეს, რომელსაც მოხუცი ქალის სახე მიედო. დემეტრა კელევსის ოჯახში ჩვილი ბავშვის გადიად მიიღეს. მადღაერების ნიშნად ქალღმერთმა გადაწყვიტა მეფის ძისათვის უკედაეება მიენიჭებინა. იგი ჩვილს ყოველდამე ცეცხლის აღში აწრთობდა, მაგრამ როცა ბავშვის დედამ ეს ამბავი შეიტყო, ტირილისგან გულამოსკენილი ქალღმერთს შეეკედრა ბავშვი დაენდო. ამის გამო ჩვილმა უკედაეება ვეღარ მიიღო. დემეტრამ მეფის სახლი მიატოვა. კელევსმა მას ტაძარი აუვო. უზომო იყო დემეტრას დარდი თავის ქალიშვილზე და მგლოვიარე ქალღმერთმა დედამიწა უნაყოფობით დასაჯა. რაღაც ხამინელებმა რომ არ მომზდარიყო, დმერთები დემეტრას უნდა შერიგებოდნენ. ზევსმა პლუტონი აიძულა პერსეფონა დედამიწაზე ამოეშეა. მაგრამ ქვესკნელის დმერთმა განმორების წინ პერსეფონას ბროწყელის მარცვალი ჩააფლავა. ამის გამოთისობით პერსეფონა იძულებული გახდა პერიოდულად ისევ და ისევ აიდს დაბრუნებოდა. იმიერიდან იგი წელსწადის ერთ მესამედს მიწისქვეშა სამეაროში ატარებდა, ხოლო დანარჩენს ორი მესამედი დედამიწის ბინადარი გახლდათ. დემეტრა დმერთებს შეურთავდა და ოლამპოსაც დაუბრუნდა, ხოლო ელევსისში, ელევსის ქალაქში, თავის სახელის მისაკონრად სადღესასწაულო მსახურება დააწესა.

დემეტრასა და პერსეფონას შათის აზრი ძნელი მისახვედ-
რი არაა. ის, რაც ხან ქვესკნელში — აიღში იმყოფება, ხან კი
ზე მაღლდება, ადამიანის საფშვინველია. შათში ხიმბოღური
სახით საფშვინველის მარადიულობა და დაბადებისა და სიკ-
ვდილის მონაცვლეობაში მისი მუდმივი ტრანსფორმაცია გა-
მოიხატა. საფშვინველი ღვთაებრივისგან, დემეტრასგან
იღებს სათავეს. მაგრამ რაწამს წარმავალი გაიტაცებს, საფ-
შვინველი თავად ხდება წარმავალის ბედის თანახმარი. ადა-
მიანის საფშვინველმა აიღის ნაყოფი იცემა, ანუ წარმავალით
გაჯერდა და ამიტომაც ღვთაებრივის მწვერვალებზე დიდხანს
ყოფნა ვეღარ ძალუძს. იგი იძულებულია კვლავ და კვლავ
წარმავალის სამეფოს დაუბრუნდეს. დემეტრა იმ არხის წარ-
მომადგენელია, რომლისგანაც ადამიანის ცნობიერება წარ-
მოიშვა; ამასთან ერთად უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ
ცნობიერების ჩამოყალიბებაში დედამიწის ხელეიერი ძალები
იც იღებენ მონაწილეობას. ამრიგად, დემეტრა დედამიწის
პირველხაწყისი არსებაა; ნიშანდობლივია ისიც, რომ იგი დე-
დამიწას ნაყოფიერების ძალებს ანიჭებს. ე.ი. ნაყოფთა თეს-
ლისძიერ ძალებს მიჰმადლის, რაც მისი არსების უფრო ღრმა
დაფარულ მხარეზეც მიგვითითებს. ამ არსებას სურს ადამი-
ანი უკვდავი გახადოს. დემეტრა დამდამობით ცეცხლის აღში
აწრთობს თავის აღსაზრდელს. მაგრამ ადამიანი ცეცხლის
წმინდა ძალას, (სულს), ვერ უძლებს და დემეტრაც იძულებ-
ულია თავის განზრახვაზე ხელი აიღოს. ქალღმერთის მხო-
ლოდ ტაძრის მსახურების დაწესება ხელეწიფება, სადაც
ადამიანს საკუთარი ძალებიდან გამომდინარე ძალუძს უზი-
აროს ღვთაებრივს.

ელევსისის დღესასწაულები საფშვინველის უკვდავების
სახეობოდ გაცხადებული აღიარება იყო პერსეფონას შათში
იმ აღიარებამ თავისი ხიმბოღური გამოხატულება ქოცა. დე-
მეტრასა და პერსეფონასთან ერთად ელევსისში დიონისეს
ქალღმერთიც იყო მიღებული. თუკი დემეტრა ადამიანში მარადი-

ულის დვთაებრივ შემქმნელად ესახებოდათ, დიონისეს^{მა} თა-
კად დვთაებრივს და სამყაროში მის მუდმივ ფერისცვალებას,
ტრანსფორმაციას, ხცემდნენ თავჯანს. დიონისეს სამყარო-
ში განღვრილი და დაკლუჯილი ღმერთის სულიერი აღდგო-
მის აქტი რომ შემდგარიყო (იხ. ვე. 58), იგი დემეტრას, ნაფო-
ფიერების ქალღმერთს, უნდა დაკავშირებოდა, რაც მათ ერ-
თობლივ დღესასწაულშიც აისახა. (ელევსის მისტერიების
ბრწყინვალე აღწერილობა შეგიძლიათ ნახოთ ედუარდ შუ-
რეს წიგნში: Sanctuaires d'Orient, Paris 1898).

ეგვიპტის იდუმალი სიბრძნე

„როდესაც სხეულს მიატოვებ და თავისუფალ ეთერად აღი-
დლები, სიკვდილს განრადებული უკვდავ ღმერთად გარდა-
სახები“. ემპედოკლეს ეს გამოონათქვამი აკუმულირებული სა-
ხით გადმოგვცემს ძველ ეგვიპტელთა თვალსაზრისს ადამიან-
ში არსებულ მარადიულ საწყისზე და დვთაებრივთან ადამი-
ანის კავშირზე. ასეთი განცხადების საფუძველს ეგრეთწოდებ-
ული „მიცვალებულთა წიგნი“ გვაძლევს, რომლის დამუშა-
ვებასა და ფიტალურ განხილვას მეცხრაშეტი საუკუნის მეც-
ნიერთა გულმოდგინე შრომას უნდა ვუმაღლოდეთ. (იხ. Lep-
sius. Das Totenbuch der alten Aegypter. Berlin 1842). ეს
სადვთო წიგნი, „ეგვიპტელთაგან ჩვენამდე მოღიანად რომ
მოადწია, უდიდესი მნიშვნელობის ლიტერატურული ძეგ-
ლია“. იგი მრავალ სხვადასხვაგვარ შეგონებასა და ლოცვებს
შეიცავს, რომელთაც ყოველ მიცვალებულს კუბოში ატანდ-
ნენ, რათა წარმავალი გარსის, მოკვდავი სხეულის, მიტოვე-
ბის შემდეგ მისთვის გზათამკვლელობა და შეგზურობა გაეწია.
ამ ლიტერატურულ ნაწარმოებში თავმოყრილია ეგვიპტელთა
ვევლაზე უფრო ინტიმური შეხედულებები მარადიულ საწყის-
სა და სამყაროს წარმოშობაზე. ამჟამად ამ შეხედულებათა
მსგავსება ბერძნული მისტიკის წარმოდგენებთან ღმერთებზე,
მრავალ დვთაებას შორის, რომლებსაც ეგვიპტის სხვადასხვა
მხარეში სცემდნენ თავიანთს, ოზირისი თანდათანობით საყო-
ველთაო და უზენაესი ღმერთი გახდა. ამ სახეში გაერთიანდა
ვევლანაირი ხალხური წარმოდგენა სხვადასხვა ღმერთებზე.
მაგრამ ჩვენთვის არსებითია არა ეგვიპტელი ხალხის, მასაში
არსებული, შეხედულებები, არამედ „მიცვალებულთა წიგნი-
ში“ შეკრებილი ქერუმთა სიბრძნე. მათი წარმოდგენით, ოზი-
რისი სწორედ ის არსებია, რომლის აღმოჩენა ადამიანის სა-
ფუძვანეელში არის შესაძლებელი. ამ თვალსაზრისს ნათლად
ადასტურებს გარდაცვალებასა და, საერთოდ, მიცვალებულე-
ბისადმი ეგვიპტელთა დამოკიდებულებაც. როდესაც სხეული

მიწას მიუბარება, ადამიანის მარადიული ნაწილი მარადისა-
 სკენ აღზავლენ ვხას აღვება. იგი ოზირისისა და მის ვარშემო
 მჯდომარე საიქიოს ორმოცდაორი მსაჯულის სამსჯავროზე
 უნდა წარსდგეს. ადამიანის მარადიული ნაწილის ბუდი მათ
 განკითხვაზე დამოკიდებული. როცა საფშენველი ცოდვებს
 მოინანიებს და მარადიულ სამსჯავროს განაჩენს დაემორჩი-
 ლება, მას უხილავი ძალები ეგებებიან და შემდეგს უცხადებენ:
 — „ოზირისი N განიწმინდა ტბაში, რომელიც მოცეპის მინდ-
 ვრის სამხრეთით და კალიების მინდვრის ჩრდილოეთით მდუ-
 ბარეთის, სადაც მეოთხე საათსა და შერეუ საათზე. ვამთენი-
 სას განიბანებთან ამწეანებული ბუნების ღვთაებანი, ზედ ღმე-
 რთების ვულის ხატ-სახზე რომ აღბუჭდითათ“. — ამრივად, სამ-
 ყაროს მარადიული წესრიგის წიაღში დავანებული ადამიანის
 მარადიულ საწყისს მიმართავენ, როგორც ოზირისს. ოზირი-
 სად შერაცხვის შემდეგ მოცეპული პირის საკუთარ სახელ-
 საც წარმოიქცაქენ. თავად ის ადამიანაც, რომელიც სამყაროს
 მარადიულ წესრიგს ენათობა, საკუთარ თავს „ოზირისს“
 უწოდებს: — „მე ვარ ოზირისი N. აყვავებული ლეღვის ქვეშ
 იზრდება და განიფინება სახელი ოზირისისა N“. მაშახადაამე,
 ადამიანი ოზირისი ხდება. ოზირისის ყოფიერება მხოლოდ
 სრულყოფილებას საფუხურია ადამიანის ყოფიერების განვი-
 თარებაში. ამკარაა, რომ ხსოვრედ სრულყოფილი ადამიანია
 ოზირისი, რომელსაც სამყაროს წესრიგის წიაღში მსჯავრი
 გამოაქვს. ღვთაებრაც ყოფიერებასა და ადამიანის ყოფიერე-
 ბას შორის განსხვავება მხოლოდ ხარისხსა და რიცხვშია.
 „მიცვალებულთა წიგნში“ წარმოდგენილ მსოფლმხედველო-
 ბას რიცხვას საიდუმლოებისადმი მიხტერიათა მიმართება
 უღვეს საფუძელად. ოზირისი, როგორც სამყაროსეული არ-
 სება, ერთადერთი თვისამყოფი ერთარსია. ამავე დროს, იგი
 განუყოფლად თითოეული ადამიანის საფშენველშიც არსე-
 ბობს. ეოველი ადამიანი ოზირისია, მაგრამ, ამასთან ერთად,
 ერთადერთი თვისარსა ოზირისიც უნდა არსებობდეს, ვითა-

რცა სრულად განსაზღვრული არსება. ადამიანი განვითარებას ექვემდებარება და თავისი ევოლუციის დასასრულს მას ღვთაებრივი ყოფიერება ედოს. ამ მსოფლმხედველობის ფარგლებში უფრო მართებულია ღვთაებრივზე ვიდრე ადამიანზე და არა თავის თავში დასრულებული ღვთაება ვიგულისხმოთ.

უეჭველია, რომ ზემოთმოცემული თეალსაზრისის თანახმად ოზირისის ყოფიერებამდე ამაღლება მხოლოდ იმ ადამიანს ძალუძს, რომელმაც ოზირისივით სამყაროს მარადიული წესრიგის კარიბჭეს მიაღწია. მაშასადამე, უმაღლესი ცხოვრება, რომლის მიღწევა ადამიანს ხელეწიფება, იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანი ოზირისად იქცეს. გონიერ, ცნობიერებაგაღვიძებულ ადამიანში ამ წარმავალ წუთისოფელშივე უნდა არსებობდეს შესაძლებლად სრულყოფილი ოზირისი. იმ შემთხვევაში, თუკა ადამიანი ოზირისივით იცხოვრებს და ვოველივე იმას აღასრულებს, რაც ოზირისმა მოიმოქმედა, იგი სრულყოფილი ხდება. ოზირისის მითი ამით უფრო ღრმად მნიშვნელობასაც იძენს. ამ თეალსაზრისით ეს მითი იმ ადამიანის პირველსახეა, რომელსაც თავის თავში მარადიულის გაღვიძება სურს. ოზირისი ტაფონის მიერ მოკლული და დაგლეჯილია, მაგრამ მისმა ძეგლემ, იზიდამ, დაგლეჯილი ცხედარის ნაწილები შეკრიბა და ხათუთად შეინახა. გარდაცვალების შემდეგ ოზირისის სხივმა იზიდა განანათლა და მანაც პორუსი შვა. პორუსმა ოზირისის მიწიერი საჭმენი და ამოცანები თვითონ იტვირთა. იგი შეორე, ვერ კადვუ არასრულყოფილი ოზირისია, რომელიც ჭეშმარიტი ოზირისისიკენ მისწრაფვის. ჭეშმარიტი ოზირისი ადამიანის საფშვინველში ცხოვრობს. საფშვინველი თავდაპირველად წარმავალია, მაგრამ საფშვინველის წარმავლობას მარადიულის შობა უწერია. ამიტომ ადამიანმა საკუთარი თავი ოზირისის საფლავად შეიძლება ჩათვალოს. ადამიანის ქვენა ბუნებამ (ტიფონმა) უმაღლესი ბუნება მოკლა. სუფარულმა (იზიდამ), რომელიც ადამიანის საფშვინველში ცხოვრობს, მოკლულის ცხედარის ნაწილები უნდა ვადაარჩინოს და შეინახოს. და

მამის ადამიანში უმადლესი ბუნება, მარადიული საფშვინვე-
ლი (პორუსი) იბადება, რომელსაც ოზირისის ყოფიერებამდე
ამადლება ძალუძს. ადამიანმა, რომელიც უმადლესი ყოფი-
ერების კენ მიისწრაფვის, თავის თავში მიკროკოსმით რად ოზი-
რისის სამყაროსეული მაკროკოსმიური პროცესი უნდა გაი-
მეოროს. ასეთი იყო ეგვიპტური „ხელდასხმის“ შინაარსი. ის,
რასაც პლატონი აღგვიწერს, როგორც კოსმიურ პროცესს,
შემოქმედის მიერ სამყაროს სხეულზე სამყაროს საფშვინვე-
ლის ჯვარივით გაკერას და სამყაროსეულ პროცესში სამყა-
როს ჯვრად გაკრული, ჯვარცმული საფშვინველის გათავი-
სუფლებას, ყოველივე ეს მცირე მასშტაბით თავს უნდა გადა-
ხდენოდა ადამიანს, რომელიც ოზირისის ყოფიერებამდე ამა-
დლებას მიეღწეოდა: ნეოფიტს, რომელიც ხელდასხმისთვის
ემზადებოდა, თავისი შინაგანი ბუნება იმ მიმართულებით უნ-
და განეუთარებინა, რომ მისი ფშვინვეური განცდა, ოზირი-
სად მისი ქვეყის პროცესი, ოზირისის კოსმიურ პროცესს
შერწყმოდა და ერთარსად შენივთოდა. ხამუალება რომ მოვ-
ცემოდა, ხელდასხმის ტაძრებში შეგვეჭყრიტა, ხადაც ნეო-
ფიტების ოზირისად გარდასახვის აქტი სრულდებოდა, დავი-
ნახავდით. რომ ამ ტაძრებში მიკროკოსმით რად სამყაროსეუ-
ლი პროცესი თამაშდებოდა. „მამისგან“ წარმოშობილ ადამი-
ანს თავის თავში ბე უნდა ეშვა. ის, რასაც სინამდვილეში
ადამიანი ხაკუთარ თავში ატარებს, ანუ მონუხხულ, გაიდუ-
მალეხულ ღმერთის, ხელდასხმის შედეგად ადამიანში უნდა
გაცხადებულყო. მიწიერი ბუნების ძალაუფლება ადამიანში
დამარბული ღმერთის გაცხადებას ეწინააღმდეგება. ადამი-
ანის უმადლესი ბუნება მკედრუთით რომ აღდგეს, მასში ჯერ
ქვენა ბუნება უნდა დასამარდეს. ყოველივე, რაც ჩვენ ხელდა-
სხმის წესებზე ვეწვიით, თავის ახსნას აქედან ღებულობს. —
ადამიანს იღუმალი პროცედურები უნდა გაეელო, რათა მი-
სი მიწიერი ბუნება მომკვდარიყო და უმადლეს ბუნებას გა-
მოეღვიოს. ამ პროცედურების დეტალური შესწავლა აქ ხაკვი-
რიდ არ მამანსია; მთავარია მხოლოდ მათი შინაარსს ჩავწე-

დეო, რაზედაც ის სიტყვები მიგვანიშნებს, რომლებიც ყველა
 იმ ადამიანის აღსარებად შეიძლება ჩაითვალოს, ვინც ზელ-
 დასხმის გზა განვლო: — „მე უსაზღვრო მიზანი მიტაცებდა,
 რომლის დასაღიერში დვთაებრივის სრულყოფილება განს-
 ევნებს. მე შევიგრძენი, რომ ამ დვთაებრივის ძალა ჩემში
 ცხოვრობს. მე ყოველივე ის დავახამარე, რაც ჩემში ამ ძალას
 აჩმათებდა. მე მიწიურისთვის ვარდავიცვალე და მიცვალე-
 ბული ვიყავ. მოგკვდი, როგორც მიწიერი, მდაბალი ადამიანი,
 სიკვდილის კარიბჭე განვვლე და მიცვალებულებთან მქონდა
 ურთიერთობა. ე.ი. მათთან, ვინც სამყაროს მარადიული წეს-
 რიგის წრებრუნვაში უკვე შთაერთვნენ. ქვესკნელში ყოფნის
 შემდეგ მკვდრეთით აღვდექე. სიკვდილს ვძლიე და ამიერიდან
 სხვა ადამიანად ვიქვეც. აწ წარმავალ ბუნებასთან აღარაფერი
 მესაქმება. იგი ჩემში ღოგოსით განიშტვალა. ამიერიდან
 იმათ რიცხვს ვეკუთვნი, ვინც მარად ცოცხლობენ და ოხირი-
 სის ზელმარჯვნივ სხდებიან. მე თავად ვიქნები ტეშმარსტი
 ოხირისი, რომელიც სამყაროს მარადიულ წესრიგშია ჩარ-
 თული. სიცოცხლისა და სიკვდილის განსხვა მე მომეკითხება“.
 — ზელდასხმის გზაზე შემდგარ ნეოფიტს ასეთი შინაგანი
 გამოცდილება უნდა მიეღო, რათა ზემოთმოცემული აღსარე-
 ბის თქმა შეძლებოდა. ეს ცხოველი გამოცდილება, დვთაებრი-
 ვი მორჩნისკენ მიმავალ ნეოფიტს წინ რომ ეგებებოდა, უმაღ-
 ლესი ხარისხის შინაგანი განცდა იყო.

მოდით, ახლა ჩვეულებრივი ადამიანი წარმოვიდგინოთ,
 რომელმაც ზელდასხმისა არაფერი უწყის, მაგრამ გაუგია,
 რომ მკვანძა ისეთი რამ განიცადა, რაც ეს-ესაა აღვწერეთ. იგი
 კერ გააცნაურებს, თუ რა მოხდა სინამდვილეში ზელდასხმუ-
 ლის საფშვინველში. ეს უკანასკნელი მისთვის ფიზიკურად
 ვარდაიცვალა, კუბოშიც ჩაახვეწეს, შემდეგ კი მკვდრეთით
 აღდგა[ის, რასაც ყოფიერების უმაღლეს საფეხურზე სული-
 ერი რეალობა ვაჩნია, გრძნობადი სინამდვილის ფორმებში
 ისეთ შემთხვევად წარმოადგება, რომელიც ბუნების კანონებს
 არღვევს. იგი „სახსწაუღია“ ზელდასხმატ სწორედ ამგვარ

„სასწაულად“ აღიქმებოდა. თუკი მავანს ჭეშმარიტად ხელდასხმის შინაარსის გაგება სურდა, მას თავის თავში ისეთი ძალები უნდა განეფითებინა, რომლებიც ყოფიერების უმაღლეს საფეხურებზე არსებობას შეაძლებინებდნენ. ამ უმაღლეს შინაგან განცდებამდე იგი ცხოვრების განსაკუთრებული მოსამზადებელი წესის მეშვეობით უნდა მიხულიყო. მართალია ცხოვრების ეს პერიოდი, რომელიც სხვადასხვა მოსამზადებელ ვარჯიშსა და გამოცდას ეთმობოდა, ყოველი პიროვნებისათვის გარკვეული თავისებურებებით ხასიათდებოდა, მაგრამ იგი მაინც ერთ სრულიად განსახლებურ ტიპურ ფორმას შეესაბამებოდა. ამიტომ ხელდასხმულის ცხოვრება ტიპურ ცხოვრებად უნდა ჩაითვალოს და მისი აღწერაც პიროვნებისგან დამოუკიდებლად არის შესაძლებელი. უფრო მეტიც, ამა თუ იმ პიროვნებაზე მხოლოდ მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი ღვთაებრივისკენ აღსაკვლენ ვზახ ადგას, თუკი მას გავლილი აქვს გარკვეული ტიპური განცდები. სწორედ ასეთი პიროვნება იყო ბუდა თავისი მიმდევრებისათვის. ასეთივე პიროვნებად იქცა ქრისტიანული საძმოსათვის იესო პარალელისში, რომელიც ბუდას და იესოს ბიოგრაფიებს შორის შეიმჩნევა, ჩვენს დროში უკვე ცნობილი ფაქტია. მის არსებობას ნათლად ამტკიცებს რუდოლფ ზეიდელის წიგნიც „ბუდა და ქრისტე“. საკმარისია მხოლოდ ფაქტებს ჩავებიოთ, რომ ამ პარალელისშემების უარყოფელი შენიშვნების მთელი უსუსურობა დავინახოთ.

ბუდას დაბადების მაუწყებლად დედოფალ მაიას სიზმარში თეთრი სპილო ევლინება, რომელიც ციდან დედოფლის თავზე ეშვება. იგი უცხადებს, რომ მაია ღვთაებრივ აღამიანს შობს, „რომელიც ყველა არსებას სიყვარულისა და მეგობრობისათვის განაწყოფს, და ერთმანეთთან მჭიდრო კავშირით შეერთებს“. ლუკას სახარებაში ნათქვამია: — „ქალწულთან, რომელიც დანიშნული იყო კაცზე, და სახელი მისი — იოსება, დაეითის მოდგმისა, ხოლო სახელი ქალწულისა — მარიამი შევიდა ანგელოსი მასთან და უთხრა: გიხაროდეს მადლით

მოხილეთ... და ამა, მუცლად იდებ, და შიბ ძეს, და უწოდებ მას
 სახელად იესოს. დიდი იქნება იგი, და უხენაესის ჰედ იწოდებ
 ბა. — ბრამპანები, ინდოელი ქურუმები, რომელთაც იცნან თუ
 რას ნიშნავს ბუდას დაბადება, მაიას სიზმარს განმარტავენ.
 ბრამპანებს განსაზღვრული ტიპიური წარმოდგენა აქვთ იმა-
 ზე, თუ ვინ არის ბუდა, პიროვნების ცხოვრებაც ამ წარმოდ-
 ვენას უნდა შეესაბამებოდეს, მათესთან ვკითხულობთ: (2,4)
 — „ქროლეშ შეკრიბა ყველა მღვდელმთავარი და ერის მწიგ-
 ნობარნი და გამოჰკითხავედა მათგან, სად უნდა შობილიყო
 იესო ქრისტე?“ — ბრამპანი ასიტა ბუდაზე შემდეგს ამბობს:
 „აიერმა, რომელიც ბუდა გახდება, ჩვენს ცოფჯათა გამოშყი-
 დველი იქნება და უკვდავებისკენ, თავისუფლებისკენ და ნათ-
 ლისკენ გვიწინამძღვრებს“. შეყადართ ლუკასთან (2,25):
 „ყო ერთი კაცი იერუსალიშში, სახელად სიმონი, და იყო იგი
 მართალი და დეთისმოსავი, მოელოდა ნუგეშისცემას ისრაე-
 ლისას, და ხული წმინდა იყო მასზე... და როცა მშობლებმა
 მოიყვანეს ყრმა იესო, რათა აღესრულებინათ მის მამართ
 ყველაფერი, რაც დაწესებული იყო რჯულით, ხელში აიყვანა
 იგი, აკურთხა დმერთი და თქვა: აწ განუტევებ მონას შენსას,
 მუუფო, თანახმად შენი სიტყვებისა, მშვიდობით. რადგანაც
 იხილეს თვალთა ჩემთა მაცხოვარი შენი, რომელიც განამზა-
 დე ყველა ხალხის წინაშე, ნათელი წარმართთა გასანათლე-
 ბლად და შენი ხალხის — ისრაელის სადიდებლად“. ბუდაზე
 ყვებიან, რომ იგი ერთხელ თორმეტი წლისა თურმე დაიკარგა,
 შემდეგ კი ხის ქვეშ მჯდომარე იპოვეს, ძველი ღრის მგოს-
 ნებისა და ბრძენების გარემოცვაში, რომელთაც იგი მოძღვ-
 რაედა. ამას ლუკას სახარების შემდეგი სიტყვები შეესაბამება
 (2,41): „მისი მშობლები ეოველ წელიწადს კასეტის დღესას-
 წაულზე მიდიოდნენ იერუსალიშში. და როცა თორმეტი წლის
 გახდა, ჩვეულებისამებრ, იერუსალიშში დღესასწაულზე წა-
 ვიდნენ ისინი, ხოლო დღესასწაულას შემდეგ უკან რომ გა-
 მობრუნდნენ, ყრმა იესო იერუსალიშში დარჩა; და ეგრ შენიშ-

ნებს იოსებმა და დედამისმა; არამედ ეგონათ ხხვებთან ერთად მოდისო, მაგრამ ერთი დღის საყალი გზა რომ გალიეს, მებნა დაუწყეს ნათესავებსა და ნაცნობებს შორის და რაკი ვერსად იპოვეს, იერუსალიემში დაბრუნდნენ მის ხაძებნულად. და ზმი დღის შემდეგ ტაძარში იპოვეს იგი; მოძღვრებს შორის ჩამჯდარიყო, უსმენდა და კითხვებს აძლევდა მათ. ვველა მსმენელს უკვირდა მისი ვონიერება და სიტყვა-პასუხი“.

როდესაც ბუდა, რომელმაც გარკვეული დრო განმარტობით იცხოვრა, ხოფლად ბრუნდებოდა, გზად ერთი ქალწული შემოხვდა, რომელმაც იგი ასე დალოცა: „ერთხეულია დედა, ერთხეულია მამა, ერთხეულია მეუღლე, რომელთაც შენ ეკუთვნი“ — ბუდა ამაზე პასუხობს: „ერთხეულია მხოლოდ ნირვანაში მყოფი“, ე.ი. ის ვინც სამყაროს მარადიულ წესრიგს შეერთო. ხოლო ლუკასთან კკითხულობთ (11,27): „ამას რომ ამბობდა, ერთმა ქალმა აიმაღლა ხმა ხალხში, და უთხრა მას: ნეტარ არს მუცელი, რომელმაც ვიტვირთა შენ, და ძუძუნა, რომელთაც სწოვდი! ხოლო მან თქვა: ნეტარ არიან, რომელნიც ისმენენ ღმრთის სიტყვას და იცავენ მას“. ერთხელ ბუდას მაცდური მიადგა და დედამიწის ვველა ხაძეფოს შეჰპირდა. ბუდამ ვოველივესუ უარი განაცხადა და შემდეგ სიტყვები წარმოთქვა: „კარგად ვიცი რომ ხელმწიფება მოძელის, მაგრამ მიწიერ ხაძეფოს როდი ვეძიებ, მე ბუდა ვავხდები და მთელს სამყაროს სიხარულით აღტაცებაში მოვიყვან“. განზილებული მაცდური იძულებულია აღიაროს: „ჩემს ბატონობას ბოლო მოეღო“. ამგვარსავე ცდუნებაზე იესო მაცდურს მიუგებს: „ვამშორდი, სატანა, რადგანაც დაწერილია: უფალს ღმერთს შენსას თაყვანი ეცი და მხოლოდ მას ემსახურე. მაშინ მიატოვა იგი ეშმაკმა“. (მათე 4,10).

მხვატხი პარადულიზმების აღწერა შეგვეძლო სხვა პუნქტებზეც ვაკვერძელეობინა, ვველგან ივიკეს აღმოვამჩნდით. — ბუდამ თავისი ცხოვრება ამაღლებულად დაასრულა. ერთხელ მოვზაურობისას მან თავი შეუძლოდ იგრძნო და როვორღაც

ქმინაგარას მახლობლად მდინარე პირანჯამდე მალწია. იქ მდინარის პირას იყო თავისი საყვარელი მოწიფის ანანდის დაგებულ ხაღინაზე დაწვა. მთელი სხეული მიგნადან ვაუს-ხივოსნდა და მნათობის მსგავსად შუქმთოვარე და ფერნაცვალი გარდაიცვალა. აღსასრულის წინ მან ეს სიტყვები წარმოთქვა: „არაფერია მარადიული“. ბუდას გარდაცვალება შეესატყვისება იესოს ფერისცვალებას. „და მოხდა ისე, რომ ამ საუბრიდან რვა დღის შემდეგ, წაიყვანა პეტრე, იოანე და იაკობი, და ხალოცაყად ავიდა მთაზე, და ლოცვისას სახის ფერი იცვალა, და სამოსი მისი გახდა სპეტაკი და ელვარე“. — ბუდას ცხოვრება ამ მომენტით აღესრულება, ხოლო იესოს ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ნაწილი — ტანჯვა, სიკვდილი და აღდგომა, მხოლოდ აქედან იწყება. განსხვავება ბუდასა და ქრისტეს შორის სწორედ იმაში მდგომარეობს, თუ რამდენად სცილდება ქრისტე იესოს ცხოვრება ბუდას ცხოვრების მოვლენებით შემოხაზულ საზღვრებს. შეუძლებელია ბუდასა და ქრისტეს გაგება, უკეთუ მათ განურჩევლად ერთმანეთში აურევინ. ამას ამ წიგნის შემდგომი განვითარებაც ნათელვოფს. ბუდას გარდაცვალების სხვა გადმოცემები, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ამ მოვლენის ზოგიერთ სიღრმისეულ ასპექტს წარმოაჩენენ, ჩვენ აქ არ ვვხვებით.

კაცობრიობის ორივე მხსნელის მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული მომენტების თანხედრობა ერთი და იგივე დასკვნის გამოტანას გვაძლევს. ამ დასკვნას თავად გადმოცემები გვეარნახობს. როცა ბრძენი ქურუმები ზებუნებრივი ნიშნებით ნაუწყებ მსგავს დაბადებას იცებენ, მათ უკვე იციან, თუ რაშია საქმე. მათ უწყიათ, რომ ღმერთკაცი იშვა. მათთვის ცნობილია, თუ რა ცხოვრება მოელის ქვეყნად ამგვარად მოკლენილ პიროვნებას, ამიტომ ასეთი პიროვნების ცხოვრება მხოლოდ იმით შეიძლება განისაზღვროს, რაც ქურუმებისთვის, ე.ი. ხელდასხმულიათვის ცნობილია, როგორც ღმერთკაცის ცხოვრება. ქურუმთა მისტერიალურ საბრძანებოში ასეთი გამოჩნეული ცხოვრება მარადისისა და განისაზღვრება. იგი

მხოლოდ ისეთთა, როგორც უნდა იყოს. ასეთი ცხოვრება
 ბუნების მარადიული კანონიერებაა. როგორც ქამიურ ნაეთი-
 რებას მხოლოდ სრულიად განსაზღვრულად შეუძლია რეაგირება,
 ასევე განსაზღვრულად წარიმართება ბუდასა თუ ქრისტი-
 სტეს ცხოვრებაც. მასზე შემთხვევათა ბიოგრაფიისათვის და-
 მახასიათებელი ფეტალებით ვერ ვილაპარაკებთ, არამედ ასე-
 თი ცხოვრების აღწერისას ის ტაბოური ნიშნები უნდა მოვიხ-
 მთო, რომლებსაც მისტერები ყველა დროში იმარხავდნენ.
 ბუდას ლეგენდა იმდენადვე მცირედ წააგავს ბიოგრაფიას, ამ
 სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით, რამდენადაც სახარებები
 ქრისტე იესოს ბიოგრაფიად შეიძლება ჩაითვალოს. ორივე
 წყარო მხოლოდ შემთხვევით მომენტებს როდი გამოჰყოფს,
 არამედ ხამეაროს მხსნელის მკაცრად წინასწარგანსაზღვ-
 რულ ცხოვრებისეულ გზაზე მოგვითხრობს. ბუდასა თუ
 იესოს ცხოვრების წინასწარგანსაზღვრული საფუძვლები მი-
 სტერიითა გადმოცემებში უნდა ვეძიოთ და არა — გარე ფიზი-
 კურ ისტორიაში. იმ ადამიანებისათვის, ეინც მათი ღვთაებრი-
 ვი ბუნება აღიარა, ბუდა და იესო ხელდასხმულებია, ამ სიტ-
 ვის უმადლესი გაგებით. (იესო ხელდასხმულია მასში ქრის-
 სტეს არსობრიობის განსხეულებით), ამიტომ მათი ცხოვრება
 ყოველსვე წარმაჯალისგან გამოყოფილია და ყველაფერი ის,
 რაც ცნობილია ხელდასხმულებზე სწორედ მათ მიმართ ით-
 ქმის. გადმოცემები მათი ცხოვრების შემთხვევით მოვლენებ-
 ზე კი არ მოგვითხრობს, არამედ ამბობს: „დასაბამიდან იყო
 სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან და ღმერთი იყო სიტყვა...
 და სიტყვა ხორცად იქცა, და დაეშვიდრა ჩვენს შორის“.
 (იოანე 1, 1 და 14).

მაგრამ იესოს ცხოვრება რაღაც უფრო დიადს შეიცავს,
 ვიდრე ბუდას ცხოვრება. ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ბუდა, რო-
 გორც ასეთი, ფერისცვალებით აღესრულა. ხოლო ყველაზე
 მნიშვნელოვანი იესოს ცხოვრებაში სწორედ ფერისცვალე-
 ბის შემდეგ იწყება. ხელდასხმულის ენაზე ეს ნიშნავს: ბუდა

სულიერი განვითარების იმ მომენტს აღწევს, როდესაც ადამიანში ღვთაებრივი ნათელი აღინთება. იგი ყოველივე მიწიერის აღსასრულის წინაშე დგას. იგი ქვეყნის ნათელი ხდება. ესე უფრო შორს მიდის – იმ მომენტში, როდესაც მას ქვეყნის ნათელი ვაახსივოსნებს, ფიზიკურად არ კვდება; იგი უკვე ბუდაა, მაგრამ იმავე წამს უფრო მაღალ საფეხურზეც ადის, რომელიც ხელდასხმის უფრო მაღალ ხარისხში ძპოვებს გამოხატულებას. იგი ტანჯვას ღებულობს და სიკვდილის კარიბჭეს გადის. მიწიერი ქრება, მაგრამ არ ქრება სულიერი, – ქვეყნის ნათელი და ხდება მისი მკვდრეთით აღდგომა. თავის საძმოს იგი ეცხადება, როგორც ქრისტე. ფერსუცვალებისას ბუდა სამყაროსეული სულის ნეტარ ცხოვრებას ერთვის. ხოლო ქრისტე ესე ადამიანის სახით სამყაროსეულ სულს კიდევ ერთხელ გამოიხმობს ნამდვილი, რეალური ყოფიერებისათვის. ასეთ სულიერ განცდას ხელდასხმულები ინსტიციციის – ხელდასხმის მხოლოდ უმაღლეს საფეხურებზე სიმბოლური სახით აღწევდნენ. ის, ვინც ხელდასხმას ოზირისის მითის სულისკვეთებით ღებულობდა, ხსენებულ აღდგომას თავის ცნობიერებაში სიმბოლური განცდის სახით აღწევდა. ესე ცხოვრებაში ეს „დიდი“ ხელდასხმა ბუდას ხელდასხმას ემატება, მაგრამ არა როგორც სიმბოლური განცდა, არამედ ვითარცა გაცხადებული სინამდვილე. ბუდამ თავისი ცხოვრებით ცხადყო, რომ ადამიანი არის ღოვოსი, და, როდესაც მისი მიწიერი გარსი კვდება ადამიანი ღოვოსს, ანუ ნათელს უბრუნდება. ესეში თვით ღოვოსი გახდა პიროვნება. მასში სიტყვა ხორცად იქცა.

მამასადამე, იმან, რაც უძველეს მისტიურ კულტებში ტანჯების სიმყუდროვეში ფარულად ვითარდებოდა, ქრისტეიანობის წყალობით მხოლოდ ისტორიული ფაქტის მნიშვნელობა შეიძინა. ქრისტე ესეოს, რომელიც თავისი ნიშანდობლიობითა და არსობრიობით დიდ ხელდასხმულთაგან ერთადერთია, მისი საძმოც გაძვეა. ამ ადამიანებს მან სამყაროს ღვთაებრივობა დაანახა. ქრისტეიანული საძმოსათვის მისტე-

რიების სიბრძნე განუყოფლად ქრისტე იესოს პიროვნებას დაუკავშირდა. ამიერიდან ქრისტიანებს მტკიცე რწმენა აქონდათ, რომ იესო დედამიწაზე ცხოვრობდა და რომ ყველა ვინც მას აღიარებს, მის სამწესოს ეკუთვნის. ამ მრწამსმა ყოფილი მისტერიების მიხსრაფებები შეცვალა. ღვთაებრივთან მიახლება, რომელიც უწინ მხოლოდ მისტიური მეთოდებით იყო შესაძლებელი, ქრისტიანული საძმოს წევრებისათვის ახლა ერთგვარად შეიცვალა იმ რწმენით, რომ ღვთაებრივი მოცემული იყო, ანუ გაცხადდა სიტყვაში, რომელიც მათთან ერთად ცხოვრობდა. ამიერიდან მარადისისადმი ხწორი მიმართების ერთადერთი საზომი თითოეულის პირადი სულიერი მომზადება კი არ გახლდათ; ხწორი გზისა და მიმართულების მაჩვენებელი იყო ის, რასაც ხედავდნენ, და იხმენდნენ იესოს გარშემო შემოკრებილი ადამიანები და აგრეთვე მათ მიერ გადმოცემული შეგონებანი. „რომელიც იყო თავდაპირველად, რომელიც ვიხმინეთ და ჩვენი თვალთ ვიხილეთ, რომელსაც ვჭვრეტდით, და ჩვენი ხელით ეხებოდით სიცოცხლის სიტყვას... გაუწყობთ თქვენ, რათა თქვენც თანაუზიაროთ ჩვენთან ერთად“. — ნათქვამია იოანეს პირველ ეპისტოლეში. ეს უშუალო გაცხადებული სინამდვილე ამიერიდან ცხოველ კავშირად უნდა გაიბას ყველა მოდგმის შორის და როგორც ეკლესია, მისტიურად გადაეცეს თაობიდან თაობაში, ასე უნდა გავივით ავგუსტინეს სიტყვები: „მე ვერ ვერწმუნებოდი სახარებას, უკეთუ ამისკენ კათოლიკური ეკლესიის ავტორიტეტი არ მიბიძგებდა“. მაშასადამე, სახარებები ჭეშმარიტების უშუალო რწმუნებას თვითონ არ შეიცავენ, მაგრამ რაკიდა ისინი იესოს პიროვნებას ეყრდნობიან, ჩვენ მათი უნდა გვწამდეს და ეკლესიაც, თავის მხრივ. ამ პიროვნებისგან იღუმალიად იღებს უფლებას სახარებები წარმოადგინოს, როგორც გარკვეული ჭეშმარიტება. — მისტერიებმა ტრადიციას გზით გავემზადეს სამუალებებით, თუ როგორ უნდა მივაღწიოთ ჭეშმარიტებას, ხოლო ქრისტიანული საძმო თავად არის ამ ჭეშმარიტების ვამკრძელებელი. ამრიგად, ნდობას იმ მისტიკური ძალებისა-

დმა, რომლებაც ხელდასხმისას ადამიანის ხაფიზუნველში აღვიძებენ, უმატება რწმენა და სასოება ერთადერთობადმი, ერთარსისადმი, რომელიც არის პირველხელდამხმელთა მისტები გაღმერთებას, ღმერთად ქცევას ეძიებდნენ და მიეღწეოდნენ. ისინი სწორედ ამ სულიერი პროცესის განცდას ესწრაფვოდნენ. იესო გაღმერთდა, ღმერთი გახდა, და ჩვენც მას უნდა ვსასოებდეთ და მისკენ ვისწრაფვოდეთ და მაშინ მის მიერ დაფუძნებულ საძმოში თავადაც ვიქნებით ადამიანის გაღმერთების თანამონაწილე და თანაზიარი. ასეთი რწმენა გაუჩნდათ ქრისტიანებს. იმან, რაც იესოში გაღმერთდა, მთელი მისი საძმოსთვისაც იგივე მაღლი მოიხსნა. „და ამა, მე თქვენთანა ვარ დღემუდამ, ვიდრე ქვეყნის დასასრულამდე“. (მათე 28,20). მან, ვინც ბეთლემში იშვა, მარადისი თვისება შეიძინა. საშობაოანტიფონი იესოს დაბადებას იხე ვეაუწყებს, თითქოს იგი ყოველ შობის დღესასწაულზე ხდებოდეს. „დღეს ქრისტე იშვა, დღეს მხსნელი მოგვევლინა, დღეს მას განადიდებენ ანგელოსები დედამიწაზე“. ქრისტესთან შერწყმა, ქრისტეს განცდა ხელდასხმის სრულად გარკვეულ ხაფიზურს წარმოადგენს. როცა ქრისტემდელი ეპოქის მისტი თავის ხელდასხმაში ქრისტეს განცდამდე მადლდებოდა, მას შესაძლებლობა ეძლეოდა ზეგრძნობად სამყაროებში სულიერად ისეთი რამ აღუქვა, რასაც გრძნობად სამყაროში შესაბამისი რეალობა არ მოეძებნებოდა; მისტი შინაგანად განიცდიდა იმას, რასაც ზეგრძნობად სამყაროში ვოლგოთას მისტერია მოიცავს. ხოლო დღეს, ქრისტიანულ ეპოქაში, როდესაც ქრისტიანი მისტი თავის ხელდასხმაში იგივე სულიერ განცდას აღწევს, იგი ამავე დროს ვოლგოთას ისტორიულ მოვლენასაც ჭერუტს და თანაც უწეის, რომ ეს მოვლენა, რომელიც გრძნობად სამყაროში გათამამდა, იგივე შინაარსს შეიცავს, რასაც უწინ მხოლოდ მისტერიათა ზეგრძნობად გამოცდილებებში აღიქვამდნენ. ამრიგად, „ვოლგოთას მისტერიათ“ ქრისტიანულ საძმოში ისეთი რამ მთავიღვარა, რაც უწინ მისტებს განეფინებოდა მისტერიათა ტაძრებში. ხელდასხმა ქრისტიან

მისტვ ვოლფოთას მისტერის იდუმალი შინაარსის გაცნობი-
ერების შესაძლებლობას აძლევს, მაშინ როდესაც რწმენა
ადამიანს გაუცნობიერებლად იმ მისტურ დინებას აზიარებს,
რომელიც ახალ აღთქმაში აღწერილი მოვლენებიდან მომდ-
ნარეობს და იმეტიდან კაცობრიობის სულიერ ცხოვრებას
განსსტეაღავს. ✕



ველა ისტორიული ცნობა „იესოს ცხოვრების“ შესახებ თავმოყრილია სახარებებში. სხვა დანარჩენი, რაც ამ წყაროდან არ მომდინარეობს, ერთ-ერთი გამოჩენილი მკვლევარის, მარნაქის აზრით, რომელიც მოცემული საგნის ისტორიას შეისწავლის, „შეიძლება ერთ გვერდზეც თავისუფლად მოთავსდეს“. მოდიოთ, ვნახოთ, თუ რა სახის წყაროა სახარებები, მათი ისტორიულობის თვალსაზრისით. მეოთხე, ანუ იოანეს სახარება დანარჩენებისგან იმდენად განსხვავდება, რომ ის მეცნიერები, რომლებიც ამ სფეროში ისტორიული გამოკვლევას ვნახს მიყვებიან, შემდეგ დასკვნამდე მიდიან: „თუკი იოანეს სახარებისუფლ იესოს ცხოვრების გადმოცემას ხარწმუნო საბუთად მივიღებთ, ამ შემთხვევაში პირველი სამი ე.წ. სინოპტიკური სახარება ამგვარ უტყუარ წყაროდ ვერ ჩაითვლება, ხოლო უკეთუ სინოპტიკოსებს ვერწმუნებთ, მაშინ მეოთხე სახარებას ვეღარ დავყვარდნობთ“. (Otto Schmiedel, Die Hauptprobleme der Leben Jesu – Forchung, ტ.15). ეს მტკიცება ისტორიკოსის თვალსაზრისს გამოხატავს. თუმცა ჩვენთვის ამ შეხედულების მიღებისა თუ უარყოფის აუცილებლობა არ არსებობს. რადგან აქ ჩვენ მხოლოდ სახარებათა მისტიკურ შინაარსს ვეხებით, მაგრამ ერთი ქვემოთ მოყვანილი უარაუდი ნამდვილად ანგარიშგასაწევია: „თუკი სახარებათა განხილვის მთავარ კრიტერიუმად მათ შუთანხმებულობას, შთაგონების ძალასა და სისავსეს მივიჩნევთ, მაშინ ისინი ერთგვარ დაუკმაყოფილებლობის ვრძნობას აღგვიძრავს, თუმცა უბრალო ადამიანური თვალსაზრისითაც მათ ბევრი არასრულყოფილი მომენტი ახასიათებთ“. ასეთი გახლავთ ქრისტიანი ლეთისმეტყველის მსჯელობა (მარნაქი – „ქრისტიანობის არსში“). მაგრამ უკეთუ სახარებათა მისტიკური წარმოშობის თვალსაზრისს დავადგვებით, ვველა ეს წინააღმდეგობა თავისთავად აიხსნება და იოანეს სახარებასა და სამ პირველ სახარებას შორის სრულ მარძონიას აღმოვაჩინოთ. უნდა ვაცოდეთ, რომ სახარებები სულაც არ ისახავენ

მიხნად ისტორიული მოვლენების უბრალო გადმოცემას, ამ სიტყვის ჩვეულებრივი მნიშვნელობით. მათ, მითუმეტეს, ვერც ისტორიულ ბიოგრაფიულ ნაწარმოებად ჩავთვლით (იხ. მ. ჯგ.) ის, რაც სახარებებშია მოცემული, ყოველთვის გაიღწემაღლებული იყო უძველეს მისტერიათა გადმოცემებში, როგორც ძეღმართისას ცხოვრების წინასწარგანსახლერული პირველსახე. მაშასადამე, სახარებები გარე ისტორიიდან კი არ მომდინარეობენ, არამედ მისტიური გადმოცემებიდან იღებენ სათავეს. რასაკვირველია, სხვადასხვა მისტერიული ცენტრების გადმოცემათა შორის სიტყვასიტყვით იდენტურობას ვერ აღმოვაჩინოთ, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, მათი თანხვედრით, თუ თანახმიერება იმდენად დიდია, რომ ბუღისტები თითქმის ქრისტიანი მახარებლებით შევებათ თავიანთი ღმერთთა ცხოვრების შესახებ. ამავე დროს, ცხადია, სხვადასხვა გადმოცემებში განსხვავებებიც არსებობს. აქ გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ოთხივე მახარებელი, ოთხ სხვადასხვა მისტიურ გადმოცემას ეყრდნობოდა. იესოს პიროვნების განსაკუთრებულობაზე ისიც შეტყვევლებს, რომ მან ოთხი სხვადასხვა მისტიური სკოლისა თუ ტრადიციის მწერაღს, ანუ ავტორს, თავის მიმართ ერთნაირი რწმენა გაუღვიძა: რწმენა იმისა, რწმუნება იმ პიროვნებისა, ვინც იმდენად სრულყოფილად პასუხობდა თითოეული მათგანის ხელდასხმულის ტაძს, რომ ოთხივე მახარებელს ცალცალკე შეეძლო იესო ქრისტეში სწორედ ის პიროვნება დაენახა, რომლის ცხოვრებაც უკვე წინასწარგანტყრეტილი იყო იმ მისტიერებში, რომლებიც მათ ცალცალკე განვლილი ჰქონდათ მანამდე. ამრიგად, თვითუღმა მახარებელმა იესოს ცხოვრება აღწერა თავისი მისტიური გადმოცემის თანახმად. და თუ პირველ ხამ მახარებელს (სინოპტიკოსებს) შორის გარკვეულ მსგავსებას ამჩნევენ, ეს მხოლოდ იმაზე მიგვითითებს, რომ ისინი დაახლოებით მსგავსი ტრადიციებიდან გამომდინარეობენ. მეოთხე სახარება, ანუ იოანესი, განმსჭვალულია იღვებით, რომლებიც ფილონის რელიგიურ ფილოსოფიას გვაკონებს (იხ. გვ. 54). ეს კვლავადვე იმას ამტკიცებს, რომ იოანე მახარებელი იმ მის-



ტაერ გადმოცემებს ვერდნობოდა, რომლებიც ფილონის ფი-
 ლოსოფიას ეხმანება. სახარებუბის სტრუქტურული აგებუ-
 ლება ხხვადასხვა შემადგენელ ნაწილს შეიცავს; უპირველეს
 ყოელისა, ჩვენ აქ ვხვდებით ფაქტობრივ ცნობებს, რომლებიც,
 ერთი შეხედვით, ერთგვარი ისტორიულობის შთაბეჭდილე-
 ბას სტოვებს. მეორეს მხრივ, უნდა გამოვყოთ სახარებბისეული
 იგავები. სადაც ფაქტები უფრო დრმა დაფარული ჭეშმარი-
 ტებას სიმბოლოებს წარმოადგენენ. სახარებათა მესამე შემა-
 დგენული ნაწილია შეგონებები, ქრისტეანული მსოფლმხედ-
 ვლობის საფუძვლებს რომ გადმოგვცემენ. იოანესთან ვერც
 ერთ, ასე ვთქვათ, ნამდვილ იგავს ვერ შევხვდებით. რად-
 განაც იგა იმ მისტურ სკოლას ეკუთვნოდა, სადაც იგავების
 გამოყენებას საჭიროდ არ თვლიდნენ. ხოლო თუ რა დამო-
 კიდებულება არსებობს პირველ სამ სახარებაში ისტორიული
 ფაქტების სახით აღწერილ ამბებსა და იქვე მოყვანილ იგავებს
 შორის, ამაზე ნათლად მეტყველებს ლუდვის ხის დაწვევლის
 ამბავი. მარკოზთან (11,11) ვკითხულობთ: „და შევიდა იესო
 იერუსალემსა და ტაძარში, და როდესაც მოხილა ყველა-
 ფერი, უკვე გვიანი იყო, და ბეთანიას გაემართა თორმეტის
 თანხლებით. და მეორე დღეს, ბეთანიიდან წამოხულს მოშივ-
 და; და დაინახა შორიდან გაფოთლილი ლუდვის ხე, და მიუიდა,
 იქნებ ზედ რამე ვიპოვოო, მაგრამ მიხულმა ვერაფერი ნახა,
 ფოთლების გარდა, ვინაიდან ჯერ კიდევ არ მოეწია ლუდვის
 მწიფობას. და უთხრა მას იესომ: აღარაფის ეგემოს შენი ნაყოფი
 უკუნისამდე!“ იგივე ადგილას ლუკას შემდეგი იგავი
 მოჰყავს (13,6): „და უთხრა მათ ეს იგავი: ერთ კაცს ლუდვის
 ხე ედგა თავის ვენახში; და მიუიდა ნაყოფის საძებნად, მაგრამ
 ვერაფერი იპოვა. და უთხრა შევენახეს: ავერ უკვე ხაში წელია
 მოვდივარ და ნაყოფს ვეძებ ამ ლუდვის ხეზე, მაგრამ ვერ
 ეპოულობ. მამ, მოჭერი: ხულ ტუილად იგავებს ადგილს“. ეს
 იგავი სიმბოლურად ძველი მოძვრების, სულიერი სრულ-
 ყოფის ძველი გზის გამოუხადეგარობაზე მიგვითითებს, რომე-
 ლაც უნაყოფო ლუდვის ხედ არის წარმოდგენილი. იმას, რაც
 ლუკას სახარებაში ხატოვნად, მინიშნების სახით არის ნაგუ-

ღისხმევი, მარკოზი გადმოგვცემს, როგორც ფაქტს, რომელსაც, ერთი შეხედვით, ისტორიული ხასიათი გააჩნია. აქედან შეგვიძლია დაეახვენათ, რომ სახარებებში აღწერილი ამბები უნდა გაეიფოთ არა ისტორიულად, როგორც თითქოსდა მხოლოდ გრძნობად სამყაროში მომხდარი მოვლენა, არამედ შევეცადოთ ისინი მისტორიად ავხსნათ. ეს ამბები შინაგანად განცდილ სულიერ გამოცდილებებად უნდა წარმოვიადგინოთ, რომელთა აღსაქმელად არის საჭირო სულიერი ჭვრეტა და რომლებიც სხვადასხვა მისტორიის გადმოცემიდან დებულობენ სათავეს. მაშინ ყოველგვარი წინააღმდეგობა იოანეს სახარებასა და სინოპტიკურ სახარებებს შორის გაქრება. სახარებათა მისტორიულ ახსნას არაერთგვაროვანი ისტორიული კვლევაძიება არ სჭირდება. მისტოკოსისათვის ერთნაირი ისტორიული დირებულება აქვს ყველა სახარებას, მიუხედავად იმისა, თუ რომელიმე მათგანი დანარჩენებზე რამოდენიმე ათეული წლით ადრე ან გვიან შეიქმნა. და იოანეს სახარება ზუსტად ისევე ფასეულია, როგორც დანარჩენები.

ამავე კუთხით უნდა მივიხედოთ სახარებებში აღწერილ „სახსწაულებსაც“; უფრო მათ მისტორიად ავხსნით, ყოველგვარი ხირთულე და აზრის ბუნდოვანება გაქრება. საყოველთაოდ მიღებული თვალსაზრისით, სახსწაულად ისეთი ფენომენი შეირაცხება, რომელიც თითქოსდა მოვლენათა ფიზიკურ კანონზომიერებას არღვევს. მაგრამ ახე მხოლოდ ერთი შეხედვით ჩანს იმ შემთხვევაში, როცა გვგონია, რომ სახსწაულს მარტოოდენ ფიზიკურ პლანზე, წარმავალ სამყაროში აქვს ადგილი და იგი მხოლოდ ჩვეულებრივ გრძნობად აღქმას ექვემდებარება. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ სახსწაულად შერაცხული მოვლენა ისეთი სპირიტუალური შინაგანი განცდაა, რომლის აღქმა ყოფიერების მხოლოდ უმაღლეს, სულიერ საფეხურზე არის შესაძლებელი, მაშინ ცხადი შეიქნება, რომ მას სამყაროს ფიზიკური ბუნებრივი წესრიგის კანონებით ვერ ავხსნით.

ამრიგად, უპირველეს ყოვლისა, ვერ სახარებების სწორად წაკითხვა უნდა შევეცადოთ. რათა გაეიფოთ, თუ რა აზრო

დევს იმაში, რასაც სახარებები ქრისტიანობის დამაარსებელზე მოვყავთხრობენ. სახარების ავტორება, მახარებლები, თხრობას მისტიური ცნობების, მისტიური აზრის დამტკიცებელი ფორმულების სტილში წარმართავენ. მახარებლები იესოზე მოვყავთხრობენ, როგორც მისტი ილაპარაკებდა ხელდასხმულზე. მაგრამ ხელდასხმა, რომელზეც ისინი გვაუწყებენ, თავისი განუმეორებლობით გამოირჩევა. იგი საკუთრივ ერთადერთის, ერთაზრის განსაკუთრებული თავისებურებაა და როგორც მახარებლები გვამცნობენ, კაცობრიობის ხსნა იმაზეა დამოკიდებული გაქვეება თუ არა იგი ამ ერთადერთ გამოჩენულ, განუმეორებელ ხელდასხმულს. სწორედ დეათის სასუფეველი განეცხადა ხელდასხმულებს მისტერიებში. ხოლო ერთადერთმა თავის განუმეორებლობაში ეს სასუფეველი განუჩვევლად ყველა ადამიანს უწყალობა, ყინუ მას გაქვეება. ამრიგად, პირადი მიმართება ერთადერთისადმი, ერთადერთთან ერთდერთობის პირადი განცდა, ყველას საერთო საქმედ იქცა.

ყოველივე გასაკები ხდება თუკი გავითვალისწინებთ, რომ უკვე ისრაელის ხალხურ რელიგიაში ჩადებული იყო მისტერიათა სიბრძნე. ქრისტიანობა თუდევლობიდან გამოვიდა. ჩვენივის გახაკვირი არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ ქრისტიანობაში თითქოსდა თუდაიზმზე დაბნობილ იმ მისტიურ შეხედულებებს ეპოულობთ, რომლებიც მანამდე ვავიციანით, როგორც ევკლიტური და ბერძნული სულური ცხოვრების საერთო მონაპოვარა ხალხური რელიგიების შესწავლისას მათში ხელეერ ხამყაროზე სხვადასხვაგვარ წარმოდგენას ვაწვდებით, მაგრამ უკეთუ ქერუმთა უფრო ღრმა დაფარულ სიბრძნეს მივმართავთ, რომელიც სხვადასხვა ხალხური რელიგიის სულურ ბირთვს წარმოდგენდა, ყველგან თანხმობას აღმოვაჩენთ. ასე, მაგალითად, პლატონი ევკლიტის ბრძენ ქერუმებთან სრულ ერთხლოვნებას ავლენს, როცა თავის ფილოსოფიურ მოძღვრებაში ბერძნული სიბრძნის დედააზრის ვადმოცემა სურს. პითაგორაზე ჰყვებიან, რომ იგი ევკლიტესა და ინდოეთს სტუმრება და იქაურ ბრძენთა სკოლებსაც ვასცნობთა.

ქრისტიანობის პირველხანების მრავალი პიროვნება პლატონის ფილოსოფიას მოხეს ხუთწიგნეულთან შედარებისას, როცა ამ უკანასკნელს მისი სიღრმისეული აზრიდან გამოდინარე განხილავდნენ, მათ შორის უმდურ მსჯევლებას ამჩნევდნენ, რომ პლატონს ატიკურად მოხაუბრე მოხეს უწოდებდნენ.

მაშასადამე, მისტერიათა სიბრძნე ვველგან არსებობდა, მაგრამ მსოფლიო რელიჯიად რომ გადაქცეულიყო, გამოხატულების ფორმა მას თუდეველობისგან უნდა ეხესხა. თუდეველობა მესიას მოსვლას მთელადა. რაღა გახაკვირია, რომ თუდეველთაგან თავისი ნიშანდობლიობითა და არსობრიობით ერთადერთი ხელდასხმულის პიროვნება ისე აღიქმებოდა, რომ ავა აუცილებლად მესია უნდა ყოფილიყო. აქ განსაკუთრებულად წარმოჩნდება ის გარემოება, რომ ის, რაც მანამდე მხოლოდ მისტერიაებში არსებობდა, როგორც ცალკეული პიროვნებების მონაპოვარა, ამერიდან მთელა ხალხის კუთვნილებად უნდა ქცეულიყო. თუდეველთა რელიჯია ყოველთვის ხალხური რელიჯია გახლდათ. ეს ხალხი თავს ერთი მოლიანობად აღიქვამდა. მათი „აიო“, (იემოვა) მთელი ხალხის ღმერთი იყო და თუკა ქვეყნად ღმერთის „ქე“ უნდა შობილიყო, ავა კვლავადვე მთელი ხალხის მხსნელი უნდა ყოფილიყო. ამერიდან ხხნას მარტოოფენ ცალკეული მისტეები კი არ აღწევდნენ, არამედ ხხნა და ვადარჩენა მთელი ხალხის ხვედრა იქნებოდა. მაშასადამე, ის აზრი, რომ ერთი ყველასათვის კვდება, თუდეველობის რელიჯიის საუუბველშია ჩადებული. ვარდა ამისა დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ თუდეველებსაც გააჩნდათ მისტერიაები, რომლებიც ხაიდუმლო ფარული კულტის ბინდიდან ხალხურ რელიჯიაში გადაინერგებოდა. ფარისეველთა მღვდელმსახურების გარერიტუალურ ფორმულებთან ერთად ყოველმხრაც დამუშალებული მისტეკაც არსებობდა. ეს იდუმილი სიბრძნე ავივე ხისათის ატარებს, როგორც სხვა ხალხების მისტეკაც, ერთხელ. როდესაც მავანი ხელდასხმული თავის მსმენელებს ამკარ სიბრძნეს ეხაუბრებოდა და ამ უკანასკნელებს მისი სიტყვების ფარული აზრი ენიშნათ,

ასე მიუგვის მოძღვარს: — „რა ჩაიღინე, ღირსეულო მოხუცი? ნეტავი სულაც არაფერი ვეთქვა ჩვენთვის! ნუთუ გვინათ, რომ უკადვანო ზღვაში იაღქნებასა და ანძებას გარეშე ცურვათელი საქმეა? ვფიქროვ კი საამისო გამბედაობა? რას ეძიებ? იქნებ სიმაღლეს ვინღა შეხსნდე? ვანა სათანადო ძალი შეგწევს? ანდა ხიდრმეში ჩამყვება თუ განვიზრახავს? უძირო უფსკრული ხახას დაგიღებს“. — კბაღისტება, რომლებსაცგანაც ეს მოთხრობა მომდინარეობს, ოთხი რაბინის ამბავსაც მოგვითხრობენ. ოთხი რაბინი ღვთაებრივის კენ იღუმაღ გზას ეძიებდა. ერთმა მათგანმა ბიებაში სული დაღია. მეორემ განსაცდელს ვერ გაუძლო და განსჯის უნარი დაკარგა, მესამე საშინელი უბედურების მიზეზი გახდა. მხოლოდ მეოთხემ, რაბი აკაბამ, მშვიდობიანად გადაღახა ზღუდე და უკან დაბრუნებაც შეძლო.

ზემოთქმული ცხადყოფს რომ აუღვეელობაშიც მოიპოვებოდა ის სულიერი ნიადაგი, სადაც თავის განუმეორებლობაში ერთადერთი ხელდასხმულის პიროვნებას დაბადება და განვითარება შეეძლო. მას საკუთარი თავისთვის უნდა ეთქვა: მე მსურს, რომ ხსნა რჩეულთა მხოლოდ მცირე რიცხვის ზვედრი კი აღარ იყოს, არამედ, რომ ხსნახა და გადარჩენაში ამირიდან მთელმა ზალხმა იმონაწილეოს. ამრიგად, მას გარეთ უნდა გამოეტანა და მთელი ქვეყნისათვის ემცნო დამარხული სიბრძნე, რასაც რჩეულები მისტერიათა ტაძრებში ეზიარებოდნენ. მას თავისივე სურვილით უნდა ეტყვირთა ეს მისია საკუთარი პიროვნების მაგალითით თავისი სულისმიერი საძმოსათვის წარმოეჩინა ის, რასაც უწინ მისტური კლტი მასში მონაწილე ადამიანების გარკვეულ რიცხვს განუცხადებდა. რა თქმა უნდა, იგი ერთბაშად მთელ თავის საძმოს უშუალოდ მისტერიაულ განცდებს ვერ გაუზიარებდა. ასეთი სურვილი მას არც ექნებოდა. მას ეწადა ყველა ადამიანში იმ ჭეშმარიტების რწმენა ჩაენერგა, რომელსაც ხელდასხმულები მისტერიებში ეზიარებოდნენ. მას სურდა კაცობრიობის ისტორიულ განვითარებაშიც შემოეტანა ის სასიცოცხლო ნაკადა, რომელიც მისტერიაებში მოუდინებოდა. ამ გზით მას უნდოდა კაცობრიობა ეთფურების უფრო მაღალ საფეხზე

რზე აუყვანა. „ნეტარ არიან ისინი, ვისაც არ ვუხილავარ და მაინც მიწამეს“. სწორედ შინაგანი რწმენის, სულიერისა- დმი ნდობის ფორმით სურდა მას ადამიანთა გულებში ღვთაებრივის არსებობის ურყევი რწმუნება ჩაენერგათ, ვისაც ამგვარი ნდობა და რწმენა გააჩნია, თუნდაც მისტე- რიული წრის გარეთ იდგეს, მაინც უფრო წინ წავა, ვიდრე ის, ვინც თუმცა წრეში დგას, მაგრამ ასეთი რწმენა აკლია. იესოს საფუძვინველს უთუოდ დამთრგუნველი საშინელება- ხაყით აწვალვდა ის აზრი, რომ წრის გარეთ მრავალი ისეთი ადამიანი რჩებოდა, ვისაც გზის გაგნება ვეღარ ძა- ლუძდა. უფსკრული, რომელიც ზელდასხმის გზაზე შემდ- ვარ ადამიანსა და ღანარჩენ „ხალხს“ შორის არსებობდა უნდა დაეიწროებულიყო. ქრისტიანობა ყოველი ადამიანი- სათვის ღვთაებრივისაკენ მიმავალი გზის პოვნის საშუა- ლება უნდა გამხდარიყო. ვინც ჯერ კიდევ იმდენად ვერ მოწიფებულყო, რომ თავად მიეღწია ღვთაებრივამდე, მას მისტიურ ნაკადთან თუნდაც გაუცნობიერებლად შერთვის, ზიარების საშუალება მაინც მიეცემოდა. (მათე 18,11) „ბე- კაცისა მოვიდა დაღუპულთა ხატებნად და დასახსნელად“. იმჟერიდან მისტიკრიათა ნაყოფი ერთგვარად მისაწვდომი გახდა მათთვისაც, ვისაც ზელდასხმაში თავად მონაწილე- რობა ვერ ძალუძდა. ღვთის სასუფეველი უწინდელივით გარე ქმედებებზე უპირობოდ დამოკიდებული აღარ უნდა ყოფი- ლყო. „ვერ იტყვიან: აგერ, აქ არის, ან კიდევ: აგერ, იქო ვინაიდან, აჰა, ღმრთის სასუფეველი თვითონ თქვენშია“. იესოხათვის იმას კი არ ჰქონდა მნიშვნელობა, თუ რამდე- ნად ღრმად შევა, რამდენად დაწინაურდება მავანი ადამიანი სულიერ სამყაროში, არამედ მთავარი იყო ყოველ ადამიანს, მთელ კაცობრიობას სულიერი სამყაროს არსებობის მტკიცე რწმენა ვასჩენოდა. „მაგრამ ის ნუკი ვახარებთ, რომ სულები გმორჩილებენ, არამედ ის ვიხაროდეთ, რომ თქვენი სახელები დაიწერა ცაში“. რაც ნიშნავს: გქონდეთ ღვთაებრივის რწმე- ნა, მოყა ღრო და თქვენ მოაპოვებთ ღვთაებრივს.

ლაზარეს მკვდრეთით აღდგინების სახწაული



იმ „სახწაულთა“ შორის, რომლებიც იესოს მიეწერება, სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რაც უდაყოფ უნდა ვაღიაროთ, ბეთანიაში ლაზარეს მკვდრეთით აღდგინებას. აქ ყველაფერი თავს იხე იყრის, რომ იოანე მახარებლის მიერ გადმოცემულმა ამ ამბავმა ყოვლად გამორჩეული ადგილი დაიმკვიდროს ახალ აღთქმაში. მხედველობაში ისიც უნდა მივიღოთ, რომ ამ ეპიზოდს მხოლოდ იოანეს სახარებაში ვხვდებით, ანუ იმ მახარებლისა, რომელიც თავისი მრავალმნიშვნელოვანი შესავალი სიტყვებით სრულიად განსაკუთრებულ დამოკიდებულებას ითხოვს ყოველი ცნობისადმი, რასაც იგი გვაუწყებს. იოანეს სახარება იწყება სიტყვებით „დასაბამიდან იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან და ღმერთი იყო სიტყვა... და სიტყვა ხორცად იქცა, და დაემკვიდრა ხევს შორის, მადლითა და ჭეშმარიტებით ხაყხე; და ეიბილეთ დიდება მისი, დიდება როგორც მხოლოდშობილისა მამის მიერ“. როცა ადამიანი თბრობას ასეთ სიტყვებს წარუმიძღვარებს, მას სწადაა, ნათლად მიგვიითოსო, რომ მის მიერ წარმოთქმულ თვითიულ სიტყვას განსაკუთრებულად ღრმა აზრით გაგება და ახსნა სჭირდება. ხოლო ვინც ამ შემთხვევაში უბრალო განსჯითი ახსნა-განმარტებით იფარვლება, ანდა სხვა ზედაპირული ზერხებით ცდილობს ამ ნაწარმოების ახსნას, ისეთ ადამიანს ვმსგავსება, რომელსაც ჰგონია, რომ ოცელომ მართლა დაახრჩო სცენაზე დეზდემონა. საინტერესოა, რიხი თქმა სურს იოანეს თავის შესავალში? იგი ამ კარად გვანიშნებს, რომ სათქმელი რაღაც მარადიულს ვხება, იმას, რაც „დასაბამიდან იყო“. მახარებელი განსაზღვრულ ამბებზე, გარკვეულ მოვლენებზე მოგვითბრობს, მაგრამ ეს მოვლენები ისეთი ფუნდამენტადად არ უნდა აღვიქვათ, რომელთა თვალნათლიან დახახვა და ყურით მოსმენა შეიძლება და რომლებზედაც ლოკუური განსჯა თავის უნარსა და შესაძლებლობას ავლენს. ამ მოვლენების მიღმა „სიტყვა“ იმალება, რომელიც სამყაროსე-

ულ ხელშია დაგანებულა. სახარებაში აღწერილი მოვლენები სწორედ ის გარემოა, რომელშიც უმადლესი აზრი ცხადდება. ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ მიცვალებულის მკვდრეთით აღდგენის მოვლენაში, რომელიც დიდ სიმბოლურებს უქმნის როგორც თვალსა და ყურს, ასევე ლოგიკურ აზროვნებასაც, უღრმესი აზრი იმალება.

ამას შემდეგიც ემატება. რენანი თავის „იესოს ცხოვრებაში“ მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ლაზარეს მკვდრეთით აღდგინებამ უთუოდ გადამწყვეტი გავლენა იქონია იესოს ცხოვრების ბოლო პერიოდზე. თუმცა ასეთი მტკიცება იმ პოზიციიდან, რომელზედაც რენანი დგას, უბრალოდ შეუძლებელია. საკითხავია, რაღა მაინცდამაინც ის ფაქტი, რომ ხალხში იესოს მიერ ადამიანის მკვდრეთით აღდგენის რწმენა გავრცელდა, მის მოწინააღმდეგეებს იმდენად საშიშად უნდა მოსჩვენებოდათ, რომ შემდეგი კითხვა გასჩენოდათ: „შეუძლია კი იესოს და იუდეველობას ერთად თანაარსებობა?“ ვერ დავეთანხმებით რენანის იმ მტკიცებასაც, რომ „იესოს დანარჩენი სასწაულები უმნიშვნელო შემთხვევებს წარმოადგენდა, რომლებიც შემდეგ მსმენელთა დარწმუნების საშუალებით, ზეპირი ვხით ხალხში ვრცელდებოდა და გაზვიადებულ სახეს იღებდა და რომლებსაც მათი აღსრულების შემდეგ აღარც უბრუნდებოდნენ. ეს მოვლენა კი უეჭველი და საყოველთაოდ აღიარებული ფაქტი გახლდათ, რომლის შემვეობით ფარისევლების გაჩუმება უნდოდათ. ამ შემთხვევის გახმაურებამ იესოს ყველა მტერი გააბოროტა. ამბობენ, რომ მათ ლაზარეს მოკვლაც უცდიათ“. თუკი ეჭვს არ შევიტანთ რენანის იმ ვარაუდში, რომ ბეთანიაში საქმე მხოლოდ არანამდვილი, მოჩვენებითი მოვლენის ინსცენირებას ეხებოდა, რომელიც იესოსადმი რწმენის განმტკიცებას უნდა მომსახურებოდა, მაშინ გაუკვებარია, თუ რამ გამოიწვია მოვლენების ამგვარად განვითარება: „შესაძლოა, ლაზარე, რომელსაც ავაღმყოფობისაგან უკრა მიხდოდა და მიცვალებულს დამსგავსებოდა, დათანხმდა უდარაში გაეხვიათ და საოჯახო სამარხში — განსასვენებე-

ღმის ნაეწეინათ. ეს სამარხები კლდეში გაჭრილ ერთდარ
ბაზს წარმოადგენდა, რომელსაც შიგ მოსახვედრად ოთხკუ
თხა საძროში ბქონდა, უზარმაზარი ქვის ღოდით რომ იტანებ
ბოდა. მართა და მარიამი საჩქაროდ გამოეგებნენ იესოს, უად
რე ავი ბეთანიასი შემოვიდოდა და სამარხთან მიიყვანეს.
იესოს კმუნება და მღელვარება, რომელმაც მიცვალებულად
მიჩნეული მეგობრის საფლავთან მოიყვია, აქ დამსწრეთ შეი
ძლება იმ ძრწოლად და ზებუნებრივ შიშად მოსჩვენებოდათ,
ჩვეულებრივ, თან რომ სდევდა სასწაულს (იოანე 11,33 და
38), რადგან ხალხური რწმენათ, დვთაებრივი ძალა ადამიან
ში სწორედ ეპილეპტიურის მაგვარ კონველსიურ საწყისში
იმალებოდა. უნდა ვიფიქროთ, რომ იესოს — ვითვალისწინებთ
რა ჩვენს მიერ შემოთავაზებულ წინაპირობას — ეწადა კადვე
ერთხელ ეხილა ის, ვინც უყვარდა და როცა სამარხის ღოდი
გადასწიეს, ღაზარე სახვევით ხელფეხშეკრული და სახეშე
ხუდრული გარეთ გამოვიდა. რა თქმა უნდა, მიცვალებულის
ასეთი გამოცხადება ვველას მკვდრეთით აღდგენა ვგონებოდა,
რადგან რწმენა არავითარ კანონს არა ცნობს, გარდა იმისა,
რაც ჭეშმარიტებად მიაჩნია“. ასეთი მსჯელობა შიამიტურად
ხომ არ გერევენებათ, მითუმეტეს, თუკი მას რენანის შემდეგი
მოსაზრებაც ემატება: „ვევლათერი ვს მეტყველებს იმაზე, რომ
ბეთანიის სასწაულმა ძალზე დააჩქარა იესოს აღსასრული“.
რენანის ამ უკანასკნელ განცხადებას საფუძვლად, უეჭვე
ლად, სწორი აღდო უდევს. მაგრამ იმ საშუალებებით, რომ
ლებსაც თავად მიმართავს, რენანი აღდოთი ნაკარნახებ ვა
რაუღს ახზნას ვერ უძებნის.

იესოს ბეთანიასი უთუოდ ძალზე მნიშვნელოვანი რამ უნ
და მოუმოქმედა, რათა მის ქმედებას შემდეგი ხიტყვები გამო
ენუია: „მაშინ შეკრიბეს მღვდელმთავრებმა და ფარისევლებმა
სინედრიონი და თქვეს: რა ვქნათ? ეს კაცი მრავალ სასწაულს
ახლენს?“ (იო. 11,47). რენანიც აქ რაღაც განსაკუთრებულს
ვარაუდობს. „უნდა ვადიაროთ, რომ იოანეს მიერ მოთხრობი-

ღი ეს ამბავი არსებითად განსხვავდება ხალხური ფანტაზიით
ნაშობი სასწაულებრივი ამბებისაგან, რომლებითაც სავსეა
ხინოპტიკოსების სახარებები. აქვე დაემატებთ, რომ იოანე
ერთადერთი მახარებელია, რომელსაც ბეთანიელი მოციქულისა-
დმი იესოს დამოკიდებულებაზე ზუსტი მონაცემები გააჩნია.
ვოვლად წარმოუდგენელი იქნებოდა, რომ ხალხური შემოქ-
მედება ამდენად პირადული მოგონებების ხფეროში შეჭრი-
ლიყო. მაშასადამე, ეს სასწაული იმ ხრულიად ლეგენდარულ
შემთხვევათა რიცხვს არ განეკუთვნება, რომლებზედაც პა-
სუხს არავინ აგებს. მოკლედ რომ ეთქვას, ბეთანიაში, ვფიქ-
რობ, უნდა მომხდარიყო რაღაც ისეთი, რაც შეიძლებოდა
შკედრებით აღდგენა მკონებოდათ“. განა ეს არ ცხადყოფს
იმას, რომ რენანის ვარაუდით ბეთანიაში ისეთი რამ მოხდა,
რასაც იგი ვერაფრით ვერ ხსნის? თუმცა თავიხი დაბნეულო-
ბის დასაფარავად რენანი აქ შემდეგ მოხაზრებას იშველებს
— „ტექსტის ხანდაზმულობის გამო და თანაც ერთადერთი
ვერსიის არსებობის პირობებში, რომელსაც ამკარად ეტყობა
გვიანდელი ჩამატებებიც, შეუძლებელია იმის განსაზღვრა,
მხოლოდ გამონაცონთან გვაქვს საქმე ამ შემთხვევაში, თუ
ბეთანიაში მომხდარი რაღაც მოვლენა მართლაც დაედო სა-
ფუძელად ამ ამბავს“. — მოდით დაეფიქრდეთ, იქნებ აქ რაღაც
ისეთთან გვაქვს საქმე, რომლის ტეშმარიტად გავებას მხო-
ლოდ ტექსტის სწორად წაკითხვა სჭირდება? იქნებ მაშინ
მაინც შეეშვებიან „გამონაცონზე“ ლაპარაკს.

შეუძლებელია არ დავეთანხმოთ იმას, რომ სახარებაში
მოთხრობილ ხსენებულ ამბავს მართლაც იდუმალების საფა-
რველი პბურავს. ამაში რომ დავრწმუნდეთ, საკმარისია ეუ-
რადლება ერთ რამეს მივაქციოთ — თუკი ამ ამბავს სიტყვასი-
ტყვიოთ გავივებით, ანუ ფიზიკური თვალსაზრისით მივუდგე-
ბით, მაშინ თავისთავად ჩნდება კითხვა, რა აზრი იმდება
იესოს სიტყვებში — „ეს ხნეულება ხასიჯვდილო კი არ არის,
არამედ ღმერთის სადიდებელი, რათა იდიდოს ღმერთის ძე
მისვანი“. ასეთია სახარების სიტყვების მიღებული თარგმანი.

მაგრამ საქმის არსში უკეთ გავერკვევით, თუკი ბერძნულ ტექსტის მიხედვით შემდეგნაირად ვთარგმნი: — „ღმერთის გამოცხადებისათვის, რათა ღმერთის ძე გამოცხადდეს მის გან“. ანდა რაღას უნდა ნიშნავდეს შემდეგი სიტყვები: „უთხრა მას იესომ: მე ვარ აღდგომა და სიცოცხლე. ვისაც სწამს ჩემი, კიდევ რომ მოკვდეს, იცოცხლებს“. (იო. 11,4 და 25). უაზრობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ იესოს ამით უნდოდა ეთქვა, ღაზარე იმიტომ დასწრებულა, რომ მე მასზე ჩემი ხელეფანება გამომეყლინა. და კიდევ უფრო დიდი უაზრობა იქნებოდა გვევარაუდა, რომ იესოს ამის თქმა ხურდა, რომ მისდამი რწმუნა მკვდრებსაც ცოცხლებად აქცევს, ამ სიტყვის ჩვეულებრივი მნიშვნელობით. არაფერი განსაკუთრებული მკვდრებით აღდგენილ ადამიანში არ იქნებოდა, თუკი იგი აღდგომის შემდეგაც ზუსტად იგაგედ დარჩებოდა, როგორც გარდაცვალებამდე იყო. მაშინ რაღა აზრი ექნებოდა ამ ადამიანის ახალი ცხოვრების აღსანიშნავად წარმოთქმულ სიტყვებს: „მე ვარ აღდგომა და სიცოცხლე“. — მაგრამ რაწამს იესოს სიტყვებს სულიერი მოვლენის გამომხატველად ჩავთვლით, ისინი მაშინვე შეიძენენ ცხოველმყოფელობასაც და აზრსაც. ამასთან ერთად, ეს სიტყვები ერთგვარად პირდაპირი მნიშვნელობითაც უნდა გავსვათ, სწორედ ისე, როგორც ტექსტშია. მაშახადამე, იესო ამბობს, რომ იგი ღაზარეს აღდგომაა და რომ იგი თავად არის ის ცხოვრება, რომლითაც ღაზარე ცხოვრობს. მოდით, ნათქვამის პირდაპირი მნიშვნელობით, სიტყვისიტყვით მივიღოთ ის, თუ რას წარმოადგენს იესო იოანეს სახარებაში. იგი „სიტყვაა, რომელიც ხორცად იქცა“. იგი ის მარადიული არსია, რომელიც დასაბამიდან იყო. და უკეთუ იგი ქემმარიტად მკვდრებით აღდგომას წარმოადგენს, მაშინ ღაზარეში „მარადიული, დასაბამიერი“ არსი აღმდგარა. ამრიგად, ჩვენ აქ საქმე გვაქვს მარადიული „სიტყვის“, ღოგობის გაღვიძებასთან. და ეს „სიტყვა“ სწორედ ის ცხოვრებაა, რომლისთვისაც ღაზარემ გამოიღვიძა. მართალია აქ საქმე „სწეულებას“ ეხება, მაგრამ იხეთ სწეულებას, რომელსაც სიკვდი-

ღამდე კი არ მიძევავს ადამიანი, არამედ „ღმერთის ხაფიჯებელია“. ე.ი. ღმერთის გამოცხადებას ემსახურება. უკეთეს ღაზარეში „მარადიული სიტყვა“ აღდგა, მაშინ მოვლი ეს მოუღენა, რომელიც ბეთანიაში მოხდა, ჭეშმარიტად. ღაზარეში ღმერთის გამოუღენას, ღმერთის გაცხადებას ემსახურება. რადგან ამ მოუღენის წყალობით ღაზარე სრულიად სხვაგვარ ადამიანად იქცა. მანამდე სიტყვა არ ცხოვრობდა მასში, არც ხული ცხოვრობდა მასში, აწ კი ხულმა ღაზარეში დაიფანა, მასში ხული იშვა. რა თქმა უნდა, ყოველ დაბადებას დედის სამშობლო ტკივილები და სნეულება უკავშირდება, მაგრამ ეს სნეულება სიკვდილს კი არ იწვევს, არამედ მას ადამიანი ახალი ცხოვრებისაკენ მიძევებს. ღაზარეში სნეულება ის, რისგანაც „სიტყვით“ გამსჭვალული ახალი ადამიანი უნდა იშვას.

საინტერესოა, ხადღაა ის სამარხი, რომლიდანაც სიტყვა იშვა? ამ კითხვას პასუხი რომ გაცეთ, საკმარისია პლატონი გავიხსენოთ, რომელიც ადამიანის სხეულს საფშვინველის სამარხს უწოდებს. აქვე მოვიგონოთ ისიც, რომ პლატონიც მკედრებით აღდგომის მსგავს პროცესზე გვესაუბრება, როცა სხეულში სულიერი სამყაროს გაცოცხლებაზე მიგვითითებს. იმას, რასაც პლატონი სულიერ საფშვინველს უწოდებს, იოანე აღნიშნავს, როგორც სიტყვას და ამ სიტყვას შინთვის ქრისტე წარმოადგენს. პლატონს შეეძლო ეთქვა: როცა ადამიანი თავის თავში სულიერებას აღწევს, იგი ღვთაებრივ თავისი სხეულის სამარხიდან აღდგომის შესაძლებლობას აძლევს. იოანესთვის ასეთი აღდგომა იმას უკავშირდება, რაც იესოს ცხოვრებით გამოვლინდა. რაღა გასაკვირია, რომ იესო იოანეს ხაზარებაში ამბობს: „შე ვარ აღდგომა“.

ეკვვარეშეა, რომ ბეთანიის მოუღენა სწორედ სულიერი თვალსაზრისით გამოღვიძებას ნიშნავს. ღაზარე სრულიად ვარდაისახა, სრულიად სხვაგვარ ადამიანად იქცა, ვიდრე მანამდე იყო. იგი ამ ცხოვრებისთვის აღდგა, რომელზედაც „მარადიულ სიტყვას“ შეუძლია თქვას: „შე ვარ ეს ცხო-



ერება". საკითხავია, მაინც რა ტრანსფორმაცია განიცადა ლაზარემ? მასში მიძინებული სული გაცოცხლდა. იგი მარადიულ ცხოვრებას ეზიარა. ამ აქტის კუმშარტს მინაარხი მამოხვე თვალნათლად წარმოჩნდება. უკეთესი, რაც ლაზარემ განიცადა, მისტერიებში ხელდასხმული ადამიანების სიტყვებით გამოუხატა. გავიხსენოთ, რას ამბობს პლუტარქე მისტერიების მიზანსა და დანიშნულებაზე (სხ. გვ. 23) მისტერიების დანიშნულება ის გახლდათ, რომ საფშვინველი ხორციელი, ფიზიკური სხეულის ცხოვრებისგან განერადებინა და დემოთებს შეერთო. საგულისხმოა ხელდასხმულის განცდების შეღებვისთვის აღწერაც: „ხელდასხმას რომ მიადებდა, ნიოფიტს თავად ხდებოდა მაგური ჯატყვის რგოლი. იგი ურდევ ერთობასა, თუ კაცშირში ხართულ კაბირად წარმოდგებოდა და, როგორც უძველესი წარწერები ვეამცნობენ, უზენაესი დემოთების წრეს ეხართებოდა“. (Schelling, Philosophie der Offenbarung). მაგრამ არავის გამოუხატავს ის გარდასახვა თუ ტრანსფორმაცია, რომელიც მისტერიებში ხელდასხმულის ცხოვრებაში ხდებოდა. უფრო მრავალმნიშვნელოვნად, ვიდრე ვეფხიას, რომელმაც თავის მოწაფეს, კესარ კონსტანტინეს უთხრა: „თუკი ოდესმე მისტერიებში მონაწილეობას მიადებ, შევტაცხვება, რომ მხოლოდ ადამიანად დაიბადე“.

თუკი საფშვინველს ამგვარი შეგარძნებებით ვაშშვალავთ, ბეთანიის მოუღუნის მიმართ სწორი დამოკიდებულება ვავინდებთ და, მაშინ იოანეს მიერ გამოცემული ამბავი სრულიად სხვა რაღაცასაც განგაცდევინებთ. თქვენში ერთგვარი რწმენა გააღვიძებს, რომელსაც ვერავითარი ლოგიკური განმარტება, რაციონალური ახსნის ვერავითარი ცდა ვერ შეგტენთ. ზვენს წინაშე მისტერია წარმოდგება, ამ სიტყვის კუმშარტს მნიშვნელობით. ლაზარეში „მარადიულმა სიტყვამ“ დაივანა. ლაზარე იმად იქცა, რასაც მისტერიების ენაზე ხელდასხმული ექცა. (სხ. თავი „მისტერიები და მათი ხი-

ბრძნე“). და ის მოუღვნა, რომელზედაც იოანე მიუყვითი-
თებს უთუოდ ხელდასხმისეულ ინიციატიურ მოუღვნას წა-
რმოადგენს...

14015723

მაშასადამე, ბეთანიის მოუღვნა ხელდასხმად ანუ ინიცია-
ტივად უნდა წარმოვიდგინოთ. იესოს ღაზარე უყვარს (იოანე
11, 36). აქ სიყვარული, ამ ხიტყვების ჩვეულებრივი გაგებით,
არ იგულისხმება, რადგანაც ეს შეუწინააღმდეგებოდა იოანეს
სახარების შინაარსს, სადაც იესო „ხიტყვაა“. იესოს ღაზარე
უყვარს, რადგან მასში ღვთაებრივი „ხიტყვის“ გამოღვიძები-
სათვის ხაჭირთ მოწიფულობას ხედავს. აქვე სახარება ბეთა-
ნიელი ოჯახისადმი იესოს განსაკუთრებულ დამოკიდებულე-
ბასაც ვეამცნობს. ეს სხეას არაფერს ნიშნავს, თუ არა იმას,
რომ იესომ ამ ოჯახში ყოყედივე განამზადა, რათა ხაბოლო-
ოდ მისტერიული დრამის უდიდესი დასკენითი აქტი — ღაზა-
რეს აღდგინება შემდგარიყო ეს უკანასკნელი იესოს მოწა-
ფეა. თანაც ისეთი მოწაფე, რომელზედაც იესოს დარწმუნე-
ბით შეუძლია თქვას: „ოღესმე მისი მკვდრეთით აღდგინება
მუდგება“ მისტერიული ტრადიციის თანახმად აღდგინების
დრამის დასკენითი აქტი ცნობილ სიმბოლურ ქმედებაში გა-
მოხატებოდა, რომელიც სულიერის წარმოჩინებას ემსახუ-
რებოდა. ხელდასხმის ვსაზე შემდგარ ადამიანს არა მხოლოდ
უნდა გაეგო და გაეზიარებინა ფორმულა: „მოკვდი და აღდეგ“,
არამედ სულიერ-რეალური ქმედებით თავადვე უნდა აღესრუ-
ლებინა ეს ფორმულა. ადამიანის მიწიერი ნაწილი, რომელიც,
მისტერიათა ხულის კვთების თანახმად, სულიერი ადამიანი-
სათვის, ანუ უფრო მაღალი ადამიანისათვის ადამიანში ხათა-
კილო უნდა ყოფილიყო, განადგურებას ექვემდებარებოდა. მი-
წიერი ადამიანი სიმბოლური რეალური ხიკვდილით უნდა
მომკვდარიყო ის ფაქტი, რომ მისი სხეული ამ აქტის აღსრუ-
ლებისას სამი დღით სიმნაბულურ ძილში იძირებოდა, ამ
დროს მამდინარე მისტერიული პროცესის მნიშვნელოვნება-
სთან შედარებით, შეიძლება მხოლოდ ვარე მოუღვნად ჩაით-

ვალის, რომელსაც გაცილებით უფრო დიდმნიშვნელოვანი სულიერი მოვლენა შეესაბამება: მაგრამ სწორედ ზემოთხსენებული სიმბოლური ქმედება წარმოადგენდა ისეთ განცდას, ანუ გამოცდილებას, რომელიც მისთვის ცხოვრებას ორ ნაწილად ჰყოფდა. ვისაც ამგვარი ქმედებების უმაღლეს ფარულ აზრზე ცოცხალი ცოდნა თუ წარმოდგენა არ გააჩნია, იგი ვერც შეძლებს ამ ქმედებების შინაარსს ჩასწავლეს. მხოლოდ შედარების გზით შეიძლება მივაახლოყოთ ასეთი ადამიანი ამ პროცესების ვაგებას. ასე, მაგალითად, შექსპირის „ამლეტის“ მთელი შინაარსი შეიძლება ორი სიტყვითაც გადმოცეთ და მავანს, თუკი იგი ამ ორიოდე სიტყვის აზრს დაეუფლება, შეუძლია კადეც თქვას, რომ „ამლეტის“ შინაარსი იცის, მაგრამ ხელ სხვაგვარად აღიქვამს მას ის, ვინც შექსპირისეული დრამის მთელი სამდიდრე და მრავალფეროვნება თავისთავზე გამოსცადა. მის საფუძვინველში ცხოვრებისეული შინაარსის ცხოველი განცდა გაივლის, რომელსაც ვერავითარი აღწერა ვერ შესცვლის. ასეთი ადამიანისათვის ამლეტის იდეა პირადულ მხატვრულ გამოცდილებად იქცევა. უმაღლეს საფეხურზე მსგავს მოვლენას მისტიც განიცდის ხელდასმასთან დაკავშირებულ მაგთურად უმნიშვნელოვანეს აქტში. იგი სიმბოლურად განიცდის იმას, რასაც სულიერად აღწერს. სიტყვა „სიმბოლურად“ აქ შემდეგს ნიშნავს, ვარე მოვლენა, როგორც ასეთი, მხოლოდ სიმბოლოს როლს ასრულებს. თუმცა ფიზიკურ პლანზე იგი სრულებით რეალურად ხდება. აქ ჩვენ საქმე გვაქვს არა ილუზორულ, არამედ ნამდვილ რეალურ სიმბოლოსთან. მიწიერი სხეული ნამდვილად მკედარი იყო სამი დღის განმავლობაში.¹ სიკვდილიდან ახალი ცხოვრება აღდგება, რომელმაც სიკვდილი გადაიტანა და გადაძლია.

¹ ის, რაც აქ არის აღწერილი, ხელდასმის ძველ გზებსა და წესებს განეულოვნება, რომლის მიხედვით საჭირო იყო სამდღიანი ძილისძივარი პერიოდისთვის ხელწევა. არცერთი შემართავ ანალი ხელდასმის ანუ ინსტრუქცია ამას არ საჭიროებს პრაქტიკით. მას ერთგვარად ეფრო ცნობიერ განცდილედ მიეუფარათ, ხოლო ჩვეულებრივი ცნობიერება ხელდასმის დრამატულში არსობდეს არ ითვლებოდა.

ამ პროცესის შედეგად ადამიანი ახალი ცხოვრების მიმართ რწმენა და ნდობა შეიძინა. იგივე ვანიცადა ლაზარე-
მაც. იესომ იგი მკვდრეთით აღდგინებისათვის განამზავა.
აქ საქმე სიმბოლურ-რეალურ სწეულებას ეხება, ისეთ სწე-
ულებას, რომელიც ხელდასხმას ნიშნავს და რომელსაც
სამი დღის შემდეგ ადამიანი ქეშმარიტად ახალ ცხოვრება-
მდე მიჰყავს.

ლაზარე საიძისოდ მოწიფდა, რომ ეს აქტი თავის თავზე
განცადა. იგი მისტების სამოსში ეხვევა და უსიცოცხლო
მდგომარეობაში იძირება, რომელიც, ამავე დროს, სიმბო-
ლურ სიკვდილს წარმოადგენს. როცა იესო ბეთანიაში მო-
ვიდა, სამი დღე უკვე გახული იყო. „მოაშორეს ღოღი მღვი-
მეს, ხადაც ეხვენა მკვდარი. ხოლო იესომ ზეცად აღაძვრო
თვალნი და თქვა: მიამო, ვმადლობ, რომ ისმინე ჩემი“. —
(იოანე 11,41) მაშამ ისმინა იესოსი, რადგანაც ლაზარემ
უდადესი შემეცნებითი დრამის დასკვნით აქტს მიაღწია.
მან შეიძენა, თუ როგორ მიიღწევა მკვდრეთით აღდგომა.
ამ აქტით მისტერიაში ზიარება აღსრულდა. მოხდა ის, რაც
მთელს ძველ სამყაროში ესმოდათ როგორც ხელდასხმა
ანუ ინიციატია, და ეს ინიციატია განვითარდა იესოს, რო-
გორც ხელდამსხმელის — ინიციატორის მიერ. ადამიანის,
მისტის, ღვთაებრივთან შერთვას, ყოველთვის ამგვარად
წარმოადგენდნენ.

მაშახადამე, იესომ ლაზარეზე უძველესი ტრადიციების
სულისკვეთებით, ცხოვრებისეული გარდასახვის, ტრანსფორ-
მაციის უდადესი სასწაული მოახდინა. ამ აქტში ქრისტიან-
ობა მისტერიებს უკავშირდება. ლაზარე ხელდასხმული გა-
ხდა თვით ქრისტე იესოს მიერ. რამაც ლაზარეს სულიერ
სამყაროში ამაღლების შესაძლებლობა მისცა. სწორედ იგი
გახდა პირველი ქრისტიანული ხელდასხმული, თანაც ხელ-
დასხმული თვით ქრისტე იესოს მიერ. ხელდასხმამ ლაზარეს
საშუალება მისცა შეეძენა, რომ „სიტყვა“, რომელიც თავად
მასში გაცოცხლდა, ქრისტე იესოში პაროვნებად იქცა, ანუ

განპიროვნდა და ეს „სიტყვა“, ლაზარეში სულიერად გამოვლენილი, აწ მის წინაშე იდგა, მისი მკვდრუთით აღმდგინებელის, იესოს სახით, როგორც გრძნობადი პიროვნული მოვლენა. ამ თვალსაზრისით მრავლისმეტყველია იესოს სიტყვები (იოანე 11,42) — „მე კი ვიცოდი, რომ ყოველთვის ისმენ ჩემსას, მაგრამ ეს ირგვლიე მდგომი ხალხისთვის ვთქვი, რათა ირწმუნონ, რომ შენ მომავლინე“, ეს ნიშნავს: დე გაცხადდეს, რომ იესოში „ზეციერი მამის ძე“ ცხოვრობს, რომელიც ადამიანს მისტად აქცევს იმით, რომ მასში თავის საკუთარ არსობრიობას აღვიძებს. ამ აქტით იესომ წარმოაჩინა ის ჭეშმარიტება, რომ მისტერებში ცხოვრების საზრისი იმალეობდა, რომ მისტერებს ადამიანი ამ საზრისთან მიჰყავდათ. იგი — ქრისტე იესო-ცოცხალი სიტყვაა; ის, რაც უწინ უძველეს მისტიურ ტრადიციას წარმოადგენდა, მასში პირადულ მოვლენად იქცა, განპიროვნდა. იოანე საზარებელი ამას ასეთი სიტყვებით აღნიშნავს: მასში სიტყვა ხორცად იქცა. იოანე იესოში პიროვნებად ქცეულ მისტერიას ჭკრეტს. ამიტომაც იოანეს საზარება სწორედ მისტერიას წარმოადგენს. ამ საზარების კითხვისას, მასში გადმოცემული ყველა მოვლენა სულიერად უნდა გავიგოთ: მამინ, იგი სწორად იქნება აღქმული. იოანეს საზარება ძველი კულტის ქერუმს რომ დაეწერა, იგი ტრადიციულ სარიტუალო წესჩვეულებას გადმოგვცემდა. ხოლო იოანესათვის ასეთი წესჩვეულება პირადულ მოვლენად — „იესოს ცხოვრებად“ იქცევა. როცა ერთ-ერთი გამოჩენილი თანამედროვე მეცნიერი მისტერობზე ამბობს, რომ „ეს იხეთი რამაა, რაც ჩვენთვის ნათელი არასოდეს გახდება“ (ბურჰარდტი „კონსტანტინეს ეპოქაში“), ეს იმას ნიშნავს, რომ მას ამგვარი რამის გახავებად გზა უერ მოუნახავს. გადაშალეთ იოანეს საზარება და თვალს გაადევნეთ, თუ როგორ ვითარდება სიმბოლურ-ფიზიკურ რეალობაში გაშლილი შემეცნების დრამა, სწორედ ის დრამა, რომელსაც უერ კიდევ ძველები ოდითგანვე იცნობდნენ. ამ დროს თქვენს წინაშე მისტერია წარმოადგება.

ხოლო რაც შეეხება სიტყვებს „ლახარე! გამოუდე!“ მათში შეიძლება ეგვიპტელ ქერუმ ხელდასხმელთა ანუ თნიციატორთა შეძახილი ვაცნოთ, რათაც იხინი ამქვეყნურ ცხოვრებას უბრუნებდნენ ხელდასხმის პროცესში წუთისმოფლისგან განშორებულ მისტებს, რომლებიც კვლავ აღნიშნენ მიწიერისთვის, რათა მარადიულის არსებობის რწმუნა შეეძინათ. იესომ ამ აქტით მისტერიათა საიდუმლოება გამოაშკარადა. ახლა ვახსოვს ხდება, რომ იუდეველებს იესოს ამ ქმედების დაუსჯელად დატოვება ისევე არ შეეძლოთ, როგორც ბერძნებმა დაუსჯელი ვერ დატოვეს ესქილეს მიერ მისტერიათა საიდუმლოების სავარაუდო დაღაცა. იესოსათვის მნიშვნელოვანი იყო, რომ ეს აქტი, რომელიც, ქერუმთა უძველესი სიმბოლოსთანახმად, მხოლოდ მისტერიათა საბურველქვეშ უნდა ჩატარებულყო, „ირველიც მდგომი ხალხისთვის“ განეცხადებინა. ბუთანიაში შემდგარ ხელდასხმას ხალხი „გოლგოთას მისტერიის“ ვაგებისთვის უნდა განემზადებინა. უწინ მხოლოდ ხელდასხმელებს, ანუ მათ, „ვინც იხილა“, შეეძლო ცოდნოდათ, თუ რა ხდებოდა ხელდასხმის ამგვარი პროცესის დროს. ხოლო იმუერიდან სულაერი სამყაროს საიდუმლოებათა მიმართ რწმუნება ხელმისაწვდომი უნდა გამხდარიყო იმ ადამიანებისთვისაც, რომლებზედაც ითქვა: — „ნეტარ არიან ისინი, ვინც არ ვუხილავარ და მაინც მიწამეს“.



ახალი აღთქმა შესანიშნავი ძეგლით — ამოკალიფსისით, ანუ წმ. იოანე ღვთისმეტყველის იღუმადლი გამოცხადებით მთავრდება. საკმარისია ამ წიგნის პირველივე სიტყვები წაეცითხოთ, რომ მთელი მისი იღუმადლება შევიგრძნოთ. „გამოცხადება იესო ქრისტესი, რომელიც მისცა მას ღმერთმა, რათა ესვენებინა თავისი მოწიებთათვის, რაც უნდა მოხდეს მალე: და უწუნა¹ კიდევ თავისი ანგელოზის მოვლინებით მოწახ თვისას იოანეს“. აქ ნათქვამია, რომ გამოცხადება მოვლინებულია სასწაული წყენებებით, ნიშნებით. მაშასადამე, მისი შინაარსის სიტყვასიტყვით ვაგება კი არ გვმართებს, არამედ უნდა შევეცადოთ, უფრო ღრმა, დაფარული აზრის ადვიტყვათ, რომლისთვისაც სიტყვა-სიტყვითი შინაარსი მხოლოდ სასწაულ წყენებას, ნიშნ, მოწმობას წარმოადგენს. „წიგნის“ იღუმადლებაზე კიდევ მრავალი რამ მიგვითითებს. იოანე აზიის შვიდ სამძოს, თემს, ეკლესიას მიმართავს. არ უნდა ვიფიქროთ, რომ ამ შემთხვევაში აზიის ვრძნობადი რეალური ეკლესიები, სამძობი იგულისხმება, რადგან ცნობილია, რომ რაც ხუთ შვიდი წმინდა და სამძობლურ რიცხვს წარმოადგენს და, ეჭვგარეშეა, აქ იგი სწორედ თავისი სამძობლური მნიშვნელობით არის ნახმარი. ხოლო რაც შეეხება აზიის ეკლესიებს, მათი რეალური რაოდენობა უთუოდ სხვა იქნებოდა. თავად იოანეს შესაკალი სიტყვებიც რაღაც საიდუმლოებაზე მიგვანიშნებს: „მე ვიყავი ხულოთ, ვიერა დღეს, და მომესმა უკნიდან მგრავინავი ხმა, როგორც ხავეირის, რომელმაც თქვა: ...რასაც ხედავ, დაწერე წიგნში, და დაუგზავნე აზიის ეკლესიებს“. — ამრიგად წყენ საქმე გვაქვს გამოცხადებასთან, რომელიც იოანემ მიიღო ხულოთ, და ეს არის გამოცხადება იესო ქრისტესი. ამოკალიფსისი შეფარულად, იღუმადლი მინიშნებების საფარველის

¹ ანგელოზის სიტყვა „უწუნა“ სწორედ უნდა მოვლინდეს სიტყვით ნიშნებით, ან „გამოცხადებით“, რაც ვერძნულ (და რეზულ) ტანტში შეიქცევა (მთარგმნ.)

ქვეშ წარმოაჩენს იმას, რაც ქვეყანას ქრისტე იესოს მიერ ეუწყა; ამიტომ გამოცხადების იდუმალი აზრი სწორედ ქრისტეს მოძღვრებაში უნდა ვეძიოთ. ამ გამოცხადების მიმართება ჩვეულებრივი, კანონიკური ქრისტიანობისაღმეც ისეთივეა, როგორც იყო ქრისტიანობამდელ ხანებში მისტერიების დამოკიდებულება ხალხური რელიგიებისაღმეც. ამიტომაც იოანეს გამოცხადების, ამოკალიფსისის მისტერიად განხილვის ცდა უთუოდ გამართლებულია: იოანე შვიდ სულიერ თემს — ეკლესიას მიმართავს. საინტერესოა, მაინც რა იგულისხმება ამ ეპისტოლეებში?

საკმარისია განვიხილოთ ერთერთი მათგანი და ვველა ამ ეპისტოლეს აზრი ჩვენთვის გასაგები გახდება. პირველ ეპისტოლეში ნათქვამია: — „იესოს ეკლესიის ანგელოზს მისწერე: ამას ამბობს, ვისაც უპერია შვიდი ვარსკვლავი მარჯვენაში, და ეინც იარება ოქროს შვიდ სასანთლეს შორის: ვიცე საქმენი შენნი და შრომა შენი და მოთმინება შენი, და რომ არ შეგიძლია დაითმინო უკეთურნი, და გამოსცადე ისინი, რომელთაც მოციქულებად მოაქვთ თავი და არ კი არიან, და კპოვე ისინი მტყუარნი. და გაქვს მოთმინება, და ბევრი რამ იტვირთე ჩემი სახელისათვის, და არ დაიქანცე. მაგრამ შენს წინააღმდეგ მაქვს ის, რომ დაუტყვე შენი პირველი სიყვარული. მაშ, გაიხსენე, საიდან დაეცი, და შეინანე, და უწინდელი საქმენი ქმენი. არა და, მალე მოვალ შენთან, და თავისი ადგილიდან დავძრავ სასანთლეს შენსას, თუკი არ შეინანებ. მაგრამ ეს კი გაქვს, რომ ვბუღს ნიკოლაელთა საქმენი, რომელნიც შეცა მბუღს. ვისაც ვური აქვს, ისმინობ, რას ეუბნება სული ეკლესიებს: მძღველს ვაგემებინებ სიცოცხლის ხისაგან, რომელიც არის ღმერთის სამოთხეში“. ასეთია ეპისტოლე პირველი ეკლესიის ანგელოზისაღმეც. ანგელოზი, რომელშიც მოცემული ეკლესიის, ანუ საძმოს სული უნდა ვიგულისხმოთ ქრისტიანობაში წინასწარგანსაზღვრულ გზას მიჰყვება და ძალუძს ქრისტიანობის ცრუ მოწმენი ჭეშმარიტ მოციქულთაგან განასხვავოს. მას სურს, რომ ქრისტიანი იყოს, ე.ი. ქრის-



ტანობას უზიაროს და იღწვის და რუღუნებს ქრისტეს სახე-
 ლისათვის. მაგრამ ამ ანგელოზს ერთი რამ მკაცრად მოუთხოვ-
 ვდა, არანაირი ცთომილებითა, თუ ცთუნებით არ დაიბრკო-
 ლოს გზა სრულყოფილი სიყვარულის კენ და აქვე მცდარ გზა-
 ზე დადგომის შესაძლებლობაზეც მიეთითება, თუკი იგი მაინც
 აყევდა ზემოხსენებულ ცთომილებებს. ღვთაებრივის მოძო-
 ვების გზა ქრისტე იესომ მოგვცა და წინასწარგანგვიხაზღვრა,
 მაგრამ ადამიანს დიდი მოთმინება მართებს, რათა ერთგულად
 მიჰყვეს ქრისტეს მიერ პირველდაწყებით ბიძგსა თუ იმპულსს
 ამ გზაზე. ზოგჯერ ადამიანმა შეიძლება სულსწრაფობა გამო-
 იჩინოს და გადაწყვიტოს, რომ ჭეშმარიტი აზრი უკვე განვც-
 ხადა, ეს იმ შემთხვევაში ხდება, როცა გზის ნაწილს ადამიანი
 ქრისტეს წინამძღოლობით გადის, ხოლო შემდეგ, ქრისტეზე
 მცდარ წარმოდგენებს აყოლილი, კარგავს თავისი უფლის
 წინამძღოლობას. ამის შედეგად იგი კვლავ თავის ქვენა ბუნე-
 ბას ემონება და უნებურად უგულვებულობს „სრულყოფილ
 სიყვარულსა“. ცოდნას, რომელიც გრძნობად განსჯით ვო-
 ფიერებას ებღაუჭება, მხოლოდ მაშინ ხელეწიფება უმაღლეს
 სფეროში — სულიერ სამყაროში ამაღლდება, უკეთუ ღვთაე-
 ბრივობით აღივსება, სულით განიმსჭვალება, ანუ სიბრძნედ
 იქცევა, მაგრამ თუკი ვერ ამაღლდა, მაშინ იგი განწირულია
 კვლავ წარმავალის სფეროს შერჩეს. ქრისტე იესომ მარადი-
 ულის კენ მიმავალი გზა გვიჩვენა. ცოდნა დიდი, ურყევი მოთ-
 მინებით უნდა აღივსოს იმ გზაზე, რომელიც ღვთაებრივის კენ
 მიდის, სიყვარულით აღვსილი უნდა მიჰყვებოდეს ამ გზას,
 რომელიც ცოდნას უკვე სიბრძნედ გარდასახავს. ნიკოლაელ-
 ნი ერთ-ერთი სექტა გახლდათ, რომელსაც ქრისტიანობისად-
 მი მიმართებაში ზედმეტი ზედაპირულობა ახასიათებდა. ამ
 სექტის წევრებმა მხოლოდ ერთი რამ იცოდნენ: ქრისტე ღვთა-
 ებრივი სიტყვაა, მარადიული ღვთაებრივი სიბრძნე, რომელიც
 ადამიანში იბადება. მაშასადამე, ასკენიანენ ისინი, ღვთაებ-
 რივი სიტყვა ხწორედ ადამიანური სიბრძნეა და ამრიგად წუ-
 თისოფელში ღვთაებრივის გაცხადებისათვის საკმარისია

მხოლოდ ადამიანური ცოდნისკენ ვასწრაფვოდეთ. თავისთავად ცხადია, ქრისტიანული სიბრძნის შინაარსის ამგვარი განმარტება შეუძლებელია. ცოდნა, ანუ ადამიანური სიბრძნე, უკეთუ ღვთაებრივ სიბრძნედ არ გადაიქცევა, ისევე წარმოადგენს, როგორც სხვა ყოველივე ამქვეყნიური. შენ ასეთი არ ხარ, მიმართავს ხული ეფესოს ეკლესიის ანგელოზს. შენ მხოლოდ ადამიანური სიბრძნე არ ვიძებნა, არამედ მოთმინებით დაადექი ქრისტიანობის გზას. მაგრამ იცოდე, რომ მიზნის მისაღწევად აუცილებელია „სრულყოფილი სიყვარული“. ისეთი სიყვარული, რომელიც ყველა სხვა სიყვარულს აღემატება. მხოლოდ ასეთი სიყვარულია „სრულყოფილი“. ღვთაებრივისკენ მიმავალი გზა უსასრულოა და ადამიანმა უნდა შეიგნოს, რომ, უკეთუ მან ხსენებული გზის პირველი საფეხურის დაძლევა შეძლო, ეს მიღწევა მხოლოდ შემდგომ საფეხურზე ასეღას უნდა მოემსახუროს. ამრიგად, პირველი ეპისტოლე გვიჩვენებს გზას დანარჩენ ეპისტოლეთა გასაგებად, რომელთა ფარული აზრი მსგავსადვე შეიძლება მიკვლეულ იქნას.

განვაგრძოთ წიგნის განხილვა. როდესაც იოანე შემობრუნდა, იხილა „შვიდი სახანთლე ოქროსი და, შვიდ სახანთლეს შორის, მსგავსება კაცის ძისა, რომელსაც ეძიოხა გრძელი მოსახხამი, და მკერდს ერტვა ოქროს ხარტყელი; თავი მისი და თმანი — სპეტაკი, როგორც ქათქათა მატყლი, და როგორც თოვლი; ხოლო თვალნი მისნი, როგორც აღა ცეცხლისა. როგორც გვაუწყებენ (თ. 1, ლ. 20) “შვიდი სახანთლე ეკლესიაა შვიდი“. ეს ნიშნავს, რომ სახანთლეები გამოხატავენ შვიდ განსხვავებულ გზას ღვთაებრივის მისაღწევად. ყოველი მათგანი, ასე თუ ისე, არასრულყოფილია. და ძეს კაცისას „მარჯვენა ხელში ეპერა შვიდი ვარსკვლავი“. (ლ. 16). „შვიდი ვარსკვლავი შვიდი ეკლესიის ანგელოზნი არიან“. (ლ. 20) ძველი დროის მიხტეროვლ სიბრძნეში ცნობილი „დამშობდვრავი — წარმმართველი ხულები“, ანუ ძველბერძნულად იგივე

დემონები, შუამავლები ღმერთისა და ადამიანს შორის, აქ მკლესიათა წინამძღოლ ანგელოზებად აქცენს. ამავე დროს, ეს ეკლესიები გამოხატულია, როგორც ხსენებულ სულთერ არსებათა სხეულები. ხოლო ანგელოზები ამ „სხეულების“ საფუძვინველებია, მსგავსად ამისა, როგორც ადამიანის საფუძვინველი ადამიანის სხეულის „წარმმართველ დამშობვერავ ძალად“ წარმოვიდგება. ეკლესიები, სულთერი თემები არასრულყოფილებიდან ღვთაებრივისკენ მიმავალ გზებს წარმოადგენენ, ხოლო ეკლესიათა საფუძვინველები ამ გზაზე მიმავალთ წარმართავენ, მოძღვრავენ. მაგრამ ამ საფუძვინველებმა თავადაც ისეთ სრულყოფილებას უნდა მიაღწიონ, რომ მათი წინამძღოლი იმის არსობრიობა გახდეს, ვისაც „ხელში უპყრია შუიდი ვარსკვლავი“. ამის ბაგეთაგან გამოდიოდა მახვილი ორღესური და სახე მისა, როგორც მზე, სხეუმფინარი თავის ძალით“. როგორც გახსოვთ, ეს მახვილიც ცნობილი იყო. მისტერიებში (იხ. გვ. 20) მისტს „ჭარჭამიდან ამოწვდილი მახვილით“ ამსინებდნენ. აქვე ამ შინაგან მდგომარეობაზეც მიგვათითებენ, რომელსაც ღვთაებრივისკენ მღტოლველი ადამიანი აღწევდა. მას ღვთიური სიბრძნის ხატი და სახე ეცხადებოდა, „როგორც მზე სხეუმფინარი თავის ძალით“. იოანეც ამ მდგომარეობას გადის, რითაც მიხი შინაგანი ძალი და უნარი გამოიხდება. „და როცა ვიხილე იგი, მის ფერხითი დავეარდი, როგორც მკვდარი. ხოლო მან დამადო თავისი მარჯვენი და თქვა, ნუ გეშინია“. (ღ. 17) მისტა ისეთ შინაგან განცდებსა და სულთერ გამოცდილებებს უნდა ეზიაროს, რომლებსაც სვეულებრივი ადამიანი მხოლოდ სიკვდილის კარიბჭეში გასვლისას განიცდის. ხოლო წარმმართველი სული ამ დროს იმ სფეროს საზღვრებს ვარეთ უნდა გაუძღვეს, სადაც დაბადება და სიკვდილი თავის მნიშვნელობას ინარჩუნებს. ხელდასხმული ახალ ცხოვრებაში შედის „და ვიყავი მკვდარი, და, ამა ცოცხალი ვარ უკუნიითი უკუნისამდე, ამინ. და მაქვს კლიტენა ჯოჯობეთისა და სიკვდილისასი“. როცა იოანე ამგვარად განემზადება, მას უჩინაეხი საიდუმლოებების მიხედვად ღარ-

სყოფენ. „შემდგომ ამისა, გავიხედუ და, აჰა, კარი გაიღო ცაში და ხმამ, რომელიც თავდაპირველად ჩამესმა როგორც ხმა ხავეირისა, მითხრა: ამოდი აქ და ვიჩვენებ, რაც უნდა მოხდეს ამის შემდეგ“ (თ.4. ლ.1). ეპისტოლენი შეიდი ეკლესიის სუ-
 ლებისადმი იოანეს იძახ აუწყებენ, რაც გრძნობად, ფიზიკურ სამყაროში უნდა მოხდეს, რათა ქრისტიანობის გზები განუმ-
 ზადოს. იოანეს შემდგომი ხილვა, რასაც იგი „სულით“
 ჭვრეტს, საგანთა სულიერ პირველსაწყისს განუცხადებს,
 რომელიც ამჟამად ფიზიკური განვითარების მიღმაა, მაგრამ
 მომავალ, სულით გამსჭვალულ ეპოქაში ფიზიკური განვითა-
 რებაც მიაღწევს ამ პირველსაწყისს. მაშასადამე, ხელდასხ-
 მული უკვე აწმყოშიც სულიერად მომავლის მოვლენებს განი-
 ცდის. „და მყისვე ატაცებულ ვიქმენ სულის მიერ. და, აჰა, იდგა
 ტახტი ცაში, ხოლო ტახტზე იყო მჯდომარე. და მჯდომარე
 იასპისა და ხარდიონის ქვას ჰგავდა სახით და ცისარტყელა
 ვადარკალუდიყო ტახტის თავზე, სმარაგდის მსგავსი“. ნათე-
 ლმშხილველისათვის გრძნობადი სამყაროს პირველსაწყისი
 ამგვარი ხატ-სახეებით იმოსება. „და ტახტის ირგვლივ ოცდა-
 ოთხი ტახტი, და მათზე მსხდომარე ოცდაოთხი უხუცესი,
 რომელთაც ემოსათ სპეტაკი ხამოსი, და თავს ედგათ ოქროს
 გვირგვინნი“ (7.4). არსებანი რომელთაც უმაღლეს სიბრძნეს
 მიაღწიეს, ყოფიერების პირველსაწყისის გარსშემოკრებიან,
 რათა მისი უსახრულო არსობრიობა ჭვრიტონ და იმოწმონ
 მისთვის, „და ტახტის შუა და ტახტის ირგვლივ ოთხი ცხოვე-
 ლი, წინიდანაც და უკნიდანაც თვლებით სავსენი. პირველი
 ცხოველი ღოღს ჩამოგაედა, მეორე — კუროს, მესამე ცხო-
 ველს კაცის სახე ჰქონდა, ხოლო მეოთხე იყო მფრინავი არ-
 წივის მსგავსი, და ამ ცხოველთაგან თვითუულს ექვსი ფრთა
 ესხა ირგვლივ, შიგნიდან თვლებით სავსენი და არც დღისით
 და არც ღამით არა აქვთ მოსვენება, არამედ ღაღაღებენ: წმინ-
 დააა, წმინდაა, წმინდაა უფალი ღმერთი, ვოვლისმპყრობელი,
 რომელაც იყო და რომელიც არის და რომელიც იქნება“.

(7-8). ვფიქრობ, იმის მიხედვით არ გავიჭირდებით, რომ
ოთხი ცხოველი ამ ზეგრძნობად ცხოვრებას აღნიშნავს, როგორც
მედიც გრძნობადი ცხოვრების ფორმებს საფუძვლად უდევს.
ეს ცხოველები მოგვიანებით, როცა ხაყეით ჩაბერენ, ვ.ი.
როცა გრძნობად ფორმებში მოქცეული ცხოვრება სულიერ
ცხოვრებად გარდაისახება, ხმას აღიმადლებენ.

ტახტზე მჯდომარეს მარჯვენაში წიგნი უპყრია, რომელ-
შიც წინასწარგანსაზღვრულია უზენაესი სიბრძნისკენ მისა-
ხელელი გზა. „აჰა, იმძღავრა ლომმა იუდას ტომისაგან, და-
ვითის ფესვმა, რომელიც გაშლის ამ წიგნს და შეიდ ბეჭედს
ახსნის მას“. წიგნს შეიდი ბეჭედი ახის. ადამიანური სიბრძ-
ნეც შვიდსახოვანია. ამ სიბრძნის შეიდსაზღვრება ისევ და
ისევ რიცხვ შეიდის წმინდა მნიშვნელობას უკავშირდება. ხო-
ლო რაც შეეხება ბეჭედებს, ფილონის მიხედვით ფილოსოფია-
ში სამყაროს მარადიულ აზრებსა თუ იდეებს ბეჭედები ეწო-
დება. ადამიანის სიბრძნე ამ შემოქმედებით აზრებს გამუდმე-
ბით ეძიებს, მაგრამ ღვთაებრივი ჭეშმარიტების სისავსეს
მხოლოდ ამ აზრებით დაბეჭდილი წიგნი შეიცავს. ამ წიგნის
იდუმალი შინაარსი რომ გაცხადდეს, ჯერ შემოქმედებითი
საფუძვლების მნიშვნელობა უნდა გაიხსნას, ანუ ამ საფუძე-
ლებში დამალული აზრი ხრულად უნდა წარმოჩნდეს, რაც
ბეჭედების ახსნას ნიშნავს. მათი ახსნა იესოს — ლომს ხელე-
წიფება. იესომ შემოქმედებით აზრებს ისეთი მიმართულება
განუხაზვრა, რომელსაც ადამიანი ხსენებული შემოქმედე-
ბითი აზრების მეშვეობით უშუალოდ ჭეშმარიტებასთან მი-
ვაავს. დაკლული კრავი, რომელმაც თავისი ხისხლით გამოვ-
ისყიდა ღმერთისათვის, იესო, რომელმაც საკუთარ თავში
მიიღო ქრისტე და, ამგვარად, უმადლები საზრისით სიციცხ-
ლისა და სიკვდილის მიხტერია განვლო, იგი გაშლის ამ წიგნს.

(5.9-10). თითოეული ბეჭედის ახსნისას ცხოველები მგრვეი-
ნავი ხმით წინასწარმეტყველურად განაცხადებენ იმას, რაც
უწყიან. პირველი ბეჭედის ახსნისას იოანე თოთრ ცხენს და ზედ
მჯდომარე მშვილდოსან მხედარს ჭერეტს. ეს პირველი სამ-

ეაროსეული ძაღაა — შემოქმედებითი აზრის განსახიურება, რომელსაც ახალი მხედარი — ქრისტიანობა — ხწორ მიძარ. თულებას აძლევს. ომი, ურთოერთჭადიღა ახალი რწმენათ ცხრება. მეორე ბეჭდის ახსნისას წითელი ცხენი და მისი მხედარი გვეცხადება. იგი მიწიდან მშვიდობას, მეორე სამყაროსეულ ძაღლას აღხოცავს, რათა კაცობრიობამ განცხროში-სას ღვთაებრივზე ხრუნვა და რუღუნება არ მიატოვოს. მესამე ბეჭდის ახსნისას სამყაროსეულ ძაღლად სამართლიანობა გვე-ელისება, რომელსაც ქრისტიანობა წარმართავს და ხელმძღ-ვანელობს. ხოლო მეოთხე ბეჭდის ახსნას, რელიგიური ძა-ლის გამოცხადება მოყეება, რომელსაც ქრისტიანობა ახალ სახეს ანიჭებს. ოთხი ცხოველის მნიშვნელობა ამით ნათელი ხდება. ისინი ოთხ უმთავრეს სამყაროსეულ ძაღლას წარმო-ადგენენ, რომელთაც ქრისტიანობაში ახალი მიძართულება მიენიჭა: ომი (ღომი), მშვიდობიანის შრომა (კურთ), სამართ-ლიანობა (კაცის სახის მქონე არხება) და რელიგიური მისწ-რაეება (არწივი). მესამე არხების მნიშვნელობა მესამე ბეჭ-დის ახსნისას წარმომხდება: „ყოფით პური დინარად, და სამი კოფით ქერი დინარად“, რასაც ისიც ცხადყოფს, რომ მესამე მხედარს ხელი სახწორი უპყრია. მეოთხე ბეჭდის ახსნისას ჩნდება მხედარი, რომლის „სახელია — სიკვდილია და ჯოჯო-ხეთი მოხდევდა მას“. ეს მხედარი რელიგიურ სამართლიანო-ბას წარმოადგენს. (თხ.ღ 6-7).

ხოლო მეხუთე ბეჭდის ახსნას იმ ადამიანების საფშვი-ნელების გამოცხადება მოხდევს, რომელთაც ქრისტიანობის ხელისკვეთებით უკვე იცხოურეს. აქ ქრისტიანობაში განსხვავებულა თეით შემოქმედებითი აზრი გვევლანება. უნდა ვავითვალისწინოთ, რომ ამ შემთხვევაში ქრის-ტიანობაში, უპირველეს ყოვლისა, მხოლოდ პირველი ქრის-ტიანული სამმო იგულისხმება, რომელიც, დანარჩენი შემოქმედებითი ფორმების მსგავსად, წარმოყვლია. როცა მეექვსე ბეჭედიც ახსნება, ნათლად წარმომხდება, რომ ქრის-

ტიანობის ხელეწიერი სამეარო მარადიუღა (თ.7). ამ ხელეწიერ
მა სამეარომ, რომელიდანაც თუთი ქრისტიანობა გამოუღა,
ხალხაც, კაცობრიობაც აღაესო. კაცობრიობის საკუთარი
შემოქმედებაც დალოცუღა. „და მოქესმა აღბუჭიღა
რაცხუა: ას ორმოცდაათი ხი ათასი თუ აღბუჭიღა ისრაელის
ბუთა ეოველი ტომისაგან“ (7,4). ეს ის აღამიანებაა, რომელ-
ნიც ვერ კიდევ ქრისტიანობამდე განეშხადნენ მარადიუ-
ლისათვის და რომელნიც ქრისტეს იმპულსის ძალით გარ-
დაისახნენ. ამას მეშვიდე ბუჭდის ახსნაც სდევს და
გამოჩნდება, თუ რად უნდა იქცეს ქვეყნბერებისთვის
ქუშმარიტი ქრისტიანობა. ჩვენს წინამე შვიდი ანგელოზი
წარმოადგება, „რომლებიც იდგნენ დმერთის წინამე“ (თ.8,
ლ.2). ეს შვიდი ანგელოზი, ისევ და ისევ, ქრისტიანობაში
გადმოტანილი უბუველეს მისტერიათა ხელეღა. ეს ხელეღა
ამიერიდან აღამიანს ღვთაებრივის ქვრუტად **ქუშმარიტად**
ქრისტიანული გზით აღამადლებენ. ამრიგად, ის, რაც აქ
აღწერიღა, ხწორედ ღვთაებრივამდე ამადლების გზას
წარმოადგენს. ეს ის „ხელდასხმაა“, რომელიც ოთანეს ემცნო.
ხელეღის მიერ გამოცხადებულს ის ხასწაული ნიშნები სდევს,
რომლებიც ხელდასხმას უცაილობლად ახლავს. პირველმა ან-
გელოზმა ჩაბბერა „და იქმნა ხეტყა და ცეცხლი, ხისხლში
არეღა. და მესამედი ხუთა, და მიუღა მწვანე ბაღახი
დაიწვა“. მსგავსი რამ მაშინაც ხდება, როცა ღანარჩენი ან-
გელოზებიც საყვირთა ჩაბბერით განაცხადებენ თაყიანო
ხათქმელს, რაც იმასაც ცხადყოფს, რომ აქ ხაქმე ეხება არა
ძველ, არამედ ახალ ხელდასხმას, რომელმაც ძველის ადგილი
უნდა დაიკავოს. ქრისტიანობა, უბუველესი მისტერიებისაგან
განსხვავებით, მხოლოდ რჩეულთა შვირუ რიცხვისთვის არ
უნდა არხებობდეს. იგი მოულ კაცობრიობას უნდა
კუთვნოდეს. ქრისტიანობა ხალხურ რელიგიად უნდა იქცეს.
ქუშმარიტება მისაწვდომი უნდა იყოს ეოველი აღამიანისათ-
ვის. „ვისაც ეური აქვს რათა ისმინოს“. ძველი დროის მისტება
მრავალთაგან ირჩეოდნენ. ქრისტიანობის საყვირნი

ყველასათვის გაპყვირიან, ვისაც კი მათი მოხმენა შეუძლია. ხოლო ქრისტიანობასთან მოსვლა უკვე თითოეულის პირადი საქმეა, მაგრამ ამიტომაც ასე საზარლად იზრდება ის საშინელებანიც, რომლებიც თან სდევს კაცობრიობის ამ ახალ ხელდასხმას. იოანეს გამოცხადებაში ვლინდება ის, რაც დედამიწასა და მის ბინადრებს შორეულ მომავალში მოულის. აქ საფუძველში ის აზრი დევს, რომ ხელიერ სამყაროს ნაზიარებ, მასთან წილნაყარ ხელდასხმულს იმის წინასწარგანჭვრეტა ხელუწიფება, რაც ფიზიკური სამყაროსთვის მხოლოდ მომავალში განხორციელდება. შვიდიეპისტოლე ქრისტიანობის მნიშვნელობას აწმყოსათვის წარმოაჩენს, ხოლო შვიდი ბეჭედი კი იმას გამოხატავს, რასაც ქრისტიანობა აწმყოში მომავლისათვის განამზადებს. მომავალი დაფარულია, დაბეჭდილია იმისთვის, ვინც ხელდასხმული არაა; ბეჭდები ადამიანისთვის ხელდასხმის დროს იხსნება. როცა ის ემოქა გაივლის, რომელსაც შვიდიეპისტოლე ეხება, უფრო ხელიერი ხანა დადგება. მაშინ ცხოვრება გრძნობად ფორმებში აღარ მოგვევლინება, როგორც დღეს, არამედ გარეგნულად თავისი ზეგრძნობადი ხატ-სახეების ანარეკლი იქნება. ეს ზეგრძნობადი ხატ-სახეები წარმოდგენილია ოთხი ცხოველისა და შვიდი ბეჭდის გამოხახულებით. ხოლო კიდევ უფრო შორეულ მომავალში დედამიწისთვის ის ხატ-სახე გაცხადდება, რომელსაც ხელდასხმული განიცდის ხაყვირიან ანგელოზების ჭვრეტისას. ამრიგად, ხელდასხმული ქრისტიანობის სულისკვეთებიდან იმეცნებს, თუ როგორ შემოდის დედამიწის ცხოვრებაში ქრისტეს იმპულსი და როგორ აგრძელებს მასში მოქმედებას. გამოცხადებაში ნაჩვენებია ყოველივე იმის განადგურება, რაც წარმავალს ზედმეტად მიეჯატეა და ჭეშმარიტ ქრისტიანობას ვეღარ წელება. ამის შემდეგ ძალმოსილი ანგელოზი გვევლინება, რომელსაც ხელში გადაშლილი წიგნი უპყრია. წიგნს იოანეს აწვდის (10,9). „და მითხრა მე: აილე და შეჭამე იგი; და გაგიმწარებს მუცელს, მაგრამ პირში იქნება თაფლივით ტკბილი“. რაც იმას

ნიშნავს, რომ იოანემ არა მარტო უნდა წაიკითხოთ ეს წიგნი, არამედ სრულად გაითავისოს, მთლიანად განიმსჭვალოს მისი შინაარსით. ყოველგვარი ცოდნა უსარგებლოა, თუ არა ადამიანი მისით სრულიად არ აღივსება, მთელი თავისი არსებით არ განიმსჭვალება. სიბრძნე ცხოვრებად უნდა იქცეს. ადამიანმა ღვთაებრივი არა მხოლოდ უნდა შეიძუცნოს, არამედ თავადაც უნდა გაღმერთდეს, ღმერთად იქცეს.

სიბრძნე, რომელსაც ეს წიგნი შეიცავს ადამიანის წარმაყალ ბუნებას ტანჯავს აყენებს: „იგი ვაგიმწარებს მუცელს“, მაგრამ მარადიული ბუნება მით უფრო ხარობს მისით „მაგრამ პირში იქნება თაფლივით ტკბილი“. ქრისტიანობა დედამიწაზე მხოლოდ ასეთი ხელდასხმის გზით შეიძლება განხორციელდეს. იგი გაანადგურებს, მოაშთობს ყოველივეს, რაც ქვენა ბუნებას ეკუთვნის, „და მათი ცხედრები დაიფრება მოუდანზე დიდი ქალაქისა, რომელსაც სულიერად ეწოდება სოდომი და ეგვიპტე, სადაც ჯვარს აცვეს ჩვენი უფალი“. აქ ქრისტეს მიმდევრები იგულისხმება, რომელთაც წარმაყალის ძალაუფლება გასტანჯავს და ღვეწას დაუწიებს. მაგრამ ეს ქვენა ძალა დასატანჯად მხოლოდ ადამიანის ბუნების წარმაყალი ნაწილის მოხელთებას შესძლებს და ერთხანს დასჯაბნის, დათრგუნავს კიდევ მას. ამრიგად, ამ ადამიანთა ბედი ქრისტე იესოს ბედის ანარეკლი გახდება. „სულიერი სოდომი და ეგვიპტე“ ამ ცხოვრების სიმბოლოა, რომელიც მხოლოდ გარეგნულს მიელტვის და ებლაუჭება და ქრისტეს იმპულსით არ გარდაიქმნება. ქრისტე ჯვარცმულია ყველგან ადამიანის ქვენა ბუნებაში. იქ, სადაც ქვენა ბუნება იმარჯვებს, ყველაფერი კვდება. ადამიანები ცხედრებით ფარავენ ქალაქების მოედნებს. მაგრამ სხვა ბედი ელით მათ, ვინც იმ ქვენა ბუნებას დაძლევეს და ჯვარცმული ქრისტეს აღდგომას მიაღწიეს. ისინი მეშვიდე ანგელოზის საყვირს გაიგონებენ. „სამეფო ქვეწიისა გახდა სამეფო უფლის ჩვენისა და მისი ქრისტესი და იმეფებს უკუნითი უკუნისამდე“. (ო.11. ლ.15) „და გაიღო ტაძარი ღმრთისა ცაში, და გამოწნდა კედობანი

მისი აღთქმისა მისხაყე ტაძარში“. (ლ.19) ამ მოვლენათა
 ტერმინებს ხელდასხმულისთვის კვლავ განახლება
 უძველეს დროთაგან არსებული ბრძოლა ქვენა და ზენა
 ბუნებას შორის, რამეთუ ყოველთავე ის, რასაც ოდესღაც
 ნუოფიტო მისტერიებში გადიოდა, უნდა განმეორდეს ეველა
 ადამიანში, ვინც ქრისტიანული გზებით მიდის. ისე, როგორც
 ოდესღაც ბორცტი ტიფონი ოზირისს ემუქრებოდა, ახლაც
 კიდევ უნდა დამარცხდეს „დიდი ურჩხული, დასაბამის გველი“
 (თ.12, ლ.9). ქალი, ადამიანის საფუძვინველი, დაბალ ქვენა
 ცოდნას შობს, რომელიც მტრულ ძალას წარმოადგენს,
 უკეთუ სიბრძნეზე ვერ ამადლდება. ადამიანმა უნდა
 განვლოს და დაძლიოს ეს ქვენა ცოდნა, რომელიც ამო-
 კალიფისისში „დასაბამის გველად“ წარმოგვიდგება. მთელ
 მისტურ სიბრძნეში გველი ამთავითვე შემეცნების სიმბოლო
 იყო. ამ გველს, ბორცტ შემეცნებას, ადამიანის ცდუნება
 ძალუძს, უკეთუ ადამიანი თავის თავში დემონის ძეს არ შობს.
 რომელიც გველის თავს მოხრავს. „და გადმოუარდა დიდი
 ურჩხული, დასაბამის გველი, რომელსაც ეწოდება ეშმაკი და
 სატანა, მთელი სამყაროს მაცდური გადმოუარდა ქვეყნად, და
 თან გადმოჰყენენ მისი ანგელოზნი“. ეს სიტყვები
 ნათელბუიფენ, თუ რას ეხწრაფვის ქრისტიანობა. ქრის-
 ტიანობას ხურს ხელდასხმის ახალი გზა გახდეს. დღეს
 ადამიანმა ახალი ფორმით უნდა მოაღწიოს იმას, რასაც
 ძველად მისტერიებში აღწევდნენ, რადგან მისტერიებშიც
 აუცილებელი იყო გველზე გამარჯვება. თუმცა ამიერიდან ეს
 მისტური აქტი უფრო სხვაგვარად უნდა წარმართოს,
 ვიდრე უწინ. ერთიანმა ქრისტიანულმა მისტერიამ უნდა
 შეცვალოს მრავალრიცხოვანი ძველი მისტერიები. იესო,
 რომელშიც ღოვოსი — სიტყვა ხორცად იქცა, მთელი
 კაცობრიობის ხელდასხმელი — ინიციატორი უნდა გახდეს.
 ხილი კაცობრიობა მისტების სამოღ უნდა იქცეს.
 მამასადამე, არა რჩეულთა გამოყოფა და განკერძოება უნდა
 მოხდეს, არამედ ყველას შეკავშირებას, შეერთებას უნდა

სიუველოდეთ. ყველამ თავისი ხელყური მოწიყეულობის წილ
უნდა მიიღოს შესაძლებლობა მისტად იქცეს. ღვთაებრივი
სიტყვა, ღვთაებრივი გამოცხადება ყველას ემცნობა და
ყოველი ადამიანი, ვისაც უური აქვს, რათა ისმინოს, მთელი
გულისყურით ამ სიტყვას უნდა აჟურადებდეს. ეს გადა-
წყვეტილება თვითუელს თავისმა გულის ხმამ უნდა მია-
ღებინოს. ის კი არ არის მთავარი, რომ ესა თუ ის პიროვნება
მისტერიათა ტაძარში შევიდეს, არამედ ღვთაებრივი სიტყვა
ყოველი ადამიანის მიმართ, მთელი კაცობრიობისადმი უნდა
ითქვას და გამოცხადდეს. მნიშვნელობა არა აქვს, თუ ზოგი ამ
სიტყვას ნაკლებ მკაფიოდ და ნათლად გაიგებს და შეისმენს,
ხოლო სხვა კი მეტად. დემონს, ანგელოზს, რომელიც ადა-
მიანის მკერდში ბინადრობს, არჩევანი ეძლევა ვადაწყვიტოს,
რამდენად შესაძლებელაა მისი ხელდასხმა. მთელი
მსოფლიო მისტერიების ტაძარს წარმოადგენს. ამურიდან
არა მხოლოდ ის უნდა გახდეს ნეტარი, ვინც მისტერიათა
განსაკუთრებულ ტაძრებში სასწაულქმედებებს ჭერეტს,
რითაც მარადიულობის საწინდარი ეძლევა, არამედ ნეტარ
არიან ისინიც, „ვისაც არ ვუხილავარ და ინამეს ჩემი“. თუნ-
დაც ამ ადამიანებს თავდაპირველად სიბნელეში ხელის-
ცუცებით სიარულმაც უწიოთ, ნათელი შეიძლება მათაც
მოუფინოს. ყველას ყველგან გზა ხსნილი აქვს და არავის
არავითარი საიდუმლო არ ეკრძალება. ამის შემდეგ აპო-
კალიფსისში თვალნათლივ წარმოვიდგენენ იმ საშიშრ-
ოებებს, რომლებიც შეიძლება ქრისტიანობას ანტიქრის-
ტიანობისგან დაემუქროს. აქვე მომავალში ქრისტიანული
საწყისის საბოლოო გამარჯვებასაც ვუამცნობენ. ყველა
ღმერთი ერთიან ქრისტიანულ ღვთაებრიობას შეეწოთება და
შეერწყმება: „და ქალაქს არ სჭირდება არც მზე და არც მთვარე
მანათობელად, რადგანაც დიდებამ ღმრთისამ გაანათა იგი, და
სათელი მისი – კრავი“. (21, 23) „წმ. იოანეს გამოცხადების“
მისტერია სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ამურიდან მის-
ტერიები დაფარულია, დაბეჭდილი აღარ უნდა დარჩეს: „და

მიუხრია მე: ნუ დააბუქდავ ამ წიგნის წინასწარმეტყველების სიტყვებს, რადგანაც ახლოა ეამი". (თ.22, ლ.10). აპოკალიფსისის ავტორმა გადმოგვცა საკუთარი მრწამსი თავისი ქრისტიანული ეკლესიის უძველეს ეკლესიებთან მიმართების შესახებ. მან მოიხურვა, სულიერ მისტერიაში მოუთხრო ძველი მისტერიების შესახებ. თავისი მისტერია ავტორმა კუნძულ პატმოსზე დაწერა. „გამოცხადება“ მან გამოქვაბულში მიიღო. უკვე თვით ამ ცნობაში გამოხატულია „გამოცხადების“ მისტერიული შინაარსი. ამრიგად ქრისტიანობა მისტერიებიდან ამოიზარდა. მართალია, ქრისტიანული სიბრძნე აპოკალიფსისისში თაყადაც იბადება, როგორც მისტერია, მაგრამ იხეთი მისტერია, რომელიც ძველი სამყაროს მისტერიების ჩაჩხოებიდან გამოსვლას ლამობს. ეს ცალკეული მისტერია, ცალკეული მისტერიული აქტი სამყაროსეულ მისტერიადა უნდა იქცეს. შეიძლება ზოგჯერ თხ, იმ მტკიცებიდან გამომდინარე რომ ქრისტიანობაში მისტერიების იდუმალებები გაცხადდა, შეუსაბამოდ მოუჩვენოს ის, რომ აპოკალიფსისის სულიერ ხილვათა განცდებს ჩვენ ქრისტიანულ მისტერიადა შევრაცხავთ. ეს შეუსაბამობა ქრება, თუკი გაეიხსენებთ, რომ უძველეს მისტერიათა იდუმალებები პალესტინის მოვლენებით გაცხადდა. ამით ყოველგვარი საფარველი მოუხსნა იმას, რაც ადრე დაფარული იყო მისტერიებში. მაგრამ ამქვეყნად ქრისტეს მოვლინებით სამყაროს განვითარებაში ახალი საიდუმლო ჩაერთო. ის, რასაც უწინ უძველესი დროის ხელდასხმული სულიერ სამყაროში განიცდიდა, მხოლოდ მინიშნებებს წარმოადგენდა, რომლებიც ჯერ კიდევ „დაფარულ, იდუმალ ქრისტეზე“ მიუთითებდნენ. ხოლო დღეს ქრისტიანული ხელდასხმული „გამოცხადებული ქრისტეს“ ფარულ შემოქმედებას წყდება.

იესო და მისი ისტორიული ნიადაგი



ნიადაგი, რომლიდანაც ქრისტიანობის სული ამოიზარდა მისტერიათა სიბრძნეში უნდა ვეძიოთ. ოღონდ ძველად ამ სიბრძნეში ჯერ კიდევ არ ზეობდა ის ძირითადი წარმმართველი აზრი, რომ ამ სულს კიდევ უფრო ღრმად უნდა განემსჭვალა ცხოვრება, ვიდრე ეს მისტერიებში ხდებოდა. თუმცა ეს ძირითადი აზრიც თანდათანობით სულ უფრო მეტად ვრცელდებოდა. ამ შხრივ ეურადხალებია ესეველთა და თერაპევტთა ცხოვრების წესი, რომელთა საძმოები ქრისტიანობამდე დიდი ხნით ადრე არსებობდა. ესეველები დახურული პალესტინური სექტა გახლდათ, რომელიც ქრისტეს დროისთვის ოთხ ათასამდე წევრს ითვლიდა. ისინი გაერთიანებული იყვნენ სამშოში, რომელიც თავისი წევრებისაგან ცხოვრების ისეთი წესის დაცვას მოითხოვდა, საფუძვინველში უმაღლესი ცხოვრების გაღვიძებასა და განვითარებას რომ ემსახურება, რითაც ადამიანი სულიერ განახლებას, აღორძინებას აღწევს. სამშოში მიღების წინ ადამიანს მკაცრი გამოცდა ელოდა, რომელსაც უნდა გაერკვია, თუ რამდენად იყო მომწიფებული იგი უმაღლესი ცხოვრებისათვის. ახლად მიღებული წევრი ხატურით გამოიცდებოდა, რის შემდეგ საზეიმო ფიცს ხდებდა, რომელიც სამშოს ცხოვრების წესის ხაიდუმლოებების გამვლავნებას კრძალავდა. ესეველთა ცხოვრება ადამიანის ქვეს ბუნების დათრგუნვას ისახავდა მიზნად, რათა მასში მთელეშარე, მიძინებული სული გაეღვიძებინა. იგი, ვინც უკვე ვარკვეულწილად თავისთავში ამ სულს შეიცნობდა, ორდენის უმაღლეს საფეხურზე აღიოდა და შესაბამისი ავტორიტეტითაც სარგებლობდა, რომელიც, თავისთავად ცხადია, გარედან თავსმოზკვეული კი არ გახლდათ, არამედ შინაგან რწმენას ბუნებრივად ვერდნობოდა. ესეველებთან ახლოს იღვწენ ეგვიპტეში მცხოვრები თერაპევტები. ვველა სასურველი ცნობა მათი ცხოვრების შესახებ შევიძლიათ მოიძიოთ ფილოსოფოს ფილონის ნაწარმოებში „ქვრეტიითა ცხოვრების შესახებ“. (რაც შეეხება დავას ამ ნაწარმოების ორიგინალობის თაობაზე, იგი დღეს

უკვე გადაჭრილად შეიძლება ჩაითვალოს და არავითარ შემთხვევაში
 აღარ იწყევს ის ვარაუდი, რომ ფილონმა მისთვის კარგად
 ცნობილი თემისა თუ სამშოს ცხოვრება აღწერა, რომელიც
 ქრისტიანობამდე ვერ კიდევ დიდი ხნით ადრე არსებობდა
 (იხ. წიგნი G.R.Mead, "Fragmente eines verschollenen
 Glaubens", Leipzig, 1902. Verlag von Max Altmann). საქმა-
 რისია ამ თხზულების რამდენიმე ადგილი განვიხილოთ და
 ჩვენთვის გასაგები გახდება, თუ რაზეა იქ საუბარი. „სამშოს
 წევრთა საცხოვრებელი სახლები მეტად უბრალოა და მხო-
 ლოდ დიდი ხიცხისა ან სიცივისგან თავშესაფრად იყენებენ.
 საცხოვრებლები ერთმანეთზე მჭიდროდ არ არის მიჯრდილი,
 ისე როგორც ქალაქში. რადგან განმარტობის შაძიებელთათ-
 ვის მუშობლობა ნაკლებად მიმსიდველია) ამავე დროს მათი
 სახლები არც ერთმანეთისგანაა გაფანტული, რათა სამშოს
 წევრთათვის ვეზომ ძვირფასი საზოგადოებრივი ურთიერთო-
 ბანი არ გაძნელებს და თანაც ყაჩაღთა თავდასხმებიც უფრო
 იოლი მოსაგვრებელი იყოს. ყოველ დაბას ერთი ნაკურთხი
 წმინდა საყანე გააჩნია, რომელსაც საყდარს ან მონასტრებს
 უწოდებენ და რომელიც მცირე დარბაზსა თუ სენაკს წარმო-
 ადგენს, სადაც ისინი უმაღლესი ცხოვრების იღუმალელებს
 იკვლევენ და იმეცნებენ... მათ შემოუნახავთ ძველი დროის იმ
 მწერლების თხზულებები, რომლებიც ერთ დროს მათ ხკოლას
 ხელმძღვანელობდნენ. ეს თხზულებები ალევორიულ ნაწარ-
 მოებში გამოყენებული მეთოდების მრავალ განმარტებას
 შეიცავს... წმინდა წერილის მათეული განმარტებები მიმარ-
 თულია ალევორიული ნაწარმოებების უფრო დრმა და და-
 ფარული აზრის გამოხატვლენად“. შემოთქმული ცხადყოფს,
 რომ საქმე იმავე ფარული ცოდნის უფრო ფართო გავრცელე-
 ბას ეხებოდა, რომელსაც მისტერიათა ეწერო წრეშიც ეძიებ-
 დნენ. ცხადია, ასეთი გავრცელებით ამ ცოდნის მკაცრი ხახი-
 ათი რამდენადმე რბილდებოდა. ესეველია და თერაპევტთა
 ხეცტები მისტერიებიდან ქრისტიანობის ვნ ბუნებრივ გადასვ-
 ლას წარმოადგენს. ოდონდ ქრისტიანობა ისწრაფვოდა, რომ
 მთელ კაცობრიობას ესარგებლა იმით, რაც მანამდე მხოლოდ

სექტის მონაპოვარი იყო. ეს კი, თავისთავად ცხადია, ხექტის ცხოვრების მკაცრ განაწესს კიდევ უფრო არბილებდა.

იმხანად ასეთი სექტების არსებობა მიჯვანიშნებს, თუ რამდენად მომწიფებული იყო ის ეპოქა ქრისტეს საიდუმლოების მისაღებად. მისტერიები ადამიანს ხელოვნური გზით განამზადებდნენ, რათა განვითარების გარკვეულ საფეხურზე მის საფშეინველში უმაღლეს სულიერ სამყაროს გაეღვიძა. ესეველთა და თერაპევტთა საძმოებში ადამიანის საფშეინველი საკუთარი ცხოვრების წესის სათანადო გარდაქმნითა და შეცვლით თავისი მომწიფებისათვის, თავის თავში „უმაღლესი ადამიანის“ გამოღვიძებისათვის იღწვოდა. ხოლო მომდევნო ნაბიჯი იმ ფაქტის წინასწარი შეგრძნება გახლდათ, რომ ადამიანის ინდივიდუალობას მიწიერ ცხოვრებათა განმეორებად ცვლაში სრულყოფილების ხელ უფრო და უფრო მაღალ საფეხურზე ასვლა ხელეწიფებოდა. ის, ვისაც ეს წინათგრძნობა გააჩნდა, უკვე შეეძლო იესოში მაღალსულიერი ინდივიდუალობის გამოვლინება აღექვა. რამდენადაც მაღალია სულიერება, იმდენად მას ღიადი საქმის აღსრულების ძალაც შესწევს. ამიტომაც იესოს ინდივიდუალობას ხელეწიფებოდა იმ ქმედების განხორციელება, რომელზედაც ასე იღუშადად მიჯვანიშნებენ სახარებანი, როდესაც იოანეს ნათლისღების ამბავს აღვვიწყრენ. ის, თუ როგორ აღწერენ ნათლისღების ამბავს სახარებანი, ამ ფაქტის უდიდეს მნიშვნელობაზე შეტყვევებს — იესოს პიროვნებამ შესძლო საკუთარ საფშეინველში ქრისტე, ღოგოსი მიეღო, ისე, რომ იგი მასში ხორცად იქცა. ქრისტეს მიღების მომენტიდან იესო ნაზარეველის „მე“ უკვე ქრისტეა, ხოლო გარე პიროვნება — ღოგოსის მატარებელი. იოანეს ნათლისღებაში სწორედ ეს მოვლენაა აღწერილი — ქრისტე გახდა იესოს „მე“. მისტერიათა ეპოქაში „სულთან შერწყმა-შეერთება“ მხოლოდ ხელდასხმულთა მცირე რიცხვისთვის იყო მისაწვდომი. მოგვიანებით, ესეველთა მთელი საძმო ცხოვრების განსაკუთრებული წესის შემკვრობით იმისკენ ისწრაფოდა, რომ მის წევრებს ღვთაებრივთან

შერწყმა შეძლებოდათ. ხოლო ქრისტიანობაში მთელ კაცობ-
რიობას ემცნო, განეცხადა ისეთი რამ, — კერძოდ, ქრისტეს
ხაქმენი, — რაც ღვთაებრივთან „შერწყმას“, დამერთთან კვე-
შირს მთელი კაცობრიობის შემეცნების საგნად გადააქცევდა.

ქრისტიანობის არსის შესახებ



საქართველოს
ქრისტიანობის
მეცნიერებათა
აქადემია

ქრისტიანობის მიმდევრებზე უდავოდ უღრმესობა შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა იმ ფაქტს, რომ იმიერნიდან დღითაებრივი სიტყვა, მარადიული ღოგოხი მათ წინაშე აღარ წარმოდგებოდა მიხტერიათა იღუმალ ბინდში, როგორც წმინდა სულიერი არსი, არამედ ღოგოსზე ხაუბრისას მათ შეეძლოთ თავიანთი მზერა იესოს ისტორიული ადამიანური პიროვნებისადმი მიემართათ. ხოლო ქრისტიანობამდე ღოგოსის აღმოჩენა რეალობის ფარგლებში შესაძლებელი იყო მხოლოდ ადამიანური სრულყოფისა და განვითარების გარკვეული საფეხურებისა, თუ ხარისხების სახით. აკვირდებოდნენ რა პიროვნების სულიერ ცხოვრებაში მიმდინარე ძალზე უნატიფეს ინტიმურ ცვლილებებს, მათ შეეძლოთ დაენახათ, თუ რა ვზით და რაოდენ იღვიძებდა, ცოცხლდებოდა ღოგოსი ცალკეულ პიროვნებაში, რომელიც ხელდასხმას ესწრაფვოდა. ადამიანის საფშეინველის ხიმწიფის უმაღლესი ხარისხი სულიერი ყოფიერების უმაღლეს საფეხურად აღინიშნებოდა. შინაგანი განვითარების განვლილ საფეხურებს წინა სულიერ ცხოვრებაში ეძიებდნენ, ხოლო აწმყო ცხოვრებას მომავალი სულიერი განვითარების წინასწარშემზადებად რაცხდნენ. საფშეინველის სულიერი ძალის შენარჩუნებას და მის უწყვეტელობას დროთა ვითარებაში, ამ ძალის მარადიულობას იუდეველთა ფარული მოძღვრებაც ადასტურებდა (წიგნი ზოხარ): „ამ სამეაროში არაფერი ნადგურდება და არც რაიმეა ამქვეყნად არარაობის მსხვერპლი, თვით ადამიანის წარმოთქმული სიტყვებიც და ხმაც კი არ იკარგება და სამუდამოდ არ ქრება. ყველაფერს თავისი ადვილი და დანიშნულება აქვს“. მათქული თვალსაზრისით პიროვნება მხოლოდ საფშეინველის მეტამორფოზა გახლდათ, რომელიც პიროვნებიდან პიროვნებად გარდისახებოდა. პიროვნების ცალკეული ცხოვრება მხოლოდ ერთიანი ჯატვის რვოლად ესახებოდათ, რომელიც წარსულიდან მომავალში ვრძელდებოდა. ხოლო ქრისტიანობაში კი ცალ-

კეულ პიროვნებებში ნაწილობრივ გამოვლენილ ცვლილებებს, მეტამორფოზებს დაქვემდებარებული ღვთისმშობლის ერთადერთ, ერთიან პიროვნებაში გამოვლიანდა. იესოში თავი მოიყარა იმან, რაც მანამდე მთელს სამყაროში იყო განაწილებული. იესო ერთადერთ ღმერთკაცად იქცა. მაშასადამე, იესოში ერთადერთხელ განხორციელდა რაღაც არსი, რომელიც შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც ის უმაღლესი იდეალი, რომელსაც ადამიანი ცხოვრებათა მონაცვლეობაში სულ უფრო და უფრო მიეახლება, რათა საბოლოოდ შეერწყას. მაშასადამე, იესომ მთელი კაცობრიობის გაღმერთება იტვირთა. იმიერიდან მასში ეძიებდნენ იმას, რისი მიცვლევაც მანამდე მხოლოდ საკუთარ საფშვინველში იყო შესაძლებელი. ადამიანის პიროვნებას წაერთვა ის, რაც მანამდე მასში ყოველთვის შეინიშნებოდა, როგორც ღვთაებრივი, მარადიული. მარადიული იმიერიდან შევძლოთ იესოში ეჭვრიტათ. და სიკვდილზე უკვე საფშვინველში არსებული მარადიული კი არ იმარჯვებს, ანდა საკუთარი ძალით განიდვიტებს ვითარცა ღვთაებრივი — დღეს ის, ვინც იყო იესოში ერთიანი, ერთადერთი ღმერთი, გამოცხადდება და გამოადვიტებს საფშვინველებს. ამ ცვლილებით პიროვნებას სრულიად ახლებური მნიშვნელობა მიენიჭა. მას წაერთვა მარადიული და უკვდავი. პიროვნება, როგორც ასეთი, მხოლოდ საკუთარ ნებას მიხდობილი აღმოჩნდა. ხოლო ყოველივე მარადიულის უარყოფაში რომ არ გადიტრას, ადამიანმა უკვდავება თავად საკუთარ პიროვნებას უნდა მიანდროს. საფშვინველის მარადიული სახეცვლილების — მეტამორფოზის რწმენიდან დღეს პირადი უკვდავების რწმენა ამოიზარდა. იმიერიდან პიროვნებამ უსასრულოდ დიდი მნიშვნელობა შეიძინა, რადგან იგი ერთადერთია, რაც ადამიანს დარჩა. — დღეს ადამიანის პიროვნებასა და უსასრულო, დაუსაბამო ღმერთს შორის აღარაფერი დგას. ყოველ ადამიანს ღმერთისადმი უშუალო დამოკიდებულება უნდა გაუნდეს. აღარავის ძალუქს მეტად თუ ნაკლებად საკუთარი თავი თვითონ გაღმერთოს. თითოეული უბრალოდ ადამიანია და



ღმერთისადმი უშუალო, მაგრამ გარე მიმართება ვაძინებო
 ხოლო რაც შეეხება იმ ადამიანებს, ვინც უძველეს მისწრაფ
 ტერიათა თვალსაზრისს იცნობდნენ, მათ მიერ ეს უძველესი
 უთუოდ მსოფლმხედველობის, სამყაროს კვრეტის სრულიად
 ახალ ხაზად აღიქმებოდა. ასეთი რამ ქრისტიანობის პირველ
 ხანებში ბევრს ემართებოდა. მართალია, მათთვის ცნობილი
 იყო მისტერიები, მაგრამ რაკილა სურდათ, რომ ქრისტიანები
 გამხდარიყვნენ, ძველი აზროვნების წესი უნდა
 უგულვებელყოთ. უეჭველია, ეს მათში დიდ შინაგან
 ბრძოლას იწვევდა. იხინი სრულიად განსხვავებული გზებით
 ცდილობდნენ შეერიგებინათ მსოფლმხედველობის ეს ორი
 პოზიცია. ხსენებული ბრძოლა ქრისტიანობის პირველი საუ-
 კუნეების ნაწარმოებებშიც აისახა. ამ თემაზე წერდნენ რო-
 გორც წარმართი ავტორები, რომელნიც ქრისტიანობის სი-
 მალევე მიიზიდა, ასევე ქრისტიანებიც, რომლებსაც მისტე-
 რიების თვალსაზრისის მიტოვება უჭირდათ. ამ ნაწარმოე-
 ბებში ქრისტიანული მრწამსი, ქრისტიანული რწმენა მის-
 ტერიული ჭეშმარიტებების ფორმითაა გადმოცემული. მის-
 ტერიული სიბრძნე ქრისტიანული გამოთქმებით, სენტენციე-
 ბით იმოსება. მაგალითისათვის შეიძლება კლიმენტ ალექ-
 სანდრიელი დავასახელოთ, წარმართულ სიბრძნეს ნაზი-
 არები, ანტიკურად განათლებული ქრისტიანი მწერალი (გარდ.
 217 წ. ქრისტეს შემდეგ): „ღმერთს არ აუკრძალავს ჩვენთვის
 შაბათის დღეხასწაულზე კეთილი საქმისაგან დაეისვენოთ,
 ხოლო მათ, ვისაც შეუძლია დაიტოვოს, ნება დართო, დვთაებ-
 რიე საიდუმლოებებში და წმინდა ნათელში იმონაწილეონ.
 მან ბრბოს არ გაუმხილა ის, რისი ცოდნაც არ მართებს, არა-
 მედ მხოლოდ მცირერიცხოვან ადამიანებს განუცხადა ჭეშმა-
 რიტება, რომელთა შესახებაც იცის, რომ ღირსნი არიან და
 შეუძლიათ დაიტონ და საკუთარი თავი აღზარდონ, თანახ-
 მად იმ ენით გამოუთქმელი ჭეშმარიტებისა, რომელიც ღმერ-
 თმა ღოგოსს ანდო და არა წერილებს. ღმერთმა ეკლესიას
 ერთნი უძღვნა როგორც მოციქულნი, მეორენი როგორც
 წინასწარმეტყველნი, მესამენი როგორც მახარებელნი,

ხოლო სხვები როგორც მწიგნობარი და მოძღვარნი წმინდანთა სრულყოფად და დასახვეწად, მსახურების აღსასრულეზად, ქრისტეს სხეულის შენებად“. იმ პერიოდში ესა თუ ის პირი-ნება სრულიად განსხვავებულად ეძიებს ანტიკური შეხედუ-ლებებიდან ქრისტიანული მსოფლმხედველობისაკენ მიმავალ გზებს. ის, ვისაც მიაჩნია, რომ სწორ გზაზე დგას, დანარჩენებს ცრუ მოძღვრებს, ცრუ მასწავლებლებს უწოდებს. ამასთანა-ვე, ეკლესია სულ უფრო და უფრო მკვიდრდება, როგორც გარე ინსტიტუტი. დროთა ვითარებაში, რამდენადაც ეკლესიის ძა-ლაუფლება იზრდებოდა, მათ უფრო მეტად ეკლესიის პირად ხულიერ ეკლესიას თავად ეკლესიის მიერ სწორად მიჩნეული გზა, რომელიც გარეგნულად საეკლესიო კრებათა გადაწყვე-ტილებებით იყო განმტკიცებული. ეკლესია თავად ხედავდა, თუ ვინ უფრო მეტად გადაიხარა მის მიერ დაცული ღვთაებრივი ტრადიციებიდან. „ცრუმოდვრის“ ცნება სულ უფრო კონკ-რეტულ, განსაზღვრულ სახეს ღებულობდა. ქრისტიანობის პირ-ველ საუკუნეებში ღვთაური გზის ძიება გაცილებით უფრო პირა-დულ საქმეს წარმოადგენდა, ვიდრე მოგვიანებით. კაცობრიობას გრძელი გზა უნდა განეკვლია, სანამ შესაძლებელი გახდებოდა ავგუსტინეს ასეთი რამეთქვა: „მე არ ვერწმუნებოდი სახარებათა ტრადიციებს, უკეთუ ამისკენ კათოლიკური ეკლესიის ავტო-რიტეტი არ მიბიძგებდა“ (იხ. გვ. 86).

ბრძოლას ქრისტიანულ სულსა და მისტერიების სულს შორის განსაკუთრებული ბეჭედი დაასვეს სხვადასხვა „გნო-სტიკურმა“ სექტებმა და ავტორებმა. გნოსტიკოსებად შეგვიძ-ლია ჩავთვალოთ ქრისტიანობის პირველი საუკუნეების ევე-ლა ის მწერალი, რომლებიც ქრისტიანული მოძღვრების გან-საკუთრებულ, უფრო ღრმა ხულიერ აზრს ეძებდნენ. (გნოზი-სის განვითარებას დიდებულად გადმოგვეცემს შემოთნახსენე-ბი Mead-ის წიგნი.) გნოსტიკოსების სწორად გაგება ნიშნავს, შევხედოთ მათ როგორც მისტერიათა უძველესი სიბრძნით განმსჭვალულ ადამიანებს, რომლებიც ამ თვალსაზრისიდან ესწრაფვოდნენ ქრისტიანობის წვდომას. ქრისტე მათთვის ღვთაებრივი და, როგორც ასეთი, იგი, უპირველეს ყოვლისა,

ხულიერია და ამრიგად თავის დასაბამიერ, პირველად არსობრიობაში ქრისტე ადამიანს გარეგან ვერ მიუახლოვდება, მან საფუძვინველში უნდა გამოიღვიძოს. მაგრამ იესოს ისტორიულ პიროვნებასაც რაღაც დამოუკიდებლობა უნდა ჰქონდეს ხულიერ ღოგოსთან. სწორედ ამის გაგება სურდათ გნოსტიკოსებს. ეს იყო ძირითადი და უმთავრესი გნოსტიკურის კითხვა. მოუხედავად იმისა, თუ როგორ და რა გზით სცემდა ამ კითხვას პასუხს სხვადასხვა პიროვნება, მთავარი აზრი იმაში მდგომარეობდა, რომ ქრისტეს იღვის ჭეშმარიტ გაგებასთან ადამიანს უბრალო ისტორიული გადმოცემა ვერ მიიყვანდა, არამედ გზა ამ იღვის შესაყნობად მისტერიების სიბრძნეში, ანდა მასთან საერთო სათავის მქონე ნეოპლატონიკურ ფილოსოფიაში უნდა მოეპოვებინათ, რომელმაც თავის აუჯაყებას სწორედ ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში მიაღწია. გნოსტიკოსები ადამიანურ სიბრძნეს ენდობოდნენ და მიაჩნდათ, რომ მას ქრისტეს შობა ხელეწიფებოდა, რომელიც თვითონ იქნებოდა ისტორიული ქრისტეს განმსახლვრელი. უფრო მეტიც: მხოლოდ და მხოლოდ ამ პოზიციითა და თვალსაზრისით გახდებოდა თვითონ ისტორიული ქრისტეც გასაგები და ჭეშმარიტების შუქში პირველად წარმოდგებოდა.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოძღვრებას, რომელსაც დიონისე არეოპაგელის წიგნებში ეპოულობთ. მართალია, ეს თხზულებები პირველად მხოლოდ შეექვსე საუკუნეში მოიხსენიება, მაგრამ მთავარია არა ის, თუ როდის და სად იყო ისინი დაწერილი, არამედ ის ფაქტი, რომ ეს წიგნები ქრისტიანობის ისეთ გადმოცემასა თუ ინტერპრეტაციას შეიცავენ, რომელიც მთლიანად ნეოპლატონიკურ შეხედულებებს ემყარება და ხულიერი სამყაროს შინაგანი ჭვრეტიდან გამომდინარეობს. ყოველ შემთხვევაში, გადმოცემის ასეთი ფორმა დამახასიათებელია ქრისტიანობის პირველი საუკუნეებისთვის. ოღონდ თავდაპირველად ეს იღვები ზეპირი ტრადიციის გზით გადაიცემოდა, რადგანაც ძველად სწორედ უმთავრესა და უმნიშვნელოვანებს წერალებს არ ანდობდნენ. ამ თხზულებებში გამოსახული ქრისტიანობის

არსი ერთგვარად ნეობლატონიკური მხოფდმხედველობის
სარკვეში წარმოვიდგება. გრძნობადი აღქმა ადამიანს სულიერ
ჭერეტას უძნელებს. ამიტომაც ადამიანი გრძნობადზე უნდა ამა-
ღლდეს. ამასთანავე, ყველა ადამიანური ცნება თავდაპირველად
გრძნობადი დაკვირვებიდან მიიღება. გრძნობადი ადამიანი არსე-
ბულს იმას უწოდებს, რასაც აკვირდება, მაგრამ უკეთო მას ხერს
საკუთარ ჭერეტას ღვთაებრივისკენ ჭეშმარიტი გზა გაუხსნას,
იგი არსებულზეც და არარსებულზეც უნდა ამაღლდეს, რადგან
ეს უკანასკნელიც მისი გრძნობადი აღქმის ხეფროდან მომდინა-
რობს. ამ თვალსაზრისით ღმერთი არც არსებულა და არც
არარსებული, იგი ზე-არსებულა. ამიტომ ღმერთს შემეცნების
იმ ჩვეულებრივი ზერზებით ვერ ჩავწვდები, რომელიც მხოლოდ
არსებულს ეხება. საჭიროა საკუთარ თავზე, გრძნობად დაკვირ-
ვებაზე, განსჯით ღოვოკაზე ამაღლება და სულიერ ჭერეტისკენ
გადასახველელი გზის პოვნა; მხოლოდ მაშინ შეუძლია ადამიანს
წინასწარმეტყველურ განჭერეტაში თავისი მინაგანი მზერა
ღვთაებრივის ხეფროსკენ მიმართოს. მაგრამ ზე-არსებულმა
ღვთაებამ სიბრძნით აღსავსე სამყაროს საწყისი — ღოვოსი შვა-
მისი წყდომა კი ადამიანის დაბალ შემეცნებით უნარსაც ძაღუძს.
ღოვოსი, როგორც ღმერთის სულიერი ძე, არსებულ სამყარო-
შიც ცხოვრობს, სამყაროს შემოქმედებაშიც ეღინდება. იგი შე-
ამაჯალია ღმერთისა და ადამიანს შორის. ღოვოსი შეიძლება
ადამიანშიც გამოვლინდეს, როგორც სრულყოფილების სხვა-
დასხვა საფეხური. ღოვოსის ხორცშესხმა და განკაცება ხაერო
დაწესებულებებსაც ძაღუძს, რომელიც მის მიერ აღეხილ ადა-
მიანებს იერარქიაში აერთიანებს. ასეთი „ეკლესია“ გრძნობადი
რეალური ღოვოსია. ძაღა, რომელიც მასში ცხოვრობს, ერთ
დროს პიროვნულად იესოში, ანუ განსხეულებულ ქრისტეში
არსებობდა. მასში ვკლესია ხაკუთარ განსრულებას და საკუ-
თარ აზრს ჰოეებს.

გნოსტიკოსებს ესმოდათ, რომ მათთვის აუცილებელი იყო
იესოს პიროვნების იღვის ვათეოტცნობიერება. მთავარი იყო
ქრისტესა და იესოს შორის კავშირის, ურთიერთმიმართების

დადგენა. ადამიანის პიროვნებას ღვთაებრივობა წაერთუა და აუცილებელი იყო ამ ღვთაებრივობის ამა თუ იმ გზით მოპოვება. აუცილებლად უნდა არსებულიყო შესაძლებლობა, ღვთაებრივი ხელახლა მოუპოვებინათ იესოში. ძველი დროის მისტი ეხებოდა ღვთაებრივობის გარკვეულ ხარისხს თავის თავში და საკუთარ გრძნობად პიროვნებას. ქრისტიანისთვის კი ამ ვაგებით, ერთის მხრივ, პიროვნება დგას და, მეორეს მხრივ, სრულყოფილი, ყოველივე ადამიანურ წევრობას აღმატებული ღმერთი. თუკი ამ თეალსაზრისს მტკიცედ დავადგებით, მაშინ აქედან გამომდინარეობს, რომ ადამიანის საფუძვინველის მთავარი ძირითადი მისტიური განწყობილება, როდესაც იგი თავის შიგან ღვთაებრივს შეიგრძნობს და აღიქვამს, მხოლოდ მაშინ წარმოიქმნება, უკეთუ საფუძვინველი, მკოვებს რა საკუთარ თავში უმაღლეს სულიერებას, შინაგანი ტვრეტის უნარს იმ ნათლისგან ღებულობს, რომელიც იესოში გაცხადებულ ქრისტესგან მომდინარეობს. საფუძვინველის შეერთება ანუ შერწყმა საკუთარ უმაღლეს ძალებთან ამავე დროს ისტორიულ ქრისტესთან შერწყმას ნიშნავს, რამეთუ მისტიკა ხწორედ საკუთარ საფუძვინველში ღვთაებრივის უშუალო შეგრძნებასა და აღქმას გულისხმობს. ხოლო ღმერთი, რომელიც ყოველივე ადამიანურზე მაღლა დგას, საფუძვინველში ვერასოდეს ვერ იარსებებს, ამ ხიტყვის ტეშმარიტი მნიშვნელობით. ვნოხისი, ისე როგორც მთელი შემდეგში ქრისტიანული მისტიკა, ისწრაფვის ამა თუ იმ გზით ღმერთი უშუალოდ ადამიანის საფუძვინველთან დაახლოვოს. ამავე დროს, სწორედ ეს ვახლდათ მუდმივი ბრძოლის გამომწვევი მიზეზი, რადგან ადამიანს სინამდვილეში ყოველთვის მხოლოდ თავისი ღვთაებრივის პოვნა, აღმოჩენა ხელეწიფებოდა, ეს ღვთაებრივი ყოველთვის ადამიანური ღვთაებრივი ვახლდათ — ღვთაებრივი, რომელიც განვითარების გარკვეულ საფეხურზე იდგა (ხოლო ქრისტიანული ღმერთი განსასღვრული და თავის თავში განსრულებული ღმერთია. შესაძლოა ადამიანმა საკუთარ თავში საკმარისი ძალა მკოვოს, რათა ამ ღმერთისგან აღმასვლა შესძლოს, მაგრამ ვერაერთად ფუძვინველერ განცდას, ვერაერთად ფუძვინველერ გამოცდილებას ამ ღმე-

რთთან ვერ გაიგივებს; ანუ ვერ განსაზღვრავს როგორც
იხეთ რადიკას, რაც მასთან თანაერთიანია. ამრიგად, წარმო-
იქმნა უფსკრული, რომელმაც გაპო, ერთის მხრივ, ის რაც
საფშენიველში შეიცნობა და, მეორეს მხრივ, ის, რასაც ქრის-
ტიანობა აღნიშნავს როგორც ღვთაებრივს. ანუ სხვაგვარად
რომ ვთქვათ, ეს არის უფსკრული ცოდნასა და რწმენას, შე-
მეცნებასა და რელიგიურ ვრძნობას შორის. ძველი დროის
მისტიციზმის ასეთი უფსკრული ვერ იარსებებდა. მართალია,
მან იცოდა, რომ ღვთაებრივამდე მხოლოდ თანდათანობით
ძალუძდა მისვლა, მაგრამ ისიც უწყოდა, თუ რატომ იყო ეს
ასე. მისთვის ნათელი იყო, რომ ღვთაებრივისკენ თანდათანო-
ბით აღმასვლაში ჭეშმარიტი, ცხოველმყოფელი ღვთაებრივი
საწყისი მაინც გაჩნდა და ამიტომ მისთვის ძნელი იყო ვლად-
პარაკა ხრულყოფილ და თავის თავში განსრულებულ ღმერ-
თზე. ასეთი მისტი სულაც არ ესწრაფვოდა ხრულყოფილი
ღმერთის შეცნობას, არამედ მას ღვთაებრივი ცხოვრების გა-
მოცდილების შეძენა სურდა. მას თავად ეწადა გაღმერთება
და, ამრიგად, არ სურდა ღმერთისადმი ვარე მიმართება პქო-
ნოდა. მაშასადამე, მიზეზი იმისა, რომ ქრისტიანული მისტიკა
ამ თვალსაზრისით უწინაპირობო არ ყოფილა, თავად ქრისტი-
ანობის არსში დევს ქრისტიან მისტიკოსსაც სურს თავის თავში
ღვთაება ჭვრიტოს, მაგრამ ამასთანავე მან თავისი მზერა ისტო-
რიულ ქრისტესკენ უნდა მიმართოს, მსგავსად იმისა, როგორც
ფიზიკური თვალის მიმართავს მზეს. ფიზიკურ თვალს შეეძლო
საკუთარი თავისთვის ვთქვას მზის მეშვეობით ვხედავ მე იმას,
რისი დანახვაც ძალში მ ჩემი ძალებიდან გამომდინარე. ქრის-
ტიანი მისტიკოსიც ასევე მიმართავს საკუთარ თავს: ჩემი საფშ-
ენიველის შინაგან ხილრმეს მე ღვთაებრივ ჭვრეტამდე აღვამა-
დლებ, ხოლო ნათელი, რომელიც ასეთი ჭვრეტის შესაძლებლო-
ბას მაძლევს, მოცემულია ქრისტეს მოვლენაში, ქრისტეს გამო-
ცხადებაში მის მიერ მე ჩემს საკუთარ თავში შემიძლია უზენა-
ესამდე აუმაღლდე. სწორედ ამაში მდგომარეობს შუასაუკუნე-
ების ქრისტიანული მისტიკოსების განსხვავება უძველესი მის-
ტიკოების მისტებისაგან (იხ. ჩემი წიგნი „მისტიკა“).

ქრისტიანობა და წარმართული სიბრძნე



იმ ეპოქაში, როდესაც ქრისტიანობა თავის პირველ ნაბიჯებს დგამდა, ანტიკური წარმართული კულტურის წიაღში რამოდენიმე მსოფლმხედველობა ჩამოყალიბდა, რომლებიც პლატონიზმის იდეების შემდგომ განვითარებას წარმოადგენდა. შეგვიძლია ეს მსოფლმხედველობები შინაგანად გაღრმავებულ, ადამიანის სულში გარდაქმნილ და დამუშავებულ მისტერიების სიბრძნედაც ჩავთვალოთ. აღნიშნული მსოფლმხედველობრივი იდეები აღუქსანდრეული ფილონისგან მომდინარეობს. (25 წ. ქრ.მდგ - 50 ქრ.შემდგე). მოვლენები, რომლებიც მისტერიებში ადამიანის ღვთაებრივთან მიახლოებას უმსახურება, ფილონს საფშვინველის უღრმეს წიაღში გადააქვს და შინაგან ფშვინვიერ პროცესებად წარმოგვიდგენს. შეიძლება ითქვას, მისტერიათა ტაძარი, სადაც ფილონი ხელდასხმას ეძიებს, მთლიანად და მხოლოდ და მხოლოდ მისი საფშვინველის შინაგან სიღრმეში იშუოება და უმაღლეს ფშვინვიერ განცდებში არსებობს. ფილონი წმინდა სულიერი პროცესებით ცვლის იმ სარიტუალო წესებს, რომლებიც მისტერიათა საწმიდარეში სრულდებოდა. მისი რწმენით ადამიანის ღვთაებრივთან მიახლოება არც ვრძნობად აღქმას და არც ლოგიკურ განხვით შემეცნებას არ შეუძლია, რადგან ეს შემეცნებითი ხერხები მხოლოდ წარმავალს ეხება. მაგრამ საფშვინველისთვის იმის შესაძლებლობაც არსებობს, რომ ამგვარ შემეცნებაზე ამაღლდეს. საფშვინველმა თავი უნდა დააღწიოს იმას, რასაც თავის ჩვეულებრივ „მე“-ს უწოდებს. იგი საკუთარი „მე“-დან ატაცებულ უნდა იქნას. და მამის საფშვინველი სულიერი აღტაცებისა და გახიზვისების მდგომარეობას მამის დაიუფლებს, როდესაც მან აღარაფერი იცის, აღარაფერს ფიქრობს და აღარაფერს იმეცნებს, ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით, რამეთუ ამიერიდან იგი ღვთაებრივს შეეხარდა და მასთან ერთად არსად იქცა. იგი ღვთაებრივს განიცდის, როგორც ისეთ რაღაცას, რისი აზრებად ჩამო-


ვალიბება, ანდა ცნებების სახით გადმოცემა შეუძლებელია, რადგან ღვთაებრივი მან შეიძლება მხოლოდ განიცადოს და ვინც მას ამგვარად აღიქვამს, ისიც კარგად უწყის, რომ თავის გამოცდილებას ვერაყის გაუხიარებს. ღვთაებრივთან მიახლეობის ერთადერთი გზა, ერთადერთი შესაძლებლობა არსებობს; ადამიანმა თავად უნდა განიცადოს იგი, სამყარო, მთელი ქვეყნბერება იმ მიხტოური არსობრიობის ანარეკლია, რომელსაც ადამიანი თავისი საფშენეელის უღრმეს სამაღავეებში, დაფარულ წიაღში განიცდის და შეივრძნობს. ხოლო თავად ეს არსობრიობა თვით უხილავი, შეუცნობელი ღმერთისგან იშვა. ამ ღვთაების უშუალო ხატი და სახებაა სიბრძნით აღეხილი სამყაროსეული კოსმიური პარმონია, რომელსაც ვრძნობადი მოუღუნები ცაღდაკვალ მისდევენ და ბაძავენ. ეს პარმონია ღვთაების სულურიმსგაეხება. სწორედ იგია სული, რომელიც სამყაროში განიდვარა სამყაროსეული ვონიერება, ლოგოსი, ანუ ღმერთის ძე. ლოგოსი შუამავალია ვრძნობად სამყაროსა და ყოველგვარი წარმოდგენისათვის მუწვდომელ ღმერთს შორის. რამდენაღაც ადამიანი შემეცნებით იმსჭვალუბა და აღივსება, იმდენად ვრწყმის იგი ლოგოსს. მასში ლოგოსი ხხუღლდება. პიროვნება, რომელიც სულურებამდე ამადლდა, თავის თავში ლოგოსს ატარებს. ლოგოსზე მადლა ღმერთი დვას. მის ქვემოთ წარმავალი სამყაროა. ადამიანი მოწოდებულია მათ შორის შემავრთებელ ხიდად იქცეს. ის, რასაც ადამიანი თავის თავში განიცდის როგორც სულს, ამავე დროს, სამყაროსეულ კოსმიურ სულსაც წარმოადგენს. ფილონის შეხედულებები უნებურად პითავორულთა წარმოდგენებსაც გვავონებს (იხ. გვ. 41). ვოფიერების ბირთვის ადამიანი შინავან ცხოვრებაში ებიებს. მავრამ თავად შინავანი ცხოვრება თავის კოსმიურ დანიმწუნლებას, თავის კოსმიურ შინაარსს აცნობიერებს. ავეუსტინეს ერთ-ერთი ცნობილი გამოთქმა ფილონის შეხედულებების არსობრივად მონათესავე თვალსაზრისიდან იშუაყველა შექმნელ სავანს წყენ იმიტომ ვხედავთ, რომ ისინი არსებობენ, მავრამ ისინი არსებობენ, რადგან ღმერთი ხედავს მათ“. შემდეგ იგია ვანმარტავს, თუ რას ხედავს ადა-

მიანი და რის შემდეგობით. — „და რამდენადაც ისინი არსებობენ, ჩვენ მათ გარეგნულად ვხედავთ, ხოლო რადგან სრულყოფილები არიან — შინაგანად ვჭკრეტთ“. იგივე ძარითადა თვალსაზრისი პლატონთანაც ვხვდება (იხ. გვ. 44). ფილონი მთლიანად პლატონის სულისკეთიდან გამოდის, როდესაც ადამიანის საფშენველის ბედის წერაში უდიდესი სამყაროსეული დრამის განსრულებას, მონუსხული ღმერთის გამოღვიძლებას ხედავს, საფშენველის შინაგან განცდებს ფილონი ასე აღწერს: „ადამიანის საფშენველში არსებული სიბრძნე, მამის გზების მიბაძვით ჭკრეტს რა პირველსახეებს, ფორმებს ქმნის“. მამასადაძე, როდესაც ადამიანი თავის შინაგან ხატ-სახეებს ქმნის, ეს მხოლოდ მისი პირადი საქმე როდი გახლავთ. ეს ხატ-სახეები არსობრივად მარადიულ ღვთაებრივ სიბრძნეს წარმოადგენს, კოსმიურ ცხოვრებას იმეორებს. ეს თვალსაზრისი ზუსტად ეხმანება ხალხური მითების მისტიურ გავრცელებას. ძველი დროის მისტი მითებში ჭეშმარიტების უდრძეს მარცვალს ეძიებდა (იხ. გვ. 60). ფილონი ბიბლიური შესაქმნის ისტორიის მიმართ იგივე დამოკიდებულება გააჩნია, რასაც მისტი წარმართულ მითებისაღში იხნდა. ძველი აღთქმის მოწმობები მისთვის შინაგანი ფშენვეური განცდების ხატ-სახეებს წარმოადგენს. ბიბლია სამყაროს შექმნასა და წარმოსობაზე მოგვითხრობს. ის ვინც ბიბლიას მარტოოდენ გარე მოვლენების გადმოცემად მიიხნევს, მხოლოდ სანახევროდ იცნობს მას. მართალია, ბიბლიაში კეთილბედობით: „თავდაპირველად ღმერთმა შექმნა ცა და მიწა. მიწა იყო უსახო და უდაბური, ბნელი იყო უფსკრულზე და ხელი ღვთისა იძროდა და წყლებს ზემოთ“. მაგრამ ამ სიტყვების ჭეშმარიტი შინაგანი აზრი საფშენველის წიად უნდა იყოს განცდილი. ღმერთი საკეთარი საფშენველის წიად უნდა მყოფო და მაშინ იგი გამოცხადდება, როგორც „მარადიული, დასაბამიერი ნათელი, რომელიც უთვალავ სხივებს გამოსცემს და რომელიც ვრძნობებით ვერ აღიქმება, არამედ მხოლოდ ერთიანობაში განიხილება“. ასე ვეასწავლის ფილონი. თითქმის ბიბლიის გამეორებაა პლატონის დიალოგი „ტიმოხოსაც“: „და აი, როდესაც მამამ ხამ-

ყარო შექმნა, შეხედა მას და დაინახა, რომ იგი სიცოცხლო
აღსავსეა და მოძრავია, და რომ მარადიული ღმერთების ხატად
იქნა და შემოქმედმა კეთილგანწყობა ივრძნო მის მიმართ.
ხოლო ბიბლიაში ვკითხულობთ: „და დაინახა ღმერთმა, რომ
კარგი იყო“. როგორც პლატონთან, ასევე მისტერიების
სიბრძნეშიც ღვთაების შეცნობა ნიშნავს — ადამიანმა სამყაროს
შექმნის პროცესი განიცადოს, როგორც საკუთარი საფუძვინ-
ველის ბუდი, მისი ისტორია. ამრთავდ, სამყაროს შექმნის
ისტორია და გაღმერთების მაძიებელი საფუძვინველის ისტორია
ერთმანეთს ემთხვევა. ფილონის აზრით, მოსეს მოწმობა სამყა-
როს შექმნის შესახებ შეიძლება ღმერთის მაძიებელი
საფუძვინველის ისტორიის დასაწერად გამოვიყენოთ. აქედან გა-
მომდინარე, ბიბლიის მთელი შინაარსიც, ღრმა სიმბოლურ
მნიშვნელობას იძენს, ხოლო ფილონი ხსენებული შინაარსის
განმმარტებელად წარმოვიდგება. იგი ბიბლიას კითხულობს,
როგორც ადამიანის საფუძვინველის ისტორიას.

შეიძლება ითქვას, ბიბლიის ასეთი ინტერპრეტაციით ფი-
ლონი თავისი დროის ერთ გარკვეულ ნიშანდობლობას ეხ-
მიანება, რომელიც მისტერიათა სიბრძნიდან არის ნახესხები.
მან ზუსტად ასეთივე განმარტების ზერხი აღმოაჩინა თერაპე-
ვტებთანაც. — „თერაპევტებს შემოუნახავთ ძველი დროის იმ
მწერლების თხზულებები, რომლებიც ერთ დროს მათ სკოლას
ხელმძღვანელობდნენ. ეს თხზულებები ალევგორიულ ნაწარ-
მოებებში გამოყენებული მეთოდების მრავალ განმარტებას
შეიცავს... წმინდა წერილის მათეული განმარტებები მიმარ-
თულია ალევგორიული ნაწარმოებების უფრო ღრმა და დაფა-
რული აზრის გამოხავლენად“. (იხ. გვ. 117). მსგავსადვე, ფი-
ლონის მეთოდიც ძველი აღთქმის „ალევგორიული“ ნაწარმოებ-
ების უფრო ღრმა ფარული აზრის გამოვლენას ისახავს მიზნად.

მოდით, წარმოვიდგინოთ, თუ ხაით მიუყვართ განმარტე-
ბას ასეთ მეთოდს. ბიბლიის სამყაროს შექმნის ისტორიის
კითხვისას ჩვენ არა მხოლოდ გარეგნულ ამბავს ვვებულობთ,
არამედ შევკვიდვართ იმ გზების პირველსავე აღმოვაჩინოთ.



რომელთაც საფშვინველი უნდა მიხეცებოდეს, უკეთუ ღვთაე-
ბრების მიღწევას ღამობს. მაშასადამე, საფშვინველმა თავის
თავში ღვთაებრივი გზები უნდა გაიმუროს — მხოლოდ ამასში
შეიძლება გამოიხატოს მისი მისტიკური ლტოლვა სიბრძნი-
სადმი. ყოველი ადამიანის საფშვინველში სამყაროსეული
დრამა უნდა გათამამდეს. მისტიკოსი ბრძენის ფშვინველი
ცხოვრება სწორედ სამყაროს შექმნის ისტორიაში წინასწარ-
განსაზღვრული ღვთაებრივი გზების პირველსახის აღსრულე-
ბაა. მოსემ თავისი წიგნები არა მხოლოდ ისტორიული მოვლე-
ნების გადმოსაცემად დაწერა, არამედ სურდა ხატ-ხატებში
ღმერთისაკენ მღვტოლველი საფშვინველის ვზა წარმოესახა.

ფილონისეულ მსოფლმხედველობაში ყოველივე ის, რისი
გადმოცემაც სურდა მოსეს, ხელშივე რჩება გაიდუმალებული.
ის, რაც ღმერთმა სამყაროში განიცადა, ადამიანმა თავის თავში
უნდა განაცადოს. ღვთაებრივი სიტყვა, ღოგოსი საფშვინველი-
სთვის მოვლენად იქცევა. ღმერთმა ებრაელები ეგვიპტიდან გა-
მოიყვანა, მრავალი ტანჯვა და დანაკლისი დაათმენინა, რათა
საბოლოოდ მათთვის აღთქმული მიწა ეწეალობებინა. ასეთია
გარე მოვლენა. ეს მოვლენა შინაგანად უნდა განიცადოთ.
ჩვენც ეგვიპტის ქვეყნიდან, წარმავალი წუთისხოვლიდან მი-
ვემართებით, ვზად მრავალ სატანჯველს გამოვივლით, რომ-
ლებიც ჩვენი გრძნობადი ბუნების დათრგუნვას ემსახურება,
ხოლო საბოლოოდ აღთქმულ მიწას — მარადიულს ვადწევთ.
ეს ყოველივე ფილონთან შინაგან მოვლენას წარმოადგენს.
სამყაროში განდვრილი ღმერთი, საფშვინველში თავის აღდ-
გომას ზეიმობს იმწამს, როცა საფშვინველი მის შემოქმედე-
ბით სიტყვას გებულობს და ხელმეორედ წარმოთქამს მას —
ამ დროს ადამიანმა თავის თავში ხელეორად ღმერთი შვა ანუ
განკაცებული სული ღმრთისა, ქრისტე, ღოგოსი. ამ თვალსაზ-
რისით შეშეცნება ფილონისათვის და მისი თანამოაზრეებისათ-
ვის ხელეორი სამყაროს წიად ქრისტეს შობას ნიშნავს.

ნეოსლატონიკოსთა მსოფლმხედველობა, რომელიც ქრის-
ტიანობას თანადროულად ვითარდება, შეიძლება ფილონისეუ-

ლი ცხოვრების წესის გაგრძელებად ჩაითვალოს. ამ მხრივ, უკრადსაღებია პლოტინის (204-269 ქრ.წ. შემდეგ) ერთ-ერთი ნაწარმოები, სადაც იგი თავის სულიერ განცდებს აღვიწყრს.

„როდესაც სხეულის თვლემისგან გამოღვიძებული წუთისოფელს განეერიდება და კვლავ ჩემს თავს ვუბრუნდება, ვუღრმავდება რა საკუთარ არსს, ხშირად საოცარ მშვენიერებას და სიღამაზეს ვჭვრეტ და იმ წამს დარწმუნებული ვარ, რომ ჩემსავე საუკეთესო ნაწილს ვერწყმი. ხსოვრედ მაშინ ჩემს თავში ჭეშმარიტ ცხოვრებას ვახორციელებ. დვთაებრივთან კავშირს ვამყარებ და, ეპოულობ რა მასში დასაგრდენს, უფრო მეტი აღმასვლის ძალა მეძლევა და ძალმიძს ზეგრძნობადი სამყაროს საზღვრებსაც გავცდვი; ხოლო იმის შემდეგ, რაც ამგვარად ეპოულობ ხიმშიიდესა და მოყანებას ღმერთში, სულიერი ჭვრეტის შემდეგ, კვლავ აზროვნებამდე რომ ჩამოვდივარ, საკუთარ თავს ვეკითხები: როგორღა მოხდა ის, რომ ახლა ქვემოთ ვეშვები, და, საერთოდ, კვლავ რატომ შევიდა ჩემი საფშეინველი სხეულში, როდესაც, არსობრივად იგი ისეთია, როგორადაც სულ ახლახან მეჩვენა? /... ხად არის მიზეზი იმისა, რომ საფშეინველი ღმერთს, თავის მამას ივიწყებს და იმ დროს, როდესაც ამქვეყნიური სამყაროდან წარმოშობა და იმქვეყნიურს ეკუთვნის, აღარაფერი იცის არც მასზე, არც საკუთარ თავზე. უეჭველად ბოროტების სათავეს მისთვის ძალისმიერი აღტყინება წარმოადგენს და ქმნადობისა და საკუთარი თავისგან მოკვეთის წადილი, როდესაც მას სურს საკუთარ თავს ეკუთვნოდეს, საფშეინველმა თვითმმართველობა ისურვა, თავის გრძნობებს კვალდაკვალ გაქევა და მცდარ გზას დაადგა, რომელმაც იგი საბოლოო მოკვეთამდე მიიყვანა, და ამასთანავე, საკუთარი იმქვეყნიური წარმოშობაც დაავიწყა იმ ბავშვებას მსგავსად, რომელნიც მშობლებს ადრე მოწყვეტებს, მათგან მოშორებით აღზარდეს და ახლა არც საკუთარი თავისა იციან რაიმე, არც თავიანთი მშობლებისა“. პლოტინი ცხოვრებისეული განვითარების იმ გზასაც წარმოუვსახავს, რომელსაც საფშეინველი უნდა მიეღწვიოდეს. „დაე დამშვიდდეს

მისი სხეულებრივი ცხოვრება, ჩაცხრეს ცხოვრების მღელვარება; დამშვიდებული და დამცხრალი იხილოს ყოველივე, რაც გარშემოა: მიწასა და ზღვას და ჰერსა და თეით ზეცას ქვრეტებს, ეითარცა უძრავს. ისწავლოს და გირვებით ქვრეტა, თვალი აფენოს საფშვინველს, რომელიც თითქოსდა განიფინება და უძრავ კობმოსში იღვრება და ყოველმხრავ მსჭვალავს მას და ასხივოსნებს მსგავსად იმისა, როგორც მზის სხივები ბნელსა და მრუმე ღრუბელს ანათებენ და ოქროდ ღებავენ, ასევე საფშვინველიც, როცა ცით შემოსაზღვრულ სამყაროს სხეულს შვერთვის, ცხოვრებასა და უკვდავებას ანიჭებს მას".

ზემოთქმული ცხადყოფს, რომ შესენებული მსოფლმხედველობა ძალზე ჰგავს ქრისტიანობას. იესოს სამმოს მიმდევართაგან ნათქვამია: „რომელიც იყო თავდაპირველად, რომელიც ეისმინეთ და ჩვენი თვალთ ვიხილეთ, რომელსაც ვქვრეტდით, და ჩვენი ხელით ვეხებოდით სიცოცხლის სიტყვას... გაუწყებთ თქვენ“. იგივე შეიძლება ნეოპლატონიზმის სული-სკვეთებითაც თქმულიყო: რომელიც იყო თავდაპირველად, რომლის თვალთ დანახვა და ყურით მოსმენა შეუძლებელია, რომელიც სულიერად უნდა განიცადო, როგორც სიცოცხლის სიტყვა. მაშასადამე, უძველესი მსოფლმხედველობა ორ მიმდინარეობად იყოფა. ერთის მხრე, მას ქრისტეს ისეთი იდეასთან მიევაგართ, რომელსაც ნეოპლატონიზმში და მის მსგავს მსოფლმხედველობებში მხოლოდ წმინდა სულიერ სფეროსადმი გააჩნია შემართება, ხოლო, მეორეს მხრე, მოცემულია ქრისტეს იდეის შერწყმა ისტორიულ მოვლენასთან, იესოს პიროვნებასთან. იოანეს სახარების ავტორს შეიძლება ამ ორივე მიმდინარეობის შემარეგებელი ეუწოდოთ. „დასაბამიდან იყო სიტყვა“. ეს რწმენა აერთიანებს იოანესაც და ნეოპლატონიკოსებსაც. სიტყვა საფშვინველის წიად სულად იქცევა: ამ დასკვნამდე მიდიან ნეოპლატონიკოსები. სიტყვა ხორცად იქცევა იესოში: ასეთია იოანეს დასკვნა, ხოლო მასთან ერთად მთელს ქრისტიანულს სამმოსიც. თითქმის მსგავსი მნიშვნელობა იმისა, თუ როგორ უნდა ქცეულიყო

ხიტყვა ხორცად, ანუ განკაცებულიყო, უძველეს მსოფლმხედველობათა მთელი განვითარებით გამოიხატა. პლატონი მაკროკოსმიურ მოვლენაზე მოგვითხრობს. დემოკრიტმა სამყაროსეული საფუძვინველი ჯვარივით გააკრა სამყაროსეულ სხეულზე. სწორედ სამყაროსეული საფუძვინველია ლოგოსი. უკეთუ ლოგოსი ხორცად უნდა იქცეს, მაშინ განსხეულები-სას, მან კოსმიური პროცესი უნდა გაიმეოროს. იგი ჯვარს უნდა გაეკრას და შემდეგ მკვდრეთით აღდგეს. ეს უმნიშვნელოვანესი ქრისტიანული აზრი უკვე დიდი ხანია წინასწარგანსახედვრული იყო უძველეს მსოფლმხედველობებში, როგორც სულიერი წარმოდგენა. ამ წარმოდგენას მისტი „ხელდასხმისას“ განიცდიდა, როგორც პირად განცდას. ხოლო „განკაცებულ ლოგოსს“ ეს აზრი უნდა აღესრულებინა, განეხორციელებინა, როგორც მოვლენა, რომელსაც უკვე მთელი კაცობრიობისათვის ექნებოდა მნიშვნელობა. ამრიგად ის, რაც უძველეს სიბრძნეში მისტერიულ მოვლენას წარმოადგენდა, ქრისტიანობაში ისტორიულ სინამდვილედ გადაიქცა. ამით ქრისტიანობამ არა მხოლოდ ის აღასრულა, რასაც იუდეველთ წინასწარმეტყველები ქადაგებდნენ, არამედ იგი იმის აღსრულებადაც, განხორციელებადაც იქცა, რაც უძველესი დროიდან წინასწარ ისწავლებოდა მისტერიებში, როგორც პირველსახე. გოლგოთაზე აღმართული ჯვარი უძველესი დროის მისტერიაა, რომელიც ისტორიულ სინამდვილედ იქცა. ამ ჯვარს ჩვენ უწინაც შევხვედრივართ უძველეს მსოფლმხედველობებში, მაგრამ ქრისტიანობის ამოსავალი წერტილიდან ეს ჯვარი წარმოგვიდგება, როგორც ერთადერთხელ მომხდარი მოვლენა, რომელმაც მთელი კაცობრიობისათვის უნდა იქონიოს მნიშვნელობა. ამ თვალსაზრისით ქრისტიანობის მისტერიური მხარე ჩვენთვის გასაგები ხდება. ქრისტიანობა, როგორც მისტერიური ფაქტი, ვარკვეული საფუზურია კაცობრიობის განვითარებაში, ხოლო ძველი დროის მისტერიები და მათი ზემოქმედებანი ამ ფაქტის წინასწარმეზადებას წარმოადგენს.



ბრძოლა, რომელიც ქრისტიანების საფუძვინველებში წარმართობიდან ახალი რელიგიისკენ გადასვლისას იმართებოდა, მთელი ძალითა და სიმძაფრით ავგუსტინეს პიროვნებაში აისახა (354—430). როდესაც ავგუსტინეს სულში მომხდარი ბრძოლის განვითარებას ვაკვირდებით, ამავე დროს, იღუმალად ორიგენის, კლიმენტ ალექსანდრიელის, გრიგოლ ნაზიანელის, იერონიმისა და სხვათა ფიგურებიერ ბრძოლებს ვკვრეტთ.

ავგუსტინე ის პიროვნებაა, რომელშიაც ენებიანი, მძაფრად მგრძნობიარე ნატურიდან უდრმესი სულიერი მისწრაფებანი განვითარდა. ტეშმარიტების ძიებაში იგი სხვადასხვა წარმართულ და ნახევრადწარმართულ მსოფლმხედველობებს ეცნობა. გულს საშინელი, შემადრწუნებელი ეტყეები უდრდნის, რაც იხეთი ადამიანის წილხეედრია, რომელსაც დაუოკებელი ხულიერი მისწრაფებების წინაშე მრავალი სხვადასხვა აზრისა თუ იდეის უძღურება გამოუცდია და დამამცირებელი უმწეობაც განუცდია: „შეუძლია კი ადამიანს საერთოდ რაიმეს შეცნობა?“

თავდაპირველად ავგუსტინეს შეხედულებები გრძნობად წარმავალის სფეროს არ სცილდებოდა. სულიერი მისთვის მხოლოდ გრძნობად ხახეებში იყო მისაწვდომი. როდესაც ამ საფეხურზე ამაღლდება, იგი თითქოსდა შვებას, განთავისუფლებას გრძნობს. თავის აღხარებაში ავგუსტინე ასე მოგვმართავს: „როდესაც მინდოდა ღმერთზე მეფიერა, ძალაუნებურად ნიეთიერი სხეულები უნდა წარმომედგინა და მეგონა, რომ მათ მსგავსთა გარდა სხვა ვერაფერი იარსებებდა. სწორედ ეს გახლდათ უმთავრესი და თითქმის ერთადერთი მიზეზი ჩემი ცთომილებიისა, რომლის დაძლევა არ შეუძლო“. ავგუსტინე ამით მიგვითითებს, თუ რასთან უნდა მივიდეს ყოველი ადამიანი, ვინც ეძიებს ტეშმარიტ ცხოვრებას სულში. არიან მოაზროვნეები და მათი რიცხვი არც თუ იხე

მცირეა, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ადამიანისთვის სრულებით შეუძლებელია ყოველგვარი გრძნობადი შინაარსისგან თავისუფალი, წმინდა წარმოდგენის მიღება. ასეთი მოაზროვნეები ერთმანეთში ურევენ იმას, რაც, მათი აზრით, შეიძლება ითქვას მათხავე ხაკუთარ ფშვინვიერ ცხოვრებაზე და იმას, რისი მიღწევაც საერთოდ შეუძლია ადამიანს. უფრო სწორედ რომ ეთქვას, ადამიანს უმაღლეს შემეცნებამდე ამაღლება მხოლოდ მაშინ ძალუძს, უკეთუ იგი ყოველგვარი გრძნობადი შინაარსისაგან თავისუფალ აზროვნებას განავითარებს, როდესაც იგი ისე დახვეწავს თავის ფშვინვიერ ცხოვრებას, რომ მის საფშვინველში წარმოდგენების წარმოქმნა იმ თვალსაჩინოების გარეშეც არ წყდება, რომელსაც გრძნობადი შთაბეჭდილებები სთავაზობს. ავგუსტინე მოგვითხრობს, თუ რა გზით ამაღლდა იგი სულიერ ჭვრეტამდე. ყოველივე არსებულს იგი ერთი კითხვით მიმართავდა: მაინც სად არის „ღვთაებრივი?“ — „ღედამიწას დავეკითხე, და მანაც მიპასუხა: მე არ ვარ იგი და ყოველივემ, რაც ღედამიწაზე არსებობს იგივე პასუხი გამცა. ზღვასა და უფსკრულებს მივმართე, და ყოველივე ცოცხალს რასაც იხინი იტყვენ. მათ მიპასუხეს: ჩვენ არა ვართ შენი ღმერთი, ჩვენს მაღლა ეძიე. მქროლავ ქარებს ვთხოვე პასუხი, მთელმა უკიდუგანო ხივრცემ თავისი ბინადრებთანად მომიგო: თავს იტყუებდნენ ფილოსოფოსები, რომლებიც ჩვენში საგანთა არსობრიობას ეძიებდნენ; ჩვენ არა ვართ ღმერთი. მზეს, მთვარეს, ეარსკვლავებს მივმართე, მათაც იგივე მიპასუხეს: ჩვენ არა ვართ ღმერთი, რომელსაც შენ ეძიებ“. ავგუსტინე მიხვდა, რომ მხოლოდ ერთ რადიცას, მისხავე ხაკუთარ საფშვინველს ძალუძს პასუხი გასცეს მის კითხვას ღვთაებრივზე — საფშვინველმა უთხრა: „ვერც თვალი, ვერც ყური ვერ გაგიმხელს ამას. მე კი ჭეშმარიტად გეუბნები შენ, ადამიანი შეიძლება შეეჭვდეს, არსებობს თუ არა ცხოველყოფელი ძალა პაერსა და ცეცხლში, მაგრამ ვიღა შეეჭვდება, რომ ცხოვრობს, ახსოვს, ესმის, სწავდა, აზროვნებს, იცის და სჯის? თუნდაც ეჭვობდეს ადამიანი მაინც

ცხოვრობს, მაინც ახსოვს, თუ რატომ ეჭვობს, ესმის, რომ ეჭვობს, ხურს დარწმუნდეს, ფიქრობს, იცის, რომ ნაჩქარევად არაფერი უნდა გადაწყვიტოს". გარე საგნები წინააღმდეგობას არ გვიწვევენ, როცა მათს არსობრიობასა და ყოფიერებაში ეჭვი გვეპარება. ხოლო საფშვინველი მთელი არსებით უწინააღმდეგება ამას: უკეთუ საფშვინველი არ იარსებებდა იგი ვერც თავის თავში დაეჭვდებოდა. ამ დაეჭვებაშიც კი იგი თავის ყოფიერებას ადასტურებს. ჯერ ვარსებობთ და ეიმეცნებთ ჩვენს ყოფიერებას და გვიყვარს ჩვენი ყოფიერება და შემეცნება. ამ სამ თვისებაში ვერავითარი ჭეშმარიტების მსგავსი ცთომილება ვერ აგვიბნევს თავგზას, რადგან გარე საგნებისგან განსხვავებით ამ თვისებებს ფიზიკური გრძნობებით არ შევიცნობთ". ადამიანს ღვთაებრივის აღქმა მაშინ ძალუძს, როდესაც თავისი საფშვინველი ჯერ საყუთარი სულიერების აღიარებამდე მიჰყავს, რათა ამის შემდეგ საფშვინველშია, უკვე როგორც სულმა, შესძლოს სულიერ სამყაროში მიმავალი გზების მოძიებაც. ასეთ შემეცნებამდე ავგუსტინე ხანგრძლივი შინაგანი ბრძოლის შემდეგ მივიდა. წარმართულ ხალხებში მას, ვისაც ამგვარი განწყობა გააჩნდა და ჭეშმარიტ შემეცნებას ელტვოდა, მისწრაფება უჩნდებოდა მიხტერიების კარს მიდგომოდა, ხოლო ავგუსტინეს ეპოქაში ამ შეგნების მქონე ადამიანი ადვილად შესაძლებელია, ქრისტიანიც გამხდარიყო. განკაცებულმა ღოგოსმა, იესომ გვიჩვენა გზა, რომელსაც საფშვინველი უნდა მიჰყევდებოდა, უკეთუ იმის მიღწევას ღამობს, რაზედაც თავისთავთან განმარტოებისას ახე ხმამაღლა დალაუბს. 385 წ. მილანში ავგუსტინე ამბროსიის მოძღვრებას გაეცნო. მოძღვარმა ავგუსტინეს ახალი და ძველი აღთქმის მიმართ არსებული ყოველგვარი ეჭვი გაუფანტა, როდესაც ბიბლიის უმნიშვნელოვანესი ადგილები არა მხოლოდ სიტყვა-სიტყვით აუხსნა, არამედ მიხტური საბურველი მოხადა მათ და „სულისმიერადაც“ განუმარტა. ის, რაც უწინ დაფარული იყო მიხტერიებში, ავგუსტინესთვის ხახარებათა ისტორიულ ტრადიციაში და იმ ხაზში ხორციელდება, რომელშიაც ეს

ტრადიციის ინახება. თანდათანობით იგი რწმუნდება, რომ „ამ ტრადიციის“ მოთხოვნა, ირწმუნონ ის, რასაც იგი არ ამტკიცებს, მართებულია და არავითარ შხატრობას არ შეიცავს“. ავგუსტინე შემდეგ წარმოადგენამდე მიდის: „ვინ დაბრმავდება ისე, რომ თქვას, თითქოს სამოციქულო ეკლესიის ნდობას არ იმსახურებს, ეკლესია, რომელიც ასერიგად ერთგულია და ამდენი ამის ერთსულოვნებით არის წარმოდგენილი, რომლებმაც შთამომავლობას კეთილსინდისიერად გადმოსცეს მოციქულთა წერილები და, მკაცრად დადგენილი შემკვიდრების დაცვით, მათეული საეპისკოპოსო ტახტებიც შეინარჩუნეს, თვით ჩვენი დროის ეპისკოპოსებამდე“. აზრთა ასეთმა წვობამ ავგუსტინე იმის შეგნებამდე მიიყვანა, რომ ქრისტეს მოსვლით სულის მძიებელ საფშეინველს უწინდელისგან განსხვავებული პირობები შეექმნა. მისთვის ნათელი გახდა, რომ ქრისტე თსოში გარე ისტორიული სამყაროსთვის გაცხადდა ის, რასაც მისტი მისტერიებში ეძიებდა და რისთვისაც ასე რუდუნებით ეშხადებოდა. ყურადღება მივაქციოთ ავგუსტინეს ერთ-ერთ უმთავრეს გამონათქვამს: „ის, რასაც ამჟამად ქრისტიანულ რელიგიას უწოდებენ, ჯერ კიდევ უძველეს ხალხებსაც გააჩნდათ და არც ადამიანთა მოდგმის დასაწყისში იყვნენ მას მოკლებულნი. ხოლო როდესაც ქრისტე ხორციელად გამოვეცხადა, ჭეშმარიტმა რელიგიამ, რომელიც მანამდე არსებობდა, ქრისტიანულის სახელწოდება მიიღო“. აზრთა ასეთი წვობის მქონე ადამიანისათვის ორი გზა არსებობდა. ერთი მათგანი ამტკიცებდა, რომ თუკი ადამიანის საფშეინველი ხაკუთარი ჭეშმარიტი არსობრიობის შესაცნობად საკმარო ძალებს განაკუთარებდა, მაშინ შემდგომი წინსვლისას იგი ქრისტეს შეცნობას მიაღწევდა და ვოველივე იმის, რაც ქრისტესთან არის დაკავშირებული, წვდომასაც შეძლებდა – ანუ ეს იქნებოდა ქრისტიანობით გამდიდრებული მისტერიათა სიბრძნე.

ავგუსტინემ მეორე გზა გაიზიარა, რომელზედაც იგი თავის მიმდევრებისთვის უდიდეს საწყის ხატ-სახედ იქცა. ეს გზა

ამაში მდგომარეობს, რომ გარკვეულ საფეხურზე ადამიანი
საკუთარი ფშვინვიერი ძალების განვითარებას ამთავრებს და
ამის შემდეგ ვოველგვარ წარმოდგენას ქრისტეს მოყვენაზე
იგი წერილობით წყაროებიდან ან ზეპირი გადმოცემებიდან
ღებულობს. პირველი გზა ავგუსტინემ უარყო, როგორც
ფშვინვიერი ქედმაღლობიდან გამომდინარე, ხოლო მეორე
გზა კი, მისი აზრით, ჭეშმარიტ მორჩილებას პასუხობდა. სა-
გულისხმოსა, თუ როგორ მიმართავს იგი იმას, ვინაც პირველი
გზით სიარული სურს: „თქვენ შეგეძლოთ ჭეშმარიტებაში
ხიმშვიდე მოგეპოვებინათ, მაგრამ ამისთვის აუცილებელია
მორჩილება, რაც ასერიგად მძიმეა თქვენი ქედმაღლობისათ-
ვის“. სამაგიეროდ ავგუსტინე უსაზღვრო შინაგანი ნეტარე-
ბით შეივრძნობს იმ ფაქტს, რომ „ქრისტეს ზორცხელად გა-
მოცხადების“ დროიდან ადამიანს შესაძლებლობა მიეცა საკ-
უთარი თავისთვის ეთქვა: ვოველ საფშვინველს ძალებს
ღვთაებრივის განცდამდე ამაღლდეს, უკეთუ თავის ძიებაში
იგი საკუთარ თავს, რაც შეიძლება უფრო მეტად ჩაუდრმა-
დება; ხოლო შემდეგ, ყველაზე უმაღლესს რომ მიწვედეს, იმის
ნდობასა და რწმენას მოიპოვებს, რასაც ქრისტიანული საბ-
მოს წერილობითი და ზეპირი გადმოცემები ქრისტეზე და მის
გამოცხადებაზე გვაუწყებენ. ავგუსტინე შემდეგნაირად ცდი-
ლობს გამოხატოს თავისი დამოკიდებულება ამ ფაქტის მი-
მართ: „რაოდენი ღზენა, რა წარუვალი სიტყბოება უმაღლესი
და ჭეშმარიტი მადლისა გვეწყალობება ამერიდან! რა სიხა-
რული გვენიჭება, რა ფშვინვა მარადიულისა — როგორღა
გამოეთქვა იგი? მაგრამ იგი უკვე გამოთქვებს, რამდენადაც
შესაძლებელია ამის გამოთქმა, იმ უდიდესმა შეუდარებელმა
საფშვინველებმა, რომლებზედაც ვმონშობთ, რომ მხინი ჭერეტ-
დნენ და აწ ყლავაც ჭერეტენ... ჩვენ ვაღწევთ იმ წერტილს,
სადაც შევიცნობთ, თუ რამდენად ჭეშმარიტი შეიძლება ყო-
ფილიყო ის, რისი რწმენაც თითქოსდა უნდა გვექონოდა და
რამდენად მაღლიანი და ხსნის მომნიჭებელი აღზრდა მივი-
დეთ ჩვენი ღედის — ეკლესიისგან და რამდენად სასარგებლო

აღმოჩნდა რძე, რომლითაც მოციქული პავლე ვრძებს კვებავდა...“ (ის, რაც მეორე შესაძლებელი თვალსაზრისიდან, ქრისტიანობით გამდიდრებულ მისტერიასა სიბრძნიდან ვითარდება, მოცემული წიგნის ფარგლებს სცილდება. ხსენებული თვალსაზრისის განვითარება შევიძლიათ მოვიძიოთ ჩემს წიგნში „იდუმალმეტყველების ნარკვევი“). ქრისტემდე ეპოქაში ეოფიერების სულიერი საფუძვლების მამიებელი ადამიანი მისტერიების გზას უნდა დასდგომოდა, მაგრამ ამ საფუძვინველებს, რომლებსაც ამ გზით სიარული არ შეუძლიათ, აევუსტინე შემდეგს ეუბნება: იართ შეშეცნების გზით, რამდენსაც თქვენი ადამიანური ძალებით შესძლებთ, ხოლო მერე კი ნდობა (რწმენა) წავიდევებათ უმადლეს სულიერ სფეროებში — ამ სიტყვებს ერთადერთი ნაბიჯი ამორებს ამ მტკიცებებისაგან, რომ ადამიანის საფუძვინველის არსობრიობაში მხოლოდ შეშეცნების გარკვეულ საფეხურამდე მიღწევის შესაძლებლობა დევს. შემდგომი ამაღლება კი მას მხოლოდ წერილობითი და ზეპირი გადმოცემებისადმი ნდობის გზით შეუძლია. ეს ნაბიჯი ამ სულიერმა მიმდინარეობამ გადადგა, რომელიც შეშეცნებას გარკვეულ მიჯნებს უსაზღვრავედა, რომლის იქითაც საფუძვინველს საკუთარი ძალებით ამაღლება არ შეუძლია. იმიერიდან ყოველივე, რაც ამ საზღვრებს იქით იმყოფებოდა, რწმენის საგანი ხდებოდა, რომელიც წერილობით და ზეპირ გადმოცემებს ემყარებოდა და ამ გადმოცემათა ტრადიციის მატარებელი ადამიანებისადმი ნდობიდან გამომდინარეობდა. ეკლესიის უდიდესმა მასწავლებელმა, თომა აკვინელმა (1224 — 1274) თავის შრომებში ამ მოძღვრებას მრავალმხრივი გამოხატულება შესძინა. ადამიანს საკუთარი შეშეცნებით იმის მიღწევა შეუძლია, რასაც აევუსტინემ თვითშეშეცნებით მიაღწია, სახელდობრ, ღვთაებრივში ღარწმუნებას, ღვთაებრივისადმი რწმენას. ხოლო ღვთაებრივის არსობრიობა და ქვეყნიერებისადმი მისი მიმართება კვეწეა ღვთის გამოცხადებულ და ადამიანის დამოუკიდებელი

შემეცნებისათვის მიუწვდომელ დეტალსმეტყველებაში, რომელიც, წარმოადგენს რა რწმუნის საგანს, ამით ყოველგვარ შემეცნებაზე მაღლა დგას.

ამ თვალსაზრისის მიხედვით წარმოქმნის მომენტში შეიძლება ფორმალურად თვალი მივადევნოთ იოან სკოტ ერიგენას მსოფლმხედველობაში. იგი მეცხრე საუკუნეში კარლოს მელოტის კარზე ცხოვრობდა და ერთგვარი გარდამავალი საფეხური გახლდათ ქრისტიანობის პირველხანებიდან თომა აკვინელის თვალსაზრისის მიმართებით. ერიგენას მსოფლმხედველობა ნეობლატონიზმის ნიშნებს ატარებს. თავის თხზულებაში „ბუნების დაყოფაზე“ ერიგენამ უფრო განაერთო და განავითარა დიონისე არგოპაგელის მოძღვრება. ეს მოძღვრება გამოძვინარეობდა იმ თვალსაზრისიდან, რომელიც ღმერთს ყოველივე გრძნობად — წარმავალზე მაღლა მდგომ არსებად ხაზავს, რომლისგანაც სამყარო წარმოიშვა. (იხ. გვ. 111). ადამიანი ყველა არსების, ყოველივე არსებულის კვლავ ღმერთად ქცევის პროცესში მონაწილეობს, ხოლო ღმერთი ქვეყნიერების დამღვეს იმასვე აღწევს, რასაც დასაბამიერად წარმოადგენდა, საბოლოოდ ყველაფერი ისევ დეთაებას შეენივება, რომელმაც სამყაროსეული პროცესი განელო და საკუთარ თავში განსრულდა. მაგრამ დეთაებას რომ მაღწიოს, ადამიანმა ვერ განკაცებულ ღოგოსთან მიმავალი ვხაუნდა აღმოაჩინოს. ეს აზრი ერიგენასთან მეორე აზრში გადადის: „იხ, რასაც წმინდა წერილი შეიცავს, რომელიც ღოგოსზე მოვეითხრობს, უკეთუ რწმუნის შინაარსად მივიღებთ, ხსნასთან გვაახლოებს. გონება და წმინდა წერილის ავტორიტეტი, რწმუნა და შემეცნება ერთმანეთის გვერდივერდ დგას და ერთი მეორეს არ ეწინააღმდეგება. სწორედ რწმუნა უნდა გაგვიძღვეს იქ, სადამდეც შემეცნება მხოლოდ საკუთარ ძალებზე დაყრდნობით ვერ ამაღლდება“.

იხ, რისი გამხელაც უწინ მისტერიათა სულისკვეთებით ხაღებისათვის არაფრით არ შეიძლება, ანუ მარადიულის

შემეცნება, ამიერიდან ქრისტიანული შეხედულებების წყა-
ლობით რწმენის შინაარსად გადაიქცევა, რაც უკვე საკუთარი
ბუნების გამოისობით უბრალო შემეცნებისათვის მიუღწევად
სამადლეუბთან ვაკავშირებს. ქრისტიანობამდელი მისტი და
რწმუნებულნი იყო, რომ ღვთაებრივის შეცნობა მარტოოდენ
მას ხელეწიფებოდა. ხალხის ხვედრს კი მხოლოდ ხატ-ხაზე-
ობრივი რწმენა წარმოადგენდა. ხოლო ქრისტიანობა ამტკიც-
ებს, რომ თავის გამოცხადებაში ღმერთმა ადამიანს სიბრძნე
მიუეღინა და შემეცნებაში ადამიანს ღვთაებრივი გამოცხადე-
ბის ანარეკლი მიეცა. მისტერიათა სიბრძნე სათბურის მცენა-
რეა, რომელსაც სათანადოდ მოწიფებულ ადამიანთა მხო-
ლოდ მცირე რიცხვი ეზიარება. ხოლო ქრისტიანული სიბრძნე
ისეთ მისტერიას წარმოადგენს, რომელიც არავის განეცხად-
ება როგორც შემეცნება — არამედ ყველას ემცნობა როგორც
რწმენის შინაარსი. მისტერიათა თვალსაზრისი, მართალია,
შეცვლილი ფორმით, ქრისტიანობაშიც აგრძელებს არსებო-
ბას. იმიერიდან ჭეშმარიტება რჩეულთა ხვედრი კი არ უნდა
ყოფილიყო, არამედ მის ნათელს ყველა უნდა ზიარებოდა.
ახეთი რამ კი შემდეგნაირად უნდა განხორციელებულიყო.
რაკილა სწამდათ, რომ შემეცნების გარკვეულ საფეხურზე
თვითონ შემეცნება უძლური ხდებოდა, რომ ადამიანის შემდ-
გომი ამაღლებისათვის წინამძღოლობა გაეწია, მის ადვილს
რწმენა იკავებდა. ქრისტიანობამ მისტერიათა შინაარსი ტაძ-
რის ბინდიდან დღის ხინათლეზე გამოიტანა და ქრისტიანო-
ბის იმ სულიერ მიმდინარეობას, რომელიც ჩვენს მიერ ამ
წიგნში გამოიკვეთა, ადამიანი მიჰყავდა წარმოადგენამდე, რომ
ეს შინაარსი რწმენის ფორმით უნდა არსებებულიყო.



- გვ. 12. ინგერსოლის სიტყვები აქ მოვეყვას არა მხოლოდ იმ აღმანიშნის მიმართებით, რომლებიც ხსენებულ თვალსაზრისს სიტყვასიტყვით აზრებენ და საკუთარ მარჯამსად შერაცხავენ. უმრავლესობას ასეთი რამ არასოდეს წამოცდება, მაგრამ მათ ბუნებრივ მოკლევნებასა და აღმანიშნე ისეთი წარმოდევნები ჩამოუვარდნად, რომ, თუკი თავიანთი პოზიციის გამოკეთისას მეტ თანმიმდევრულობას გამოიჩენდნენ, ზემოთმოყვანილ გამოჩინებას ვერ აცდებოდნენ. მთავარი ის რაღაცა, თუ ერთად რას მიიჩნევენ მაგანი თავის თვითრთულ მარჯამსად, არამედ მნიშვნელობა სწორედ იმას ენიჭება, რომ ეს მარჯამსი მივლი მისი მსოფლმხედველობიდან გამომდინარეობდეს. მაგანი ინგერსოლის სიტყვებისადმი შეიძლება უარყოფითი დამოკიდებულება უეჭვნას, ენაბო ისინი სასაყლოდაც მოეჩვენოს. მაგრამ თუკი აღნიშნული პიროვნება ბუნებრივ მოკლენათა წმინდა გარეგნული ასინთ გამოფაღდება და ამ მოკლენათა სულურ საწყისებს არ ებრძვის. სხვა მით სიტყვებიდან ლოგიკური გზით შეიძლება ერთგვარი მატერიალისტური ფალოსოფია განვითაროს.
- გვ. 12. იმ ფაქტებიდან, რომლებიც აქ მიღებული ტერმინოლოგიით აღნიშნულ რიგობაც აძიბოლი არსებობისათვის ანდა ბუნებრივი შერტყვის ყოვლისშემძლეობა. თუკი მათ სწორად აღვიტყვათ მკადიოდ-სმის ბუნების სულს დაღადნი, რასაც ვერ მივაწერთ თანამედროვე მეცნიერებაში გამოატრებულ შეხედულებებს ზემოთაღნიშნულ მოკლენებზე. სწორედ პირველ გარემოებას უნდა ვეზადლოდეთ, რომ ბუნებისმეტყველება დღეს სულ უფრო უფრო განიფინება ხოლო მეორე გარემოებადან გამომდინარეობს, რომ მეცნიერების თვალსაზრისები დატყვის შესწავლის რაღაც განუყოფელ ნაწილად არ უნდა მივიჩნიოთ. ამგვარი ცთომილებას შესაძლებლობა ჰქვას დროში განსაკუთრებით დიდია.
- გვ. 14. მსგავსი შენიშვნებიდან, მაგალითად, ლუკას სიტყვების წყაროებს რაც შეეხება, შეიძლება არ უნდა დასკვნას, რომ წიგნის ავტორი წმინდა ისტორიულ გამოკლევას უგულვებელყოფს. ეს ასე რაღაცა. ისტორიულ გამოკლევას უფროდ თავისი აზრი და გამართლება გაიწინა, მაგრამ ეს გამოკლევა შეუწყნარებლობას არ უნდა იხსენებს სულური თვალსაზრისებიდან გამომდინარე წარმოდევნებისადმი. მოკლებული წიგნი ნებისმიერ ხელსაყრელ პოპენტში თასგვარი ციტატის მოვეყვას არ ითვლი-სწინებს ამავე დროს, მას, ვისაც დანახვის სურვალი აქვს შეიძლება დაწმუნდეს, რომ ყოველმხრივი და მიუერძობელი განიხილოს. ვერ-ლაფერი ის, რაც ამ წიგნშია ნათქვამი, არაფროთ არ ეწინააღმდეგება საბოლოოდ დადგენილ ისტორიულ მონაცემებს. თავისთავად ესაფია, რომ თუკი ენბნეს არ სურს ყოველმხრივობა გამოიხილოს და ამბ თუ იმ ისტორიულ თვითიას იმედ არ მიიჩნევა, რასაც მტკიცედ დადგინო

ტვია, იგი ჩათვლის, რომ ამ წიგნის დებულებები „მეცნიერულ კრიტიკულ ვერ უძლებს“ და „ყოველგვარ ობიექტურ დამატებებს მოკლებულია“.

- გვ. 18. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მას, ვისაც სულეერი თვალს ახელილი უნდა, სულეერი სამყაროს აღქმაც ძალუძს. მაგრამ აქედან არ უნდა დავასკვნათ, რომ თითქმის მხოლოდ „სულეერი ხედვის“ უნარის მქონე ადამიანს შეუძლია სწორად განსაზღვოს ხელდასმულთათვის ნაუწყებო ზეგარჩობად და ფაქტები. „სულეერი თვალს“ მხოლოდ ზეგარჩობადის კვლევას სჭარბდება, ხოლო ამ კვლევის მონაცემები კი შემდეგ ყველა იმ ადამიანსათვის ხდება ხელმისაწვდომი, ვისაც გონება და კვლევითების უწყვეტობა გვახნია. ასეთი ადამიანი შეძლებს სხეულებული ფაქტების ცხოვრებას მიუხადავოს და მათში დაკმაყოფილება პოუროს მიუხედავად იმისა, რომ „სულეერი თვალს“ ახელილი არ ექნება.
- გვ. 21. „შლამშიაღვლობა“, რაზედაც პლატონი ლამაზაქობს, იგივე აზრით უნდა იქნეს გაგებულნი, როგორც ის, რაზედაც ზემოთ აღვნიშნეთ 18 გვ.-ის შენიშვნაში.
- გვ. 22. ის, რომ მისტერიათა მოძღვრების სხვათათვის გამხელა შეუძლებელი ამ მოძღვრების იმ ფორმას ეხება, როგორცდაც მას მისტი განიცდდა: ხოლო შეუძლებელი ადამიანსათვის მისი იმავე ფორმით მიწოდება არ შეიძლებოდა. ზეუღებრივი ადამიანებისთვის გასაგებნი ფორმით კი მისტერიათა ხელს ყოველთვის ეუწყებოდა. ასე მაგალითად, მათები სწორედ იმ უძველეს ფორმას წარმოადგენს, რომლის მეშვეობითაც ყველა სთავის გასაგებად ეუწყებოდა მისტერიათის შინაარსი.
- გვ. 57. ტერმინი „მანტიკა“ უძველეს მისტიკაში ყოველივე იმას აღნიშნავს, რასაც „სულეერი ხედვის“ მეშვეობით მიღებულ ცოდნასთან მიმართება აქონდა, ხოლო „ტელესტიკა“ ხელდასმისკენ მიმავალი გზების აღნიშვნისთვის.
- გვ. 100. კაბორები — უძველესი მისტიკის გაგებით — ის არსებებია, რომელთა ცნობიერება ადამიანის დღევანდელ ცნობიერებას ბევრად აღემატება. ხელდასმისას ადამიანი თავისი ზეუღებრივი ცნობიერებიდან გარყვნილ უმაღლეს შეგნებასაც მიღობდა — ასეთია შელინგის სიტყვათა აზრი.
- გვ. 109. „შვიდი“ რიტუის შნიშვნელობის შესახებ შეგიძლიათ მიმართოთ ჩემს წიგნს „ოღუმალებზედადების ნარკვევა“.
- გვ. 110. აპოკალიფსისის იდეებელი ნიშნების ასსნას აქ ძალზე მოკლულ ვერცხვით. რა თქმა უნდა, შეიძლება მათი შნიშვნელობას გაცილებით უფრო ჩვეულარმადვეთ. მაგრამ მოცემული წიგნის ამოცანას ეს არ შეაფერხებს.

რუდოლფ შტაინერი



中華民國
國家圖書館